



ადვოკატთა  
საბარეო-სამართლებრივი  
საზოგადოებრივი ორგანიზაცია



ახალგაზრდა ადვოკატები  
YOUNG BARRISTERS

ივნისი №5

# სამეცნიერო ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები

თბილისი 2016



სამეცნიერო ჟურნალ - „ახალგაზრდა ადვოკატების“ მეხუთე ნომერი  
ქ. თბილისი, ივნისი, 2016 წ.  
ISSN 1512-4525

„ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო  
ცენტრის“ ერთობლივი გამოცემა

© ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“  
© შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“

აკრძალულია ჟურნალში წარმოდგენილი მასალის  
გამოყენება წყაროს მითითების გარეშე

**სარედაქციო კოლეგია:**

**რედაქტორი:**

**მარიკა არევაძე**

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი; საქართველოს უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) და ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით; „ახალგაზრდა ადვოკატების“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ დამფუძნებელი

სამართლის დოქტორი; ასოცირებული პროფესორი; იურიდიული ფირმა J & T Consulting-ის მმართველი პარტნიორი - **გიორგი ცერცვაძე**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი; საგანმანათლებლო საბჭოს ხელმძღვანელი; იურიდიული კომპანია K&K Consulting-ის მმართველი პარტნიორი - **ირაკლი ყანდაშვილი**

სამართლის დოქტორი; საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი - **მალხაზ ბეგიაშვილი**

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი; საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და სადოქტორო პროგრამების მენეჯერი - **თამარ ბიწაძე**

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი; მედია-სამართლის სპეციალისტი; ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - **არჩილ კაიკაციშვილი**

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლის ჯგუფის ხელმძღვანელი - **რუსლან ალექსიძე**

„ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მენეჯერი - **არჩილ ნადირაძე**

**გამოცემის დიზაინი:**

რობი გეთიაშვილი

**სტამბა:**

დან

## სარჩევი

წინათქმა .....	4
<b>მალხაზ ბეგიაშვილი</b> ფედერაციული სახელმწიფო და რეგიონული სახელმწიფო: ორი განსხვავებული სისტემა ? .....	5
<b>ბექა ქანთარია</b> კონსტიტუცია - ცნება, სტრუქტურა, ფუნქციები და კლასიფიკაცია .....	27
<b>თორნიკე კაპანაძე</b> სამოქალაქო უფლების შესახებ თეორიების ისტორიული მიმოხილვა .....	63
<b>ნათია სონგულია</b> უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის .....	79
<b>მარიკა არევამე</b> დავის გადაჭრისა და იძულებითი აღსრულების მექანიზმები სასესხო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში .....	91

ჟურნალში წარმოდგენილი სტატიის შინაარსსა და  
მასში გამოყენებული მასალის მიმართ არსებული საავტორო უფლებების დაცვაზე  
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

## წინათქმა

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის - „ახალგაზრდა ადვოკატების“ გამოცემა დაიწყო 2014 წელს, „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ. ჟურნალის პირველი ნომერი გამოიცა 2014 წლის მარტის თვეში. ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოდის და სამართლის დარგში აღიარებულ მეცნიერებს, საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატებს, დამწყებ თუ მოქმედ იურისტებს/ადვოკატებს შესაძლებლობას აძლევს მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე მოამზადონ და გამოაქვეყნონ სტატიები. ჟურნალი არის რეფერირებადი გამოცემა და მას მინიჭებული აქვს პერიოდული გამოცემის ნომერი - ISSN 1512-4525.

2015 წლის ივლისიდან, ჟურნალის გამოცემა ხორციელდება ერთობლივად „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ მიერ. ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წელს და დაფუძნების დღიდან აქტიურ უფლებდაცვით საქმიანობას ახორციელებს. ორგანიზაცია ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მრგვალ მაგიდას აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“ კი დაფუძნდა 2015 წლის მაისში. ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს - საგანმანათლებლო საქმიანობა; ლექციების, სემინარების და ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება; კონფერენციების ან/და მრგვალი მაგიდების ორგანიზება და ჩატარება; კვლევების მომზადება/გამოცემა; სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან/და საინფორმაციო ჟურნალების, ბროშურების ან/და ბუკლეტების გამოცემა. ცენტრი ორიენტირებულია იურიდიული პროფესიის განვითარებაზე და ხელს უწყობს ბაზარზე მაღალკვალიფიციური კადრის ჩამოყალიბებას.

სამეცნიერო ჟურნალის მიმდინარე მე-5 ნომერი სრულად დაეთმო სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწე ლექტორებს. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატიები ერთის მხრივ საინტერესო იქნება ნებისმიერი მკითხველისათვის, ხოლო მეორეს მხრივ სტატიების სამეცნიერო ღირებულებების შესაბამისად მნიშვნელოვანი დამხმარე იქნება სტუდენტებისათვის სასწავლო მოდულების ფარგლებში.

**ფედერაციული სახელმწიფო და რეგიონული სახელმწიფო:  
ორი განსხვავებული სისტემა ?**

მალხაზ ბეგიაშვილი  
საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი

**1. შესავალი**

ფრანგული ტიპის დეცენტრალიზებულ განუყოფელ სახელმწიფოს, იტალიური თუ ესპანური ტიპის რეგიონალურ სახელმწიფოსა და გერმანული ტიპის ფედერალურ სახელმწიფოს შორის საზღვრები კიდევ ნათლადაა გამიჯნული ?

ნათელია, რომ ეს სახეები არ მოიცავს მსგავს რეალობებს. ელიზაბეტ ზოლერი ძალიან სამართლიანად უსვავს ხაზს, „ამერიკული ფედერალიზმი არ იყო მოფიქრებული როგორც გერმანული ფედერალიზმი“, ასე რომ შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობა „არ არის „სახელმწიფო“ კონსტიტუციური სამართლის მნიშვნელობით, არამედ სახელმწიფოთა ფედერაციის მთავრობა“<sup>1</sup>. მაშინ როცა, თავის მხრივ, გერმანული ფედერალიზმი დღეს შეიძლება ძლივს იყოს განხილული როგორც სუვერენული სახელმწიფოების კავშირი, როგორც ის იყო რეიხი XIX ს-ის დასასრულს. ამრიგად, როგორც ეს უკვე ბევრჯერ იყო ხაზგასმული, უფრო უნდა ვიმსჯელოთ ავტონომიურობის ხარისხების ტერმინებით, ვიდრე მკაცრი კატეგორიების ტერმინებით.

ფედერაციული მოდელი მიღებულია პლანეტის ყველაზე უფრო დიდი სახელმწიფოების მიერ, მაგრამ უნიტარული მოდელი არ ისწრაფვის მისით შეცვლისკენ. თანამედროვე პერიოდში ზოგიერთი უნიტარული სახელმწიფო ჩამოყალიბდა იმდენად სრულყოფილი დეცენტრალიზაციით, რომ ორიგინალურად იქნა განზავებული რეგიონული სახელმწიფო მოწყობის ეს ახალი ფორმა.

---

<sup>1</sup> Aspects internationaux du droit constitutionnel. Contribution à la théorie de la fédération d'États, Académie de Droit international de La Haye, Recueil des Cours, tome 294 (2002), p. 60.

პერიოდში, სადაც დეცენტრალიზაციისაკენ მიმართული რეფორმები იწვევს ევროპაში კომენტარებს, რომელიც ეხება რეგიონალური სახელმწიფოს „ფედერალიზაციას“, ასევე - საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის სახელმწიფოს ან ასევე „ფედერაციულ-რეგიონალური“ სახელმწიფოს ტიპის გამოჩენას, „ფისკალური“ ან ასევე „ადმინისტრაციული“ ფედერალიზმის არსებობას (იტალიაში)<sup>2</sup>, არ ჩანს არასაჭიროდ დავუბრუნდეთ საბაზო პრინციპებს. ამრიგად, შეგვიძლია ვილაპარაკოთ „ფედერალიზაციაზე“ რეგიონალურ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, მათ შორის საქართველოზე (ავტონომიურ რესპუბლიკებთან მიმართებაში) ?

სახელმწიფო არის იურიდიული პირი, რომელიც ფლობს სუვერენიტეტს, ის არის პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ფლობს იძულების მონოპოლიას. ის ფედერაციულად ითვლება, როცა მასში შემავალი ერთეულები კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და სასამართლო საკითხში აღჭურვილნი არიან დამოუკიდებლობით, ისეთი დამოუკიდებლობით, რომ იმსახურებენ სახელმწიფოს სახელს ისე, რომ საერთაშორისო კომპეტენციას არ ფლობენ. სახელმწიფოს განვიხილავთ რეგიონულად, როცა მისი კონსტიტუცია აღიარებს ზოგიერთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას რეგიონული ერთეულების სასარგებლოდ, რომლებიც, კერძოდ, ფლობენ ნორმების გამოცემის ხელისუფლებას. მისი სტრუქტურა რჩება უნიტარული. ეს ორი სისტემა ჩანს მსგავსი, როცა მათ ვადარებთ კლასიკურ უნიტარულ სტრუქტურასთან, რომელიც ახდენს სახელმწიფო ხელისუფლების მთლიანობის კონცენტრირებას ერთადერთ ცენტრში. მაგრამ, უფრო ღრმა განხილვას მივყავართ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო მოწყობის ამ ორ ფორმას შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები.

მაშასადამე, თუ ფედერაციული სახელმწიფო და რეგიონული სახელმწიფო ბევრად განსხვავებული სისტემებია, უნდა დავსვათ კითხვა ამ განსხვავების ბუნებაზე. საუბარია ბუნების თუ ხარისხის განსხვავებაზე? რეგიონული მოდელი არის სპეციფიკური, თუ ის წარმოადგენს მხოლოდ გარდამავალ მოდელს უნიტარულ ფორმასა და ფედერაციულ ფორმას შორის? შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ რეგიონალური ავტონომიების განვითარებამ ეჭვგარეშე დაარღვია გამიჯვნა სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმებს შორის. მათ შორის საზღვრები არის სულ უფრო ნაკლებ ზუსტი, სულ უფრო მეტად შეღწევადი. ასე რომ, შეგვიძლო დაგვესვა კითხვა კლასიფიკაციის

<sup>2</sup> ob. L. Vandelli, « Du régionalisme au fédéralisme », Pouvoirs n 103, 2002, p. 81.

სარგებლიანობაზე, რომელიც ხმარებიდან გამოვიდა. თუმცა, განსხვავების ზოგიერთი ელემენტი კიდევ არსებობს – კითხვა რომელიც წამოჭრის ვიცოდეთ მუდამ რჩებიან თუ არა ისინი შეუკვეცავნი – ასე რომ, საზღვრები რჩება ასევე, დღეს, „ალიარებული“ (მაგრამ რამდენი ხნით?). ამ მხრივ, თავდაპირველად გადმოვცემთ ისტორიულ ელემენტებს (I), შემდეგ ვაჩვენებთ ორი სისტემის ნაკლებად ზუსტ საზღვრებს (II), სანამ გამოვავლენთ კიდევ ალიარებულ საზღვრებს (III).

## 2. სახელმწიფოს, როგორც ფენომენის ისტორიული ელემენტები

სახელმწიფო არის იურიდიული პირი, რომელიც ფლობს სუვერენიტეტს. ის შედგება ტერიტორიისაგან, რომელზედაც ცხოვრობს პოლიტიკურად ორგანიზებული მოსახლეობა. ის არის პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ფლობს იძულების მონოპოლიას.

იურისტი კარე დე მალბერგი (1921 წელი) სახელმწიფოს განმარტავს როგორც „ადამიანთა ერთობას, დაფუძნებული საკუთარ ტერიტორიაზე და მფლობელი ორგანიზაციის, საიდანაც მომდინარეობს აღნიშნული ჯგუფისთვის თავის წევრებთან ურთიერთობებში მოქმედების, ბრძანებისა და იძულების უმაღლესი ხელისუფლება“. ამრიგად, ის ხაზს უსვავს სახელმწიფოს ცნების ორმაგ მნიშვნელობას, რომელიც შეესაბამება ტერიტორიულად განსაზღვრული სოციალური ორგანიზაციის ფორმას და ინსტიტუციების ერთობლიობას, რომელთაც ახასიათებთ სამართლის ნორმის გამოცემის და საჯარო შეიარაღებული ძალების გამოყენების მონოპოლიის ფლობა.

თავად ტერმინი სახელმწიფო სავალდებულო გახდა შედარებით მოგვიანებით. ის შეესაბამება რომაულ res publica-ს (საჯარო საქმე), ან, უფრო ნათლად, stato-ს, გამოყენებული მაკიაველის მიერ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების აღსანიშნავად.

სახელმწიფოს თანამედროვე მნიშვნელობა ჩნდება ფაქტობრივად რენესანსის ეპოქაში, როცა სოციალური წესრიგის ღვთაებრივი საფუძველი ჯერ კიდევ ძირითადი დავის საგანს წარმოადგენდა. ბერძნული ქალაქისა თუ რომაული იმპერიის მოდელი კვებავს შუასაუკუნეობრივი ხელისუფლების სისტემის წინააღმდეგ კრიტიკოსებს, რომელ სისტემასაც ეტყობოდა ეკლესიის ზეგავლენა და სუვერენიტეტის ფეოდალური განაწილება. მაკიაველი (1469-1527) სახელმწიფოს განმარტავს როგორც სუვერენულ ცენტრალურ ხელისუფლებას რომელიც ანთავისუფლებს პოლიტიკურ



საქმიანობას რელიგიური და მორალური მოსაზრებებისაგან. რეფორმაციამ ასევე შეუწყო ხელი საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის კავშირების მსხვერვის: მარტინ ლუთერი (1483-1546), კათოლიკური ეკლესიის ხელისუფლების ლოგიკის კრიტიკით, ამტკიცებდა სრულ გამიჯვნას ზეციურ სამყაროსა და ადამიანურ სამყაროს შორის. ჟან ბოდენი (1529-1596), თავის მხრივ, ადასტურებს საჯარო ხელისუფლების არსებობას, რომელიც თამაშობს სოციალური წესრიგის გამაერთიანებლის როლს: მას სახელმწიფო ესმის როგორც სუვერენული ბატონობის ადგილი და, ამ საფუძვლით, ის მას განასხვავებს საზოგადოებისაგან<sup>3</sup>.

სახელმწიფოს ეს თანამედროვე დეფინიცია, ტოვებს მისი ლეგიტიმურობისა და ორგანიზაციის საკითხს. განმანათლებელთა ფილოსოფიით, საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიები იძლევა პასუხებს, რომლებიც ამტკიცებენ სახელმწიფოს არსებობას: სოციალური წესრიგის გარანტირებით, სახელმწიფო გამოხატავს ბუნებითი მდგომარეობიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყველას ომი ყველას წინააღმდეგ, გადასვლას სამოქალაქო მდგომარეობაში, რომელშიც თითოეული არის თავისუფალი ექვემდებარება რა ყველასთვის შექმნილ კანონს. ხალხის ფორმირება პოლიტიკურ სხეულში, სუვერენიტეტის მფლობელი ერი, ცვლის სახელმწიფოს კონცეფციას უქვემდებარებს რა მას დემოკრატიის პრინციპს. აქედან მოყოლებული სახელმწიფო და ერი ჩნდება როგორც ორი მჭიდროდ დაკავშირებული სინამდვილე, მანამდე რაც XIX საუკუნიდან სახელმწიფო-ერის ცნება სავალდებულოა, რომელიც ადასტურებს ზოგიერთი ტერიტორიის უნიფიკაციას ან იმპერიის დანაწევრებას, რომელიც მოიცავს მრავალ ეროვნულ ერთეულს. მაშასადამე, სახელმწიფო ხასიათდება სუვერენული პოლიტიკური მთლიანობის შეთავსებით კულტურულ ერთობასთან, გაერთიანებული ლინგვისტური ან რელიგიური თვალსაზრისით. გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი სახელმწიფოს განმარტავს როგორც ინსტიტუციას, რომელიც, მოცემულ ტერიტორიაზე, ფლობს ლეგიტიმური ფიზიკური ძალადობის მონოპოლიას<sup>4</sup>. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდები აღიარებენ სახელმწიფო ხელისუფლებას იღებენ რა მისგან დამორჩილებას: ეს ხელისუფლება დაფუძნებულია

---

<sup>3</sup> იხ. L'État régional, Prépa Sciences Po, p.1. <http://www.institut-major.fr/annales-sciences-po/Droit%20Constitutionnel%20-%20Etat%20r%C3%A9gional.pdf>

<sup>4</sup> B. Chantebout, Droit constitutionnel, SIREY, 2007, p. 8.

ტრადიციაზე, მმართველის ქარიზმაზე ან, თანამედროვე საზოგადოებებში, კანონიერებითა და ბიუროკრატით განხორციელებულ რაციონალურობაზე.

იურიდიული თვალსაზრისით, სახელმწიფოს ძირითადი ნიშანი არის სუვერენიტეტის განხორციელება, რომელიც არის აბსოლუტური ხელისუფლება, რომლიდანაც მომდინარეობს ყველა სხვა ხელისუფლება. ეს ნიშნავს, რომ ტერიტორიის შიგნით, რომელზედაც მას აქვს პასუხისმგებლობა, სახელმწიფო ფლობს თავისი კომპეტენციების კომპეტენციას. როდესაც ეს სუვერენიტეტი განხორციელებულია ერთადერთი ინსტიტუციური ერთობლიობით, სახელმწიფო უნიტარულია. როდესაც სუვერენიტეტი განაწილებულია მრავალ სუვერენულ სახელმწიფოს შორის იქამდე, რომ თავად ისინი გაერთიანებულნი არიან იმავე სახელმწიფოებრივი ერთობის შიგნით, ვსაუბრობთ ფედერალურ სახელმწიფოზე.

ზოგიერთი ე.წ. „უნიტარული“ სახელმწიფო როგორც იტალია ან ესპანეთი ძალიან შორს წავიდნენ დეცენტრალიზაციის პროცესში რეგიონებისათვის ფართო ავტონომიის გადაცემით და განსაკუთრებით - საკანონმდებლო ხელისუფლების, რაც მათ ნათლად განასხვავებს დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოებისაგან, მაშასადამე სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისგან სახელმწიფოს კომპეტენციების გადასვლა მისგან განსხვავებულ ინსტიტუციებზე, საფრანგეთში ესაა ადმინისტრაციულ ტერიტორიული წარმონაქმნები. მაშასადამე, ეს წარმონაქმნები სარგებლობენ გადაწყვეტილების ზოგიერთი ავტონომიით და თავიანთი საკუთარი ბიუჯეტით თავისუფალი ადმინისტრირების პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოს წარმომადგენლის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც ასრულებს საზედამხედველო ხელისუფლებას. ეს არ არის ზემდგომი ორგანო, ის უბრალოდ ამოწმებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების მიერ გამოცემული აქტების კანონიერებას. იტალიაში, რეგიონალიზმი განმტკიცდა ფაშისტური ავტორიტარიზმის პასუხად: 1947 წლის კონსტიტუცია ადგენს საკმაოდ სრულყოფილ დეცენტრალიზაციას, რომლის განხორციელება დაიწყო მხოლოდ 1970 წელს ჩვეულებრივი რეგიონებისათვის, მაგრამ 1948 წლიდან სპეციალური სტატუსის მქონე (კვაზი ფედერალური სტატუსის მქონე) რეგიონებისათვის. ესპანეთში, რეგიონალური ავტონომიების სიცოცხლე იძებნება 1978 წლის კონსტიტუციასთან ერთად და დემოკრატის აღდგენა შესაბამის ჩარჩოებში; „ავტონომიური“ სახელმწიფო ფედერაციული სახელმწიფოსა და

უნიტარული სახელმწიფოს სინთეზია. ამ ორ ქვეყანას აქვს ერთად, მაგრამ განსხვავებულ ხარისხში, რეგიონების ავტონომია სრულყოფილი, ეროვნულ კანონმდებლობაში შეზღუდული მონაწილეობა, სახელმწიფოს უნიტარული ხასიათის შენარჩუნების ფარგლებში. ზოგჯერ „რეგიონალურ სახელმწიფოებად“ კვალიფიცირებულნი, ისინი რჩებიან უნიტარულ სახელმწიფოებად, ვინაიდან მართლწესრიგი რჩება ერთი, განსხვავებით ფედერაციული სახელმწიფოებისაგან, სადაც თანაარსებობს ფედერალური მართლწესრიგი და ფედერაციის წევრი სახელმწიფოს მართლწესრიგი. ბიკამერალიზმი არ გამოხატავს რეალურად მონაწილეობის პრინციპს, რომელიც, სახელმწიფოს საკანონმდებლო სფეროში, მეტად შეზღუდულია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნიათ საკუთარი კონსტიტუცია განსხვავებით ფედერაციის წევრი სახელმწიფოებისაგან, რეგიონალური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნები მაინც ინაწილებენ საკანონმდებლო ხელისუფლებას ცენტრალურ სახელმწიფოსთან: ავტონომიური საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება, რომელიც გულისხმობს, რომ გავდივართ მარტივი დეცენტრალიზაციის ჩარჩოდან როგორც საფრანგეთში, სადაც დეცენტრალიზაცია შემოიფარგლება არსებითად ადმინისტრაციული კომპეტენციების გადაცემით. ესპანეთი და იტალია გამოხატავენ ამ ორიგინალურ სისტემას. რეგიონალური სახელმწიფოს საკითხის დასმა გულისხმობს სახელმწიფოს ამ ფორმის ორგანიზების მეთოდის გაგებას. პრობლემის კომპლექსურობა მდგომარეობს სისტემის დანერგვაში, რომელიც საშუალებას იძლევა ერთდროულად რეგიონების ავტონომიურობის რეალიზების სახელმწიფოს უნიტარული ფორმის შენარჩუნებით.

### 3. ნაკლებად ზუსტი საზღვრები

რეგიონალური ავტონომიების განვითარებამ მიგვიყვანა სახელმწიფოსა და რეგიონალურ ტერიტორიულ ერთეულებს შორის კომპეტენციათა განაწილების სისტემის დადგენამდე, სახელმწიფოებში, რომლებიც ფორმალურად რჩებიან „უნიტარულნი“. ეს სისტემა არის სრულებით შედარებითი სისტემასთან, რომელიც გვხვდება ფედერალური ტიპის სახელმწიფოებში.

სუბსიდიარულობის პრინციპი, რომელსაც მივყავართ პრინციპის კომპეტენციის მიცემამდე ქვესახელმწიფოებრივი ტერიტორიული ერთეულებისათვის და მინიჭების კომპეტენციის - სახელმწიფოსათვის, არის

ასევე აღიარებული ზოგიერთი რეგიონალური სახელმწიფოს კონსტიტუციაში, როგორც იტალიაში 2001 წლიდან.

გარდა ამისა, მატერიალური კომპეტენციების გარდა, რომლებიც მათ გარანტირებული აქვთ კონსტიტუციით, რეგიონალურ ტერიტორიულ ერთეულებს, ფედერალური სახელმწიფოების მსგავსად, შეუძლიათ ჰპოვონ აღიარება ნამდვილი ხელისუფლების, საკანონმდებლო, რომელიც გამკლიერებულია, იტალიაში ბოლო დროს<sup>5</sup>.

ამ ორი კრიტერიუმის შესაბამისად (კომპეტენციათა კონსტიტუციური განაწილება და ავტონომიური ნორმატიული ხელისუფლების ფლობა) რეგიონალური ტერიტორიული ერთეულები შეიძლება იმყოფებოდეს ავტონომიური საფეხურის ყველაზე უფრო მაღალ დონეზე.

#### ა) კომპეტენციათა კონსტიტუციური განაწილება

ლიტერატურაში კრიტიკას იმსახურებს მოსაზრება, რომ კომპეტენციათა განაწილება არის ფედერალისტური იდეის პოლიტიკური ბირთვი<sup>6</sup>.

დღეს ფედერალური კონსტიტუციები აღარ არის ერთადერთი განმსაზღვრელი საკანონმდებლო კომპეტენციების განაწილების ცენტრალურ სახელმწიფოსა და ქვესახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის და ამდღარებელი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სრული კომპეტენციის, განიხილოს დავა კომპეტენციის თაობაზე სახელმწიფოებრივ ორგანოებს და ტერიტორიულ ორგანოებს შორის.

რეგიონალური ტიპის ზოგიერთი სახელმწიფო, და ისევ ძალიან შეზღუდული სახით, იცნობს ამ თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად შესამჩნევ „ფედერალიზაციას“.

იტალიაში, 2001 წლის კონსტიტუციურმა რეფორმამ მიანიჭა რეგიონულ სისტემას ფედერალური სახელმწიფოსათვის მსგავსი ნიშნები.

თავდაპირველად რეგიონალური კომპეტენციები იზღუდებოდა ამომწურავად ჩამოთვლილ თვრამეტ საკითხამდე. ჩვეულებრივი რეგიონები ფლობდნენ მხოლოდ კონკურენტულ და კანონების აღსრულების კომპეტენციას. სპეციალური სტატუსის მქონე ხუთი რეგიონი სარგებლობდა ასევე ექსკლუზიური (პირველადი) კომპეტენციით. რაც შეეხება

<sup>5</sup> იხ. L'État régional, Prépa Sciences Po, p.2. <http://www.institut-major.fr/annales-sciences-po/Droit%20Constitutionnel%20-%20Etat%20r%C3%A9gional.pdf>.

<sup>6</sup> იხ. გ. ხუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000, გვ. 135-136.

სახელმწიფოს, ის ფლობდა ე.წ. დარჩენილ კომპეტენციას: მას შეეძლო ეკანონმდებლა ყველა დანარჩენ საკითხზე, იმაში, რომლებშიც რეგიონები არ ერეოდნენ. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაც კი გამოიტანა, რომ სახელმწიფოს თავად შეეძლო განესაზღვრა რეგიონალური კომპეტენციების საკითხები იმისათვის, რათა ისინი შეეხამებინა იტალიის იურიდიული წესრიგის განვითარებისათვის (1981 წლის 30 ივლისის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N 174)<sup>7</sup>. სწორედ 2001 წლის კონსტიტუციური რეფორმა არღვევს კომპეტენციათა განაწილების კრიტერიუმს რეგიონის სასარგებლოდ, რომელიც ეძღვნება ამრიგად სუბსიდიარულობის პრინციპს, რაც იტალიური დოქტრინის ნაწილის მიერ განხილული იყო როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი ფედერალიზმის გზაზე<sup>8</sup>.

რასაკვირველია, სახელმწიფოს ექსკლუზიური კომპეტენციები, ამომწურავად ჩამოთვლილი კონსტიტუციის 117-ე მუხლით რჩება მნიშვნელოვანი<sup>9</sup>. აქ ვნახულობთ ყველა იმ ფუნქციას, რომელიც რჩება ფედერაციულ სახელმწიფოს ფედერაციაში (ფული, თავდაცვა, უშიშროება, იუსტიცია, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი...), რომლებშიც შეიძლება ზოგჯერ ჩაერიოს რეგიონები (ევროკავშირთან ურთიერთობები).

სახელმწიფო რჩება ასევე კომპეტენტური, რომ ჩარჩო კანონებით განამტკიცოს ე.წ. კონკურენტული კანონმდებლობის ფუნდამენტური პრინციპები, რომელიც შეეხება ოცამდე საკითხს (განათლება, ტრანსპორტი, კვება, ტერიტორიის ათვისება...), რომლებშიც რეგიონებს შეუძლიათ განახორციელონ დეტალური მოწესრიგება. თუმცა, რეგიონები ჩარჩო კანონების შემუშავებასთან დაკავშირებულნი არიან რეგიონალურ საკითხებზე ბიკამერალური კომისიის მეშვეობით, რომელიც იძლევა თავის მოსაზრებას პროექტზე (მოსაზრება, რომელიც მოითხოვს კანონის მიღებას კვალიფიციური უმრავლესობით).

რეგიონები იღებენ დარჩენილ კომპეტენციას, სხვაგვარად რომ ვთქვათ პრინციპის კომპეტენციას. 2005 წელს ინიცირებული რეფორმა წყვეტდა საკითხს, რომელიც ზუსტად ითვალისწინებდა, რომ საუბარია ექსკლუზიურ კომპეტენციაზე (კონსტიტუციის 197-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

<sup>7</sup> ob. André ROUX, *Autonomie régionale et formes de l'État*, *Renouveau du droit constitutionnel*, Dalloz, 2007, p. 896.

<sup>8</sup> ob. H. Portelli, *Droit constitutionnel*, Dalloz, 2011, p. 13.

<sup>9</sup> *Constitution de la République italienne*, <http://mjp.univ-perp.fr/constit/it1947a.htm> .

ესპანეთის კონსტიტუცია აჩვენებს მის დიდ მოქნილობას კომპეტენციათა განაწილებაში. ის ჩამოთვლის იმ კომპეტენციებს, რომლებიც გაერთიანებებს შეუძლიათ თავის თავზე აიღონ (კონსტიტუციის 148-ე მუხლი, კერძოდ 22 რუბრიკა: ტერიტორიის ათვისება, ურბანიზმი, ადგილობრივი ადმინისტრაცია, სოფლის მეურნეობა, მუზეუმები, ტურიზმი, ტრანსპორტი...) და ის ადგენს სიას სახელმწიფოებრივი კომპეტენციების, რომელიც მოიცავს 32 რუბრიკას (კონსტიტუციის 149-ე მუხლის პირველი პუნქტი)<sup>10</sup>.

კონსტიტუცია აზუსტებს, რომ „საკითხები, რომლებიც ზუსტად არ არის მინიჭებული სახელმწიფოსათვის კონსტიტუციით, შეიძლება დაეკისროს ავტონომიურ ერთეულებს თავიანთი შესაბამისი სტატუტების შესაბამისად. კომპეტენციები, რომლებიც არ ფიგურირებს გაერთიანებების სტატუტებში ეკისრება სახელმწიფოს, რომლის ნორმებსაც, კონფლიქტის შემთხვევაში, ენიჭება უპირატესობა ავტონომიური ერთეულების ნორმებზე ყველა სფეროში, რომლებიც არ წარმოადგენენ მათ ექსკლუზიურ კომპეტენციას (კონსტიტუციის 149-მუხლის მე-3 პუნქტი).

მაშასადამე, იტალიურ რეგიონებსა და სახელმწიფოს შორის კომპეტენციათა განაწილების მექანიზმები ან ესპანური ავტონომიური ერთეულები აჩვენებენ ერთმანეთთან ძლიერ მსგავსებებს და ისინი სრულებით ადაპტირებულნი იქნებოდნენ ფედერალური სახელმწიფოს ფორმასთან.

მით უფრო, რომ კომპეტენციათა კონფლიქტები სახელმწიფოსა და რეგიონულ ერთეულებს შორის იმყოფება საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენციაში, რომლებიც ამ მხრივ თამაშობენ ისეთივე როლს, როგორც კონსტიტუციური სასამართლოები ფედერალურ სახელმწიფოში<sup>11</sup>.

ასეთი „ფედერალური ლოგიკა“ ასევე შეეხება საფრანგეთის უნიტარულ სახელმწიფოს და, უფრო ზუსტად კონსტიტუციის 74-ე მუხლის მიხედვით ზღვისიქითა გაერთიანებებს<sup>12</sup>.

ამ გაერთიანებების კომპეტენციების განსაზღვრა პირდაპირ არ გამომდინარეობს კონსტიტუციიდან, არამედ მათი განსაზღვრა

<sup>10</sup> Constitution espagnole, <http://mjp.univ-perp.fr/constit/es1978.htm> .

<sup>11</sup> ob. J. Fialaire, L'encadrement constitutionnel des pouvoirs normatifs des régions italiennes et espagnoles. Cahiers administratifs et politistes du Ponant, 2005, pp. 79-93.

<sup>12</sup> Constitution de la République française, <http://www.assemblee-nationale.fr/connaissance/constitution.asp>

დამოკიდებულია ორგანულ კანონზე (მაშინ როცა სხვა გაერთიანებების კომპეტენციათა განსაზღვრა დამოკიდებულია ჩვეულებრივ კანონზე), რომელიც, პოლინეზიის შემთხვევაში, პრინციპის კომპეტენციას ანიჭებს გაერთიანებას და მინიჭების კომპეტენციას სახელმწიფოს [2004 წლის 27 თებერვლის ორგანული კანონის მე-14 მუხლი]. რასაკვირველია ფედერალურ სისტემაში, კომპეტენციათა ეს განაწილება თუმცა არ ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლს, მაგრამ რჩება ადმინისტრაციული სასამართლოს კონტროლის ქვეშ. სხვანაირადაა საქმე კალედონიურ კანონებთან, რომლებსაც აქვთ საკანონმდებლო აქტების ბუნება და ექვემდებარებიან საკონსტიტუციო საბჭოს კონტროლს<sup>13</sup>.

საქართველოში, მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციები განსაზღვრულია კონსტიტუციური კანონით (2004 წლის 1-ლი ივლისის კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ), რომელიც ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. ხოლო, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხორციელდება (საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი).

## **ბ) ავტონომიური ნორმატიული ხელისუფლების ფლობა**

თუ „ნორმატიული პოლიცენტრიზმი“ რჩება ფედერაციული სახელმწიფოების მთავარ მახასიათებლად, რეგიონალური ტიპის სახელმწიფოები სინამდვილეში იცნობენ ასევე შედარებით მდგომარეობას. და, ვინაიდან საუბარია მაგალითად იტალიაზე, ახალმა ევოლუციამ გაამძიერა კიდევ ასიმილაცია, ისე, რომ რეგიონალური საკანონმდებლო ხელისუფლება დღეს უფრო შეზღუდულია ესპანეთში, ვიდრე იტალიაში.

მართლაც, ესპანეთში მაშინ როცა კონსტიტუცია ზუსტად ითვალისწინებს საკანონმდებლო ხელისუფლებას მხოლოდ პირველი რიგის ავტონომიური გაერთიანებების სასარგებლოდ, ამ ხელისუფლების გამოყენება და სასამართლო პრაქტიკა გავრცელებულია მეორე რიგის გაერთიანებებზე<sup>14</sup>.

<sup>13</sup> იხ. André ROUX, Autonomie régionale et formes de l'État, *Renouveau du droit constitutionnel*, Dalloz, 2007, p. 898.

<sup>14</sup> იხ. N. Kada, *Les collectivités territoriales dans l'Union européenne*, P.U.G., 2010, pp. 18-19.

გარდა ამისა, გენერალურ კორტესებს შეუძლიათ მიაკუთვნონ ყველა ავტონომიურ გაერთიანებას, ან ზოგიერთ მათგანს, უფლება მიიღოს საკანონმდებლო ნორმები სახელმწიფოს კომპეტენციაში მყოფ საკითხებზე. ეს „რეგიონალური კანონები“ უნდა ეწერებოდეს სახელმწიფოს კანონით დადგენილი პრინციპების, საფუძვლებისა და დირექტივების ფარგლებში და ამ საფუძველზე იყოს გენერალური კორტესების მიერ კონტროლირებადი.

იტალიაში, საკანონმდებლო „პოლიცენტრიზმის“, სხვაგვარად რომ ვთქვათ რეგიონალური საკანონმდებლო ხელისუფლების, დადგომას მიესალმნენ როგორც 1947 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთ დიდ ინოვაციას. 2001 წლის რეფორმამდე რეგიონი გამოსცემდა „საკანონმდებლო ნორმებს“ თავისი კომპეტენციის საკითხებში, მაგრამ თვით ამ ნორმების კანონის ბუნება იყო ზოგჯერ საკამათო. მართლაც, რეგიონალური კანონები არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო როგორც ნამდვილად „ავტონომიური“ ვინაიდან რეგიონების ჩარევა, საკითხებში, რომლებიც სახელმწიფოსთან კონკურენტული კომპეტენციის საგანს წარმოადგენს, რჩებოდა დაქვემდებარებული სახელმწიფოებრივი კანონის წინასწარ მიღებას. ეს უკანასკნელი ადგენდა ფუნდამენტურ პრინციპებს და რეგიონალური კანონი გამოყენების ზომებს. კონსტიტუციის 117-ე ახალი მუხლი ახლა განსაზღვრავს, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, რომ „საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება სახელმწიფოსა და რეგიონების მიერ“ კონსტიტუციით განსაზღვრულ საკითხებში. რეგიონალურ კანონებს შეუძლიათ მოაწესრიგონ სახელმწიფოებრივი კანონის წინასწარი საჭიროების გარეშე. როგორც ესპანეთში იერარქიის პრინციპი ადგილს უთმობს კომპეტენციის პრინციპს. სახელმწიფოებრივი კანონები და რეგიონალური კანონები სარგებლობენ რეალური თანასწორობით, მით უმეტეს, რომ ერთიდაიგივე შეზღუდვებს ექვემდებარებიან. 2001 წლამდე რეგიონალურ კანონებს უნდა დაეცვათ ეროვნული ინტერესი და სხვა რეგიონების ინტერესი (კონსტიტუციის 117-ე ძველი მუხლი). 2001 წლიდან რეგიონალური და სახელმწიფოებრივი კანონები ექვემდებარებიან კონსტიტუციის დაცვას და « გაერთიანების რეგლამენტაციიდან და საერთაშორისო ვალდებულებებიდან მომდინარე იძულებას » (რაც გამოსადეგია ასევე ეროვნული კანონებისთვის).

საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ 2004 წლის კონსტიტუციური კანონის მიღების შემდეგ, რომელმაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მისცა კომპეტენცია ზოგიერთ



საკითხში კანონების მიღებისათვის (კანონის მე-7 მუხლი), მოწმე ვართ საკანონმდებლო საკითხში სახელმწიფოებრივი მონოპოლიის ისეთ დონემდე, რომ არ შეგვიძლია ვისაუბროთ „სუვერენიტეტის გაყოფაზე“. კერძოდ, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ის საკითხები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად არ განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას, წესრიგდება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით“. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კონსტიტუციური კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არ ეწოდა „პარლამენტი“, ვინაიდან ტერმინ პარლამენტს არ აქვს წმინდა ლექსიკური მნიშვნელობა, არამედ ფლობს ასევე შინაარსობრივ მნიშვნელობას, იკავებს რა ექსკლუზიურ პოზიციას კონსტიტუციურ ორგანიზებაში.

#### **4. კიდევ აღიარებული საზღვრები**

როგორც ვნახეთ სახელმწიფოების რეგიონალიზაცია ხასიათდება ავტონომიურობის ხარისხით და ექსკლუზიური კომპეტენციებით, რომლებსაც ფლობენ ადგილობრივი ერთეულები. თუმცა, ამ მახასიათებლებმა არ უნდა გამოიწვიოს არევა სახელმწიფოების სხვა ფორმებთან. რეგიონალური სახელმწიფო არ არის არც ფედერალური სახელმწიფო არც ადმინისტრაციულად დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო როგორც საფრანგეთში. მიუხედავად ამისა, ის მაინც რჩება უნიტარულ სახელმწიფოდ.

როგორც არ უნდა იყოს რეგიონალური ავტონომიის მოწინავე პოზიციები, ზღვარი, რომელიც მიჯნავს, ერთის მხრივ, უნიტარულ სახელმწიფოს (დეცენტრალიზებული როგორც საფრანგეთი ან რეგიონალური როგორც ესპანეთი ან იტალია) და მეორეს მხრივ, ფედერაციული ტიპის სახელმწიფოს, არ იქნება გადალახული ვიდრე რეგიონალური გაერთიანებები, ფედერალური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, არ ფლობენ არანაირ დამფუძნებელ ხელისუფლებას და არ სარგებლობენ წარმომადგენლობით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებში.

#### **ა) დამფუძნებელი ხელისუფლების ფლობა**

ფედერაციის წევრი სახელმწიფოები სარგებლობენ პრინციპში „კონსტიტუციური სუვერენიტეტით“, რომელიც არის ყველაზე ხშირად „ფედერალური ხელშეკრულების“ პირობა ფედერალურ კონსტიტუციაში მოხსენიებული ზოგიერთი ფუნდამენტური პრინციპის დაცვით (მმართველობის რესპუბლიკური ფორმა, დემოკრატია) ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აღიჭურვონ საკუთარი კონსტიტუციით (გამონაკლისია ბელგია)<sup>15</sup>.

გარდა ამისა, ფედერაციაში ფედერალური კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურები ჩაირთავს გამორჩეულად ან არა ფედერალური გაერთიანებების პოლიტიკურ ხელისუფლებებს. სახელმწიფოების კვალიფიციური უმრავლესობის თანხმობა აუცილებელია (შეერთებული შტატები, კანადა,...)<sup>16</sup>, ზოგჯერ ერთხმივობაა საჭირო, როცა გადასინჯვა ეხება ზოგიერთ საკითხს. (მაგალითად, კანადაში ერთხმივობა მოითხოვება ცვლილებებისათვის, რომელიც დაკავშირებულია ფრანგული თუ ინგლისური ენის გამოყენებასთან, უზენაესი სასამართლოს შემადგენლობასთან და ა.შ.)<sup>17</sup>.

მსგავსი არაფერია უნიტარულ სახელმწიფოში, მათ შორის რეგიონალური ტიპის სახელმწიფოშიც. არა მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურები არ ითვალისწინებენ არანაირად ჩარევას ქვესახელმწიფოებრივი გაერთიანებების, არამედ, გარდა ამისა, ეს უკანასკნელნი არ სარგებლობენ კონსტიტუციაში ცვლილებების ინიცირების უფლებით.

თვალნათელია, რომ იტალიური და ესპანური რეგიონალური გაერთიანებები აქ თითქმის არ განსხვავდებიან ფრანგული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისაგან, რომელთა სტატუსიც რჩება დადგენილი თვით სახელმწიფოს მიერ<sup>18</sup>.

იტალიის კონსტიტუცია შეზღუდულად ჩამოთვლის სხვადასხვა რეგიონს (კონსტიტუციის 131-ე მუხლი), რომელთაგან ხუთს აქვს გამლიერებული

<sup>15</sup> იხ. H. Portelli, Droit constitutionnel, Dalloz, 2011, pp. 13-14.

<sup>16</sup> იხ. L'organisation des États fédéraux: démocratie, répartition des compétences, État de droit et efficacité de l'action publique, 2013, pp. 5-12, <https://www.senat.fr/lc/lc242/lc242.pdf> .

<sup>17</sup> Lois constitutionnelles de 1867 à 1982, <http://laws-lois.justice.gc.ca/fra/Const/> .

<sup>18</sup> იხ. A. Cecile, Les collectivités territoriales, 2010, pp. 1-9, [http://babalex.org/IMG/pdf/Collectivites\\_territoriales.pdf](http://babalex.org/IMG/pdf/Collectivites_territoriales.pdf)

ავტონომიურობა (კონსტიტუციის 116-ე მუხლი), რომელთა სტატუსიც, ჩვეულებრივი რეგიონებისაგან განსხვავებით, დამოკიდებულია კონსტიტუციურ კანონზე. რასაკვირველია, 2001 წლის 18 ოქტომბრის კონსტიტუციური ცვლილებით ხორციელდება გაყოფა რესპუბლიკასა და სახელმწიფოს შორის, ვინაიდან კონსტიტუციის 114-ე ახალი მუხლი განსაზღვრავს, რომ „რესპუბლიკა შედგება რაიონებისგან, პროვინციებისგან, რეგიონების სადედაქალაქო ქალაქებისგან და სახელმწიფოსგან“, რაც, ჩანს, ამ უკანასკნელს განათავსებს იგივე დონეზე, რასაც ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლების ორგანოებს. მაგრამ აქ საუბარია, სინამდვილეში, არასწორ პარიტეტზე. მხოლოდ სახელმწიფო რჩება სუვერენული რესპუბლიკის შიგნით<sup>19</sup>.

ყველა რეგიონი ხედავს კონსტიტუციით დაცულ საკუთარ ავტონომიურობას, მხოლოდ ისინი ვერ აღწევენ ამ ავტონომიურობას, ვინაიდან ეს ავტონომიურობა მათ გადაეცათ და ნებისმიერი რეგიონალური „თვითგამორკვევა“ გამორიცხულია.

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 1999 წლიდან ეროვნული პარლამენტი აღარ ერევა კვლავ რეგიონების სტატუსის მიღებაში. კონსტიტუციის 123-ე ახალი მუხლი სინამდვილეში ითვალისწინებს, რომ რეგიონალური საბჭო იღებს და ცვლის რეგიონის სტატუსს, რომელიც, კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, ადგენს „მმართველობის ფორმას და ორგანიზებისა და ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს“. სტატუსის მიღება ხორციელდება კანონით, რომელიც მიღებულია რეგიონალური საბჭოს მიერ მისი წევრების აბსოლუტური უმრავლესობით მიღებული ორ თანმიმდევრულ სესიაზე არანაკლებ ორი თვის ინტერვალით.

თუ სახელმწიფოს აღარ შეუძლია უშუალოდ აკონტროლოს სტატუსი, მას მაინც შეუძლია „დასვას რეგიონალური სტატუსების კონსტიტუციურობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მათი გამოქვეყნებიდან 30 დღეში“ (კონსტიტუციის 123-ე მუხლი). ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, თუ ის იქნება წარდგენილი, შეამოწმოს სტატუსი იცავს თუ არა „კონსტიტუციასთან შესაბამისობის“ მოთხოვნას.

ამავე დროს, კონსტიტუცია უწესებს ზოგიერთ შინაარსს რეგიონების სტატუსს და კერძოდ, რეგიონალური ინსტიტუტების ფორმასა და

---

<sup>19</sup> იხ. André ROUX, *Autonomie régionale et formes de l'État*, *Renouveau du droit constitutionnel*, Dalloz, 2007, p. 900.

სტრუქტურას, მაგრამ რეგიონალურ სტატუტებს შეუძლიათ უფრო შორს წავიდნენ და განსაზღვრონ კერძოდ ყველაფერი, რაც ქმნის რეგიონალურ იდენტურობას.

რაც შეეხება ესპანური ავტონომიური ერთეულების სტატუტებს, კონსტიტუციის 147-1 მუხლი აზუსტებს, რომ ისინი ქმნიან „თითოეული ავტონომიური ერთეულის ძირითად ინსტიტუციურ ნორმას“ და რომ სახელმწიფომ ისინი უნდა აღიაროს და დაიცვას როგორც „თავისი იურიდიული წესრიგის შემადგენელი ნაწილი“. სტატუტი, როგორც სახელმწიფოს ორგანული კანონი (კონსტიტუციის 81-ე მუხლი), რჩება კონსტიტუციის კონტროლს დაქვემდებარებული, არაკონსტიტუციურობის სარჩელი ყოველთვის შეიძლება წარდგენილ იქნას სტატუტის პროექტის მიმართ.

სტატუტების მიღებისა და ცვლილებების შეტანის პროცედურები მოითხოვს სახელმწიფოსა და ტერიტორიული ერთეულების თანხმობას ისევე როგორც დაინტერესებული მოსახლეობის თანხმობას.

სტატუტით გათვალისწინებული ავტონომიურობის საზღვრები ნათლად გამოჩნდა 2004 წელს ესპანეთის პარლამენტის უარით მიეღო ბასკეთის ახალი სტატუტი (რომელიც მიღებული იყო უმნიშვნელო უმრავლესობით ბასკეთის პარლამენტის მიერ). ეს ტექსტი, სუვერენისტული ორიენტაციის, ითვალისწინებდა სუვერენიტეტის გადაცემას ბასკი ხალხისთვის, თვითგამორკვევის უფლების აღიარებას.

ასევე, კატალონიის ახალი სტატუტი ხანგრძლივი მოლაპარაკებების საგანი იყო ესპანეთის მთავრობასა და კატალონიის მთავრობას შორის, სანამ მოწონებული იქნებოდა ამომრჩევლების მიერ 2006 წლის ივნისში, რამაც 2005 წლის სექტემბერში გამოიწვია ბარსელონის „პარლამენტის“ მიერ მიღებული პროექტის იმ დებულებების გაუქმება, რომლებიც თვალნათლივ აჭარბებდნენ კონსტიტუციის საზღვრებს. ფინანსების გარდა, ყველაზე სადავო პუნქტი, ვინაიდან ატარებს ძლიერ ემოციურ და სიმბოლურ დატვირთვას, შეეხებოდა „ერის“ ტერმინს, გამოყენებული კატალონიისთვის, რომელიც ფიგურირებდა პროექტის პირველ მუხლში (რომელიც განიხილებოდა როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგო) და რომელიც ფიგურირებს დღეიდან სტატუტის პრეამბულაში, რომელსაც არ აქვს იურიდიული ღირებულება.

## ბ) სახელმწიფო ხელისუფლებაში მონაწილეობა

ფედერაციული სახელმწიფო კონსტიტუციურად ორგანიზებულია ორ პრინციპზე დაყრდნობით: ავტონომიურობის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს ფედერაციის სუბიექტების თავისუფალ ორგანიზებას, და მართვაში მონაწილეობის პრინციპი, რომელიც ფედერაციის სუბიექტებს ჩართავს ფედერალურ გადაწყვეტილებაში. როგორც აღნიშნავს გიორგი ხუბუა, ფედერაციული სახელმწიფოს არსებით, სტრუქტურულ ნიშანს აყალიბებს ფედერაციის სუბიექტის მონაწილეობა საერთო-პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესში<sup>20</sup>.

ეს მონაწილეობა, სხვა მექანიზმებთან ერთად, გულისხმობს საპარლამენტო ასამბლეის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს ფედერაციის თითოეული სუბიექტის ინდივიდუალიზირებულ წარმომადგენლობას, და რომელიც განკუთვნილია იმისთვის, რომ ასახოს შემაღენელი სახელმწიფოების ინტერესები და ხედვები, რაც განიხილება როგორც რეგიონალური ერთეულები პოლიტიკაში.

აუცილებელია ასევე აღვნიშნოთ, რომ „სახელმწიფოების პალატა“ პრაქტიკაში არ ფლობს ექსკლუზიურად ფედერაციული ერთეულების ინტერესების დაცვას, აქ იგულისხმება ამერიკის შეერთებული შტატებიც<sup>21</sup>.

სამაგიეროდ, უნიტარულ სახელმწიფოში, ის არის რეგიონალური ტიპის, ტერიტორიული გაერთიანებები, როცა ისინი წარმოდგენილნი არიან დიდ პალატაში, ისინი არ არიან როგორც ინდივიდუალური სუბიექტები, არამედ როგორც მთლიანი სისტემა, განუყოფელი.

გარდა ამისა, ეს წარმომადგენლობა ყველაზე ხშირად არის არაპირდაპირი: მაგალითად, საფრანგეთში ტერიტორიული ერთეულები არ არიან წარმოდგენილნი უშუალოდ სენატში, არამედ – საარჩევნო კოლეგიაში, რომელიც, თითოეულ დეპარტამენტში, ირჩევს სენატორებს.

ამ თვალსაზრისით, იტალიისა და ესპანეთის სენატები უფრო ახლოსაა საფრანგეთის სენატთან, ვიდრე ამერიკის სენატთან ან გერმანიის ბუნდესრატთან.

ესპანეთში, სენატს ეწოდება „ტერიტორიული წარმომადგენლობის პალატა“ (კონსტიტუციის 69-1 მუხლი), მაგრამ მისი ფუნქცია თავიდან ზუსტად არ იყო განსაზღვრული, მით უმეტეს რომ 1978 წელს

<sup>20</sup> გ. ხუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000, გვ. 358.

<sup>21</sup> R. Dehousse, Le paradoxe de Madison: réflexions sur le rôle des Chambres hautes dans les systèmes fédéraux, RDP, 1990, p. 664.

ჩამოყალიბებული ტერიტორიული მოდელი რჩებოდა ფართოდ აღდგენის პროცესში (კონსტიტუციის 137-ე მუხლი, „სახელმწიფო შედგება, მის ტერიტორიულ ორგანიზაციაში კომუნებისგან, პროვინციებისგან და ავტონომიური გაერთიანებებისგან, რომლებიც იქნებიან დაფუძნებულნი“).

ის, რაც უდავოა, არის ის, რომ სენატი არ წარმოადგენს უშუალოდ ავტონომიურ გაერთიანებებს: პროვინციები რჩებიან ძირითად საარჩევნო ოლქებად სენატორთა არჩევნებისათვის (კონსტიტუციის 69-ე მუხლი). რამდენადაც სენატორების 4/5 არჩეულია პროვინციების ფარგლებში, რთულია ვიხილოთ წარმომადგენლობითი პალატა, განსხვავებული დეპუტატთა კონგრესისგან, რომლის წევრებიც არჩეულნი არიან ასევე პროვინციებში (68-2 მუხლი).

ერთადერთი პირდაპირი კავშირი ავტონომიურ გაერთიანებებსა და სენატს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ავტონომიური ერთეულების საკანონმდებლო ასამბლეები ირჩევენ ერთ სენატორს და კიდევ ერთს ყოველ მილიონ მაცხოვრებელზე მათი შესაბამისი ტერიტორიის.

ფუნქციური თვალსაზრისით, სენატს მაინც შეუძლია ითამაშოს რეგიონალური ავტონომიების დაცვის როლი, ვინაიდან მთავრობას არ შეუძლია მიიღოს სავალდებულო ზომები, რომ ავტონომიურმა ერთეულებმა დაიცვან თავიანთი კონსტიტუციური ან საკანონმდებლო ვალდებულებები ან დაიცვან გაერთიანების მიერ მნიშვნელოვნად აღიარებული ზოგადი ინტერესი, იმ პირობით, რომ მიიღოს სენატის წევრების აბსოლუტური უმრავლესობის მოწონება (კონსტიტუციის 155-ე მუხლი).

სენატს ასევე შეუძლია ითამაშოს განმსაზღვრელი როლი, რომელიც შეეხება კანონებს, რომლებიც ადგენენ ავტონომიურ ერთეულებთან დაკავშირებულ ნორმატიული დებულებების ჰარმონიზაციაში აუცილებელ პრინციპებს, როცა ზოგადი ინტერესი ამას მოითხოვს (150-3 მუხლი). სინამდვილეში, ასეთი კანონების მიღების აუცილებლობის შეფასება მიღებული უნდა იყოს თითოეული პალატის აბსოლუტური უმრავლესობით, რაც, პარიტეტული შერეული კომისიის არარსებობისას, სენატს საშუალებას აძლევს დაბლოკოს პროცედურა.

სამაგიეროდ, როცა საქმე ეხება ავტონომიის სტატუტების მოწონებასა და გადასინჯვას სენატის როლი იგივეა როგორც ჩვეულებრივი კანონების დროს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაქვემდებარებული დეპუტატების კონგრესისადმი.

იტალიაში, 1948 წლის კონსტიტუციის შემქმნელებმა უარყვეს იდეა შეექმნათ სენატი რეგიონების პალატით. სინამდვილეში რეგიონი ჩანდა მხოლოდ როგორც მარტივი ოლქი სენატორების არჩევნებით პირდაპირ საყოველთაო არჩევნებში, მანდატების განაწილება რეგიონებს შორის რეგიონების მოსახლეობის პროპორციულად (კონსტიტუციის 57-ე მუხლი).

სენატსა და რეგიონალურ ხელისუფლებებს შორის კავშირის არარსებობა, მას ქმნის უპირველეს ყოვლისა „ეროვნულ“ პალატად, ტერიტორიულ საკითხებში სპეციფიკური კომპეტენციების გარეშე.

თუმცა მონაწილეობის პრინციპი დაკონკრეტებულია იმ ფაქტით, რომ რეგიონალური საბჭოები ირჩევენ სამ დელეგატს რათა მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში (კონსტიტუციის 83-ე მუხლი), „უმცირესობათა წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სახით“, როლებიც მონაწილეობას იღებენ პარლამენტში, გაერთიანებული კონგრესში.

უფრო მნიშვნელოვანი სახით რეგიონალური საბჭოები ფლობენ საკანონმდებლო წინადადების უფლებამოსილებას რეგიონული ინტერესის საკითხებში (კონსტიტუციის 121-ე მუხლი §2). ამასთან ერთად, რეგიონალური საბჭოები ფლობენ ასევე ჩვეულებრივი სახელმწიფო კანონების უარყოფელი რეფერენდუმების ინიცირების ხელისუფლებას (კონსტიტუციის 75-ე მუხლი) ან კონსტიტუციური კანონების მოწონების ხელისუფლებას (კონსტიტუციის 138-ე მუხლი). საკმარისია, რომ ხუთმა რეგიონულმა საბჭომ გამოხატოს ინიციატივა. აღნიშნული შეიძლება განხილულ იქნას როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლის საშუალება.

2006 წლის ივნისში რეფერენდუმით უარყოფილი პროექტი ინარჩუნებდა სენატორების პირდაპირ საყოველთაო არჩევნებით არჩევას, მტკიცებას რომ თითოეული პარლამენტარი წარმოადგენს ერს და რესპუბლიკას, კრძალავდა ყველა იმპერატიულ მანდატს, რომლის მიზანიც იყო ეჩვენებინა სენატის ეროვნული პალატის როლი.

რეგიონალიზმისა და ფედერალიზმის ინსტიტუციები დაიბადა განსხვავებულ ისტორიულ კონტექსტებში და განვითარებებს მივყავართ ზოგიერთ მსგავსებამდე, მაგრამ არა ტოტალურ გაიგივებამდე.

საბოლოო ჯამში, ჩანს რომ „ფედერალიზმი არ შეიძლება თავს მოხვეული იყოს როგორც ნორმატიული მოცემულობა კონსტიტუციური კანონებით“<sup>22</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას საქართველო დავახასიათოთ როგორც რეგიონული სახელმწიფო, ვინაიდან მის შემადგენლობაში შედის ავტონომიური რესპუბლიკები.

როგორც ვნახეთ, რეგიონულ სახელმწიფოში არსებობს ერთადერთი კონსტიტუცია, რომელიც განამტკიცებს რეგიონულ ერთეულს დამფუძნებელი ხელისუფლების მინიჭების გარეშე. ამიტომ, საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები ძნელია ჩავსვათ რომელიმე განხილულ მოდელში. შინაარსობრივად ეს კონსტიტუციები სტატუტებს წარმოადგენენ.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არ გააჩნია დამფუძნებელი ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ ის იღებს საკუთარ კონსტიტუციას, რომელიც ძალაში შედის მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონით დამტკიცების შემდეგ (კონსტიტუციური კანონის 23-ე მუხლი). მისი უფლებამოსილება განსაზღვრულია ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაზე მაღლა მდგომი კონსტიტუციური კანონით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლი).

## 5. დასკვნა

1. ორივე სისტემის ფუნდამენტურად განსხვავებული ბუნება

### ა. სახელმწიფოს განუყოფლობის პრინციპზე დაფუძნებული განსხვავება

- რეგიონული სახელმწიფოს განუყოფლობა

რეგიონული სახელმწიფო არის ძლიერ დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო. მისი სტრუქტურა რჩება არსებითად განუყოფელი, რაც ნიშნავს,

---

<sup>22</sup> André ROUX, *Autonomie régionale et formes de l'État*, *Renouveau du droit constitutionnel*, Dalloz, 2007, p. 904.



რომ სუვერენიტეტი მდგომარეობს მთლიანად ეროვნულ ერთობაში და არა რეგიონულ ერთობებში.

- ფედერაციული სახელმწიფოს მართლწესრიგის სიმრავლე ფედერაციული სახელმწიფო ყალიბდება სახელმწიფოთა გაერთიანებით ან სახელმწიფოს დაშლით სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სიმრავლედ. შედეგად ჩნდება ორი მართლწესრიგი: ფედერაციული სახელმწიფოს მართლწესრიგი და თითოეული ფედერაციული ერთეულის მართლწესრიგი. ეს გულისხმობს სხვადასხვა კონსტიტუციური წესრიგის ჩამოყალიბებას.

#### ბ. კონსტიტუციური დამოუკიდებლობა: სახელმწიფო მოწყობის შედეგი

- რეგიონული სახელმწიფოს ერთადერთი კონსტიტუცია რეგიონული სახელმწიფოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის არ არის აღიარებული არანაირი დამფუძნებელი ხელისუფლება. ერთადერთი კონსტიტუცია რჩება სახელმწიფოს კონსტიტუციად, რომელიც განამტკიცებს რეგიონალურ დამოუკიდებლობას. ამ ერთეულების პოლიტიკური ინსტიტუტები რეგულირდება ეროვნული კონსტიტუციითა და კანონით.

- ფედერაციული ერთეულის კონსტიტუციური დამოუკიდებლობა ფედერაციულ სახელმწიფოში თითოეული ფედერაციული ერთეული ფლობს დამფუძნებელ ხელისუფლებას. მაშასადამე, არსებობს ეროვნული კონსტიტუცია და იმდენი ადგილობრივი კონსტიტუცია, რამდენიც ფედერაციული ერთეულია. თითოეულ მათგანს თავისუფლად შეუძლია თავისი ხელისუფლების ორგანიზება ფედერაციული კონსტიტუციის ზოგიერთი ნორმის დაცვის ფარგლებში.

## 2. ცვალებადი წონასწორობა კომპეტენციათა განაწილებაში

#### ა. საკანონმდებლო დამოუკიდებლობის განსხვავებული ხარისხი

- რეგიონული თვითმმართველობების საკანონმდებლო მონოპოლიის არ არსებობა

რეგიონულ სახელმწიფოში ადგილობრივი საკანონმდებლო კომპეტენცია გათვალისწინებულია ეროვნული კონსტიტუციით. სახელმწიფოს შეუძლია მასში ჩაერიოს როგორც მაგალითად ესპანეთში, სადაც ამას მოითხოვს მხოლოდ უმრავლესობა ორივე პალატაში. ამ კომპეტენციების სასამართლო კონტროლი შესაძლებელია.

- ფედერაციული ერთეულის ფართო საკანონმდებლო კომპეტენცია ფედერაციული ერთეულები ფლობენ საკუთარ საკანონმდებლო კომპეტენციებს, რომლებისთვისაც ეროვნულ ხელისუფლებებს არ შეუძლიათ ზიანის მიყენება. განასხვავებენ ეასკლუზიურ, კონკურენტულ და დამატებით კომპეტენციებს. საკონსტიტუციო სასამართლო ზრუნავს კომპეტენციათა განაწილების დაცვაზე.

### ბ. ცენტრალურ ხელისუფლებაში მონაწილეობის ფორმები

- ფედერაციულ სახელმწიფოში მონაწილეობის პრინციპი ფედერაციული ორგანოების ხელისუფლების პირობა არის ფედერაციული ერთეულების მონაწილეობა ცენტრალური ხელისუფლების მექანიზმებში. მაშასადამე, ამ ერთეულების თანხმობა აუცილებელია ფედერაციული კონსტიტუციის გადასინჯვისათვის. პარლამენტის ორპალატიანი სისტემა (ბიკამერალიზმი) ყველაზე უფრო კარგი გამოხატულებაა ამ პრინციპის, ვინაიდან ერთი პალატა წარმოადგენს მოსახლეობას, მაშინ როცა მეორე წარმოადგენს სახელმწიფოებს. ბოლოს, ისინი ასევე მონაწილეობენ აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაში.

- რეგიონული ერთობის შეზღუდული მონაწილეობა ცენტრალურ ხელისუფლებაში

სამაგიეროდ, რეგიონული ერთობების მონაწილეობა ეროვნულ ხელისუფლებაში განსაკუთრებულად შეზღუდულია. საპარლამენტო ორგანოებში ისინი ფლობენ მხოლოდ სუსტ წარმომადგენლობას და მათი როლი აღმასრულებელი ხელისუფლების მფლობელთა დანიშვნაში არის სუსტი.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ. ხუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000
2. Aspects internationaux du droit constitutionnel. Contribution à la théorie de la fédération d'États, Académie de Droit international de La Haye, Recueil des Cours, tome 294 (2002)
3. L. Vandelli, „Du régionalisme au fédéralisme“, Pouvoirs n 103, 2002
4. L'État régional, Prépa Sciences Po, p.1. <http://www.institut-major.fr/annales-sciences-po/Droit%20Constitutionnel%20-%20Etat%20r%C3%A9gional.pdf>
5. B. Chantebout, Droit constitutionnel, SIREY, 2007

6. André ROUX, Autonomie régionale et formes de l'État, Renouveau du droit constitutionnel, Dalloz, 2007
7. H. Portelli, Droit constitutionnel, Dalloz, 2011
8. Constitution de la République italienne, <http://mjp.univ-perp.fr/constit/it1947a.htm>
9. Constitution espagnole, <http://mjp.univ-perp.fr/constit/es1978.htm>
10. J. Fialaire, L'encadrement constitutionnel des pouvoirs normatifs des régions italiennes et espagnoles. Cahiers administratifs et politistes du Ponant, 2005
11. Constitution de la République française, <http://www.assemblee-nationale.fr/connaissance/constitution.asp>
12. N. Kada, Les collectivités territoriales dans l'Union européennes, P.U.G., 2010
13. L'organisation des États fédéraux: démocratie, répartition des compétences, État de droit et efficacité de l'action publique, 2013, pp. 5-12, <https://www.senat.fr/lc/lc242/lc242.pdf>
14. Lois constitutionnelles de 1867 à 1982, <http://laws-lois.justice.gc.ca/fra/Const/>
15. A. Cecile, Les collectivités territoriales, 2010 [http://babalex.org/IMG/pdf/Collectivites\\_territoriales.pdf](http://babalex.org/IMG/pdf/Collectivites_territoriales.pdf)
16. R. Dehousse, Le paradoxe de Madison: réflexions sur le rôle des Chambres hautes dans les systèmes fédéraux, RDP, 1990

## რეზიუმე

სტატია შეეხება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხებს, კერძოდ ტერიტორიული მოწყობის სახეებს და ჯერ კიდევ არსებულ საზღვრებს მათ შორის, რომლის შუქზეც კარგად ჩანს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები.

## კონსტიტუცია - ცნება, სტრუქტურა, ფუნქციები და კლასიფიკაცია

ბექა ქანთარია  
სამართლის დოქტორი

### 1. საკონსტიტუციო იდეები და კონსტიტუციის ცნება

#### ა) საკონსტიტუციო იდეები

რა უნდა ითქვას და დაიწეროს კონსტიტუციაზე ისეთი, რაც მანამდე არ თქმულა და დაწერილა? რასაკვირველია, ასეთი შეფასება არ იქნება მართებული: კონსტიტუცია ფილოსოფიური აზრის ამოუწურავი თემაა<sup>23</sup>, კონსტიტუციური იდეა წმინდა და შეუდარებელია (კანტი)<sup>24</sup>. კონსტიტუციისთვის უმთავრესი საერთო ფასეულობები და ღირებულებებია<sup>25</sup>.

ყოველი გაერთიანება საჭიროებს წესრიგს. ასეთ წესრიგს კონსტიტუცია ეწოდება. დღეს ყველა სახელმწიფოს აქვს იგი, ვინაიდან მის გარეშე ის ანარქიაა<sup>26</sup>. კონსტიტუცია პოლიტიკურ ხელისუფლებას სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს. ეს კონსტიტუციის თვითმიზანი არაა. ის ემსახურება თავისუფლების დაცვას.

კონსტიტუციის კონცეფცია გაცილებით ადრე წარმოიშვა, ვიდრე ორასი წლის წინ. მას საფუძვლად უდევს პოლიტიკური ლიბერალიზმის იდეა<sup>27</sup>. დაწერილი კონსტიტუცია, როგორც პოლიტიკური ერთიანობისა და სამართლებრივი წესრიგის საფუძველი<sup>28</sup>, პირველად 1787 წელს აღმოცენდა, როდესაც კონსტიტუციით დაფუძნდა ამერიკის შეერთებული შტატები. ევროპის ქვეყნებიდან კონსტიტუცია პირველად პოლონეთმა მიიღო 1791

<sup>23</sup> Philippe Mastronardi/Denis Taubert, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Archiv für Rechts und Sozialphilosophie, Tag: 12.-13. November 2004, Hrsg. Mastronardi/Taubert, Stuttgart, 2006, S. 6.

<sup>24</sup> Kägi Werner, Die Verfassung als rechtliche Grundordnung des Staates, Untersuchungen über die Entwicklungstendenzen im modernen Verfassungsrecht, Zürich, 1956, S. 10.

<sup>25</sup> Philippe Mastronardi/Denis Taubert, 2006, S. 6.

<sup>26</sup> Jellinek, Georg, Allgemeine Staatslehre, Berlin, 1922, S. 505.

<sup>27</sup> Marcelo Neves, Verfassung und Positivität des Rechts in der peripheren Moderne, eine theoretische Betrachtung und eine Interpretation des Falls Brasilien, Berlin, 1992, S. 1.

<sup>28</sup> Hesse Konrad, Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20., Auflage, 1995, S. 5.

წლის 3 მაისს. მოგვიანებით, საფრანგეთში ძველი რეჟიმის დამხობას შედეგად 1791 წლის 3 სექტემბერის ახალი რევოლუციური კონსტიტუცია მოჰყვა. როგორც იქ, ისე აქაც, ახალი წესრიგი უნდა შექმნილიყო. საფუძველი ჩაეყარა თავისუფალ და დემოკრატიულ მომავალს. თომას პეინთან კონსტიტუცია თავისუფლებისათვის იგივეა, რაც ენისთვის გრამატიკა<sup>29</sup>. ეს სულისკვეთება გამოხატულია საფრანგეთის 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში: *საზოგადოებას, რომელშიც არ არის გარანტირებული ინდივიდუალური თავისუფლება და ძალაუფლების გამიჯვნა, არ აქვს კონსტიტუცია.*

ვინაიდან კონსტიტუციის იდეა ძალიან ძველია, შესაბამისად განსხვავებაა ძველ და ახალ კონსტიტუციებს, ასევე ძველ და თანამედროვე კონსტიტუციურ იდეებს შორის<sup>30</sup>. თანამედროვე ტიპის კონსტიტუცია აღმოცენდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში<sup>31</sup>. მაშინ კონსტიტუცია ფორმულირებულ იქნა, როგორც განსაკუთრებული აქტი, რომელმაც საკონსტიტუციო სადამფუძნებლო აქტის ფორმა მიიღო<sup>32</sup>. კონსტიტუციური წესები, ინსტიტუციები და პრინციპები ნორმირებულ იქნა, როგორც პოზიტიურ-სამართლებრივი<sup>33</sup>. კონსტიტუცია არაა მხოლოდ და მხოლოდ კანონი, როგორც სხვა დანარჩენი, ის ქვეყნის ძირითადი კანონია<sup>34</sup> - *კანონთა კანონი, ნორმის ნორმა*<sup>35</sup>. თომას პეინის მიხედვით, კონსტიტუცია არა ხელისუფლების, არამედ ხალხის აქტია<sup>36</sup>.

### ბ) კონსტიტუციის მიზანი

მხოლოდ კონსტიტუცია განსაზღვრავს სამართლის სისტემის ღირებულებით, შინაარსობრივ მასშტაბებს. კონსტიტუცია პოზიტიური სამართლის იერარქიის სათავეში დგას. ამავე დროს, კონსტიტუცია ადგენს

<sup>29</sup> Vorländer Hans, Die Verfassung – Idee und Geschichte, 2 überarbeitete Auflage 2, München, 2004; S. 7.

<sup>30</sup> Vorländer Hans, 2004; S. 11.

<sup>31</sup> Gebhardt, Jürgen (Hrsg.), Verfassung und politische Kultur, Baden-Baden, 1999, S. 7; Wolfgang Buschfort, Geheime Hüter der Verfassung, München, 2004, S. 11.

<sup>32</sup> Vorländer Hans, 2004; S. 11.

<sup>33</sup> Vorländer Hans, S. 11.

<sup>34</sup> Lassalle Ferdinand, Über Verfassungswesen, Rede am 16. April 1862 in Berlin, Hamburg, 1993, S. 12.

<sup>35</sup> Walz, Der Begriff der Verfassung, Berlin, 1942, S. 14.

<sup>36</sup> Vorländer Hans, S. 12.

სამართლის ზეპოზიტიურ პრინციპებსაც, რომელიც მოიცავს სამართლის მთელ სისტემას. კონსტიტუციის ტექსტში ინტეგრირებულია ღირებულებათა მთელი რიგი მეტაფიზიკური ელემენტები. კონსტიტუცია განსაზღვრავს მორალური და ღირებულებითი შეფასების მასშტაბებს<sup>37</sup>.

*კონსტიტუციის ნორმები, როგორც უმაღლესი რანგის ნორმები*, სამართლის ნორმათა იერარქიის სათავეში დგანან. ყველა სხვა დანარჩენი ნორმა კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. არაკონსტიტუციური სამართლებრივი ნორმები ბათილია (*ipso iure*) და მათი მოქმედება უნდა შეწყდეს სამართლებრივი პროცედურების სრული დაცვით (*ნორმის კონტროლი*);

თანამედროვე კონსტიტუციები სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შეზღუდვის მექანიზმებს ამკვიდრებენ. ხელისუფლება შეზღუდულია მაშინ, როდესაც დადგენილია მათი განცალკევებისა და შეზღუდვის, ურთიერთკონტროლის განსაკუთრებული მექანიზმები. სახელმწიფო ხელისუფლებას ეკრძალება ცალკეულ დაცულ სფეროებში ჩარევა<sup>38</sup>. თანამედროვე კონსტიტუციები აფუძნებენ პოლიტიკურ ერთიანობას და ამავე დროს ადგენენ პოლიტიკური ხელისუფლების საზღვრებს, ქმნიან თავისუფალ სივრცეს მოქალაქეთათვის *სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური საქმიანობისათვის*. თანამედროვე კონსტიტუციები თავიანთ ნორმატიულ უპირატესობას სამართლის ძალას<sup>39</sup> პარლამენტში ან ხალხის მიერ რეფერენდუმზე ხმის მიცემის საშუალებით ანიჭებენ. ამით განსხვავდებიან თანამედროვე ტიპის კონსტიტუციები ანტიკური ხანის კონსტიტუციებისაგან<sup>40</sup>.

კონსტიტუციის ფილოსოფია მიეკუთვნება პრაქტიკულ ფილოსოფიას. მისი ობიექტია *უმაღლესი მოქმედების მიზნები*. კონსტიტუცია აყალიბებს პოლიტიკური საზოგადოების ფორმას და წარმოადგენს ერთიანი ნების გამომხატველ დოკუმენტს. კონსტიტუციის ფილოსოფიას, ჯერ კიდევ, ანტიკური საბერძნეთის, კერძოდ ათენის დემოკრატია შეიცავდა. პლატონმა

---

<sup>37</sup> გიორგი ხუბუა, *contra legem* საქართველოს სახელით?  
<http://www.interpressnews.ge/26.07.2015>.

<sup>38</sup> Vorländer Hans, S. 12.

<sup>39</sup> Vorländer Hans, S. 12.

<sup>40</sup> Vorländer Hans, S. 12.

ათი წიგნი სწორედ კონსტიტუციას მიუძღვნა, გამორჩეულია, ასევე არისტოტელეს კონსტიტუციური მოძღვრებები<sup>41</sup>.

გ) კონსტიტუცია, როგორც ცივილიზაციის მონაპოვარი

კონსტიტუციური პროცესები და საკონსტიტუციო საკოდიფიკაციო საქმიანობა არ იყო კაცობრიობისთვის ერთიანი საკონსტიტუციო-სამართალშემოქმედების პროცესი. კონსტიტუციები ცალკეულ ქვეყნებში იქმნებოდა<sup>42</sup>. *კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში ყველა ერს და ხალხს საკუთარი წვლილი აქვს შეტანილი*. აქიდან მომდინარეობს „თავდაპირველი კონსტიტუციების“ ცნება, რომლებმაც, ერთი მხრივ, დაამკვიდრეს ორიგინალური და მანამდე უცნობი კონსტიტუციური იდეები და პრინციპები და, მეორე მხრივ, ბიძგი მისცეს, როგორც ევროპის კონტინენტზე, ისე, მოგვიანებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში, მტკიცე და შეუქცევად კონსტიტუციურ პროცესებს - *კონსტიტუციურ რეცეფციასა და იმპლემენტაციას*. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუცია ცივილიზაციის (კაცობრიობის) მონაპოვარია<sup>43</sup>.

დ) კონსტიტუციის ცნება

გერმანულ საკონსტიტუციო დოგმატიკაში „კონსტიტუცია“ – *Verfassung* (მისი ძირია *verfassen* - რომელიც შედგენას, შეთხზვას გულისხმობს. *Verfassung* - ის მეორე მნიშვნელობაა სულიერი განწყობა, სპორტული ფორმა) მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა<sup>44</sup>, შესაბამისად დღემდე „კონსტიტუციის ცნება“, - *Verfassungsbegriff* ერთერთ მთავარ პრობლემად რჩება<sup>45</sup>, როგორც

<sup>41</sup> Ada Neschke-Hentschke, Fünf Thesen zu einer Philosophie der Verfassung, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Tagung 12.-13. November 2004, Hrsg. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Stuttgart, 2006, S. 18.

<sup>42</sup> თუ არ ჩავთვლით ბოლოს ევროპული კონსტიტუციის პროექტის შექმნას.

<sup>43</sup> Dieter Grimm, Gesellschaftlicher Konstitutionalismus – Eine Kompensation für den Bedeutungsschwund der Staatsverfassung? In: Staatsrecht und Politik, Festschrift für Roman Herzog zum 75. Geburtstag, Hrsg. Matthias Herdegen/Hans Hugo Klein/Hans-Jürgen Papier/Rupert Scholz, München, 2009, S. 71.

<sup>44</sup> Carl Schmitt, Verfassungslehre, 1928, S. 3.

<sup>45</sup> Urs Marti, konstitution als Zustand und als Akt, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Tagung 12.-13. November 2004, Hrsg. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Stuttgart, 2006, S. 30.

კონსტიტუციის თეორიაში, ისე მომიჯნავე ინტერდისციპლინებში<sup>46</sup>. გერმანიის თანამედროვე კონსტიტუციას დღემდე „ძირითადი კანონი“ ეწოდება. მიიჩნევენ, რომ სიტყვა „ძირითადი კანონი“ უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ფუნდამენტურ და ძირითად ღირებულებებს, ვიდრე არაზუსტი და გაურკვეველი ტერმინი *Verfassung* - ი<sup>47</sup>, რომელიც ასევე გულისხმობს „ეკონომიკურ კონსტიტუციას“ (*Wirtschaftsverfassung*), „საზოგადოებრივ კონსტიტუციას“ (*Gesellschaftsverfassung*) და „საწარმოს კონსტიტუციას“ (*Betriebsverfassung*). თუმცა მას აქ სრულიად განსხვავებული შინაარსი აქვს, ვიდრე ძირითად კანონს<sup>48</sup>.

კონსტიტუციის ცნებას და მის მრავალმხრივ ბუნებას შეისწავლის, კონსტიტუციის თეორია, საკონსტიტუციო სამართლის თეორია, ზოგადი სახელმწიფო სამართლის თეორია<sup>49</sup>, საკონსტიტუციო სამართლის ისტორია<sup>50</sup>, კონსტიტუციის ფილოსოფია, კონსტიტუციის სოციოლოგია<sup>51</sup>, კონსტიტუციის ეკონომიკური თეორია<sup>52</sup>.

ყოველი ეპოქისათვის კონსტიტუცია აქტუალურია და ამაზე მეტყველებს 1862 წლის 16 აპრილს ცნობილი კონსტიტუციოლოგის ფერდინანდ ლასსალეს სიტყვები: „ყოველი ადამიანი დღეს დილიდან საღამომდე საუბრობს კონსტიტუციაზე, ყველა გაზეთში, საზოგადოებაში თუ საწარმოში

---

<sup>46</sup> Bernd Wieser, *Vergleichendes Verfassungsrecht*, Wien, 2005, S. 49.

<sup>47</sup> Hans Peter Scheider, *Die Funktion der Verfassung*, in: *Einführung in das öffentliche Recht*, Hrsg. Dieter Grimm, Heidelberg, S. 1.

<sup>48</sup> Hans Peter Scheider, S. 1.

<sup>49</sup> XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში კონსტიტუციის ცნებისა და არსის შესახებ არაერთი თეორია თუ მიმართულება ჩამოყალიბდა, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: კონსტიტუციის ლიბერალურ-სახელმწიფოებრივი, ფენომენოლოგიური, წმინდა იურიდიული, ნაციონალ-სოციალისტური ცნებები და კონცეფციები (Walz, *Der Begriff der Verfassung*, Berlin, 1942).

<sup>50</sup> Kley Andreas, *Verfassungsgechichte der Neuzeit*, Dritte Auflage, Bern, 2013, S.1; Wberner Frotscher/Bodo Pieroth, 12., überarbeite Auflage, München, 2013; S. 1-2.

<sup>51</sup> Morlok Martin, *Soziologie der Verfassung*, Tübingen, S. 2014; Zalten Erich, *Staatslehre und verfassungstheorie im Licht der Soziologie*, *Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen*, Tagung 12.-13. November 2004, Hrsg. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Stuttgart, 2006, S. 223.

<sup>52</sup> Kirchgässner Gebhard, *Ökonomische Theorie der Verfassung*, *Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen*, Tag:12.-13. November 2004, Hrsg. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Stuttgart, 2006, S. 75-99.



განუწყვეტლივ საუბარია მასზე. მაშ რა არის კონსტიტუცია? რაში მდგომარეობს მისი არსი?<sup>53</sup>

თანამედროვე სახელმწიფოში კონსტიტუცია ცენტრალურ როლს თამაშობს და მისი პოლიტიკური კულტურა ეფუძნება კონსტიტუციას, როგორც ამ პოლიტიკური კულტურის არსებით ელემენტს<sup>54</sup>. კონსტიტუცია არაა სამართლებრივი წესრიგი მხოლოდ იურისტებისათვის, არამედ იგი მოქმედებს, როგორც გზამკვლევი არაიურისტებისათვისაც. იგი მხოლოდ იურიდიული ტექსტი ან სამართლებრივი წესების ერთობლიობა როდია, არამედ გამოხატავს კულტურულ ევოლუციას და ხალხის კულტურული თვითგამოხატვის საშუალებას. კონსტიტუცია, როგორც კულტურა<sup>55</sup>, ხალხის კულტურული მემკვიდრეობის სარკეა<sup>56</sup>.

#### დ.ა.) კონსტიტუციის ისტორიულ-ფილოსოფიური განმარტება

კონსტიტუცია ლათინური სიტყვაა „*constitutio*“, მისი ინგლისური შესატყვისია „*constitution*“ და აღნიშნავს დადგენას ან დაწესებას<sup>57</sup>. იგი მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში დამკვიდრდა პოლიტიკურ ლექსიკაში და შეიცავს სამ უძველეს ელემენტს: არისტოტელესეული „*politeia*“, (გამოხატავს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წესრიგს), რომაულ-კანონისტიკური „*constitutio*“, (კათოლიკური ეკლესიის საბჭოს (Konzile) მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი) და სამედიცინო-ბუნებით ცნებას „*constitutio*“, (ფიზიკური მდგომარეობა, შემდგომ ეს სიტყვა პოლიტიკურ ორგანოს (სხეულს) - „*corpus politicum*“ -ს აღნიშნავდა<sup>58</sup>. კონსტიტუციის ცნების ზუსტი განსაზღვრება კონსტიტუციური ისტორიის გარეშე

<sup>53</sup> Lassalle Ferdinand, Über Verfassungswesen, Rede am 16. April 1862 in Berlin, Hamburg, 1993, S. 8.

<sup>54</sup> Gunnar Folke Schuppert, Verfassung und Verfassungsstaatlichkeit in multidisziplinärer Perspektive, der Staat des Grundgesetzes – Kontinuität und Wandel, Herausg. von Michael Brenner, Peter M. Huber und Markus Möstl, Tübingen, 2004, S. 528.

<sup>55</sup> Peter Häberle, Verfassung als Kultur, in: Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart, Neue Folge/Band 49, Hrsg. Peter Häberle, Tübingen, 2001, S. 125-143.

<sup>56</sup> Peter Häberle, Europäische Verfassungslehre, 7., Auflage, Baden-Baden, 2011, S. 12.

<sup>57</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, დიმიტრი გვეგენავას რედაქციით, თბ; 2015, გვ. 25.

<sup>58</sup> Ada Neschke-Hentschke, 2006, S. 19.

წარმოუდგენელია. მართებულია კანტის აზრი: „თეორია ისტორიის გარეშე სიცარიელეა“ და პირიქით, „ისტორია თეორიის გარეშე ბრმაა“<sup>59</sup>.

ამ ისტორიულმა ფესვებმა თავიანთი კვალი დატოვეს კონსტიტუციის თანამედროვე ცნებაში<sup>60</sup>. კონსტიტუციის ისტორიული პროცესის ცოდნა საშუალებას იძლევა კონსტიტუციის ცნებაში სამი უმთავრესი ფილოსოფიური თეზა იქნას გამოყოფილი:

ა) კონსტიტუციის „სამართლებრივი“ გაგება (პოლიტიკური ხელისუფლების შეზღუდვა)

ბ) კონსტიტუციის „რესპუბლიკური“ გაგება (სახელმწიფოს ან ხალხის კონსტიტუცია);

გ) კონსტიტუციის „პოლიტიკური“ გაგება (პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი სუბიექტები);

ა) კონსტიტუციის ისტორიული პრობლემა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოთვნიერება<sup>61</sup>, შესაბამისად, კონსტიტუციის სამართლებრივი გაგება სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვას გულისხმობს. იდეოლოგიურად, ჯერ ეს ჯონ ლოკის შრომებში აისახა და შემდგომ, საფრანგეთის 1789 წლის 15 აგვისტოს ეროვნული ყრილობის მიერ მიღებულ დეკლარაციაში. კონსტიტუციის სამართლებრივი ცნება შედარებით გვიან წარმოიშვა. კონსტიტუცია ორიენტირებულია დაიცვას ინდივიდის თავისუფლება და შეზღუდოს სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც დღემდე საფუძვლად უდევს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს<sup>62</sup>.

ბ) ყოველი კონსტიტუცია გამოხატავს საზოგადოების საერთო ნებას (volonte generale)<sup>63</sup>. ანტიკური ეპოქიდან სიტყვა „res publica“-ს (ლათინური) თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ის აღნიშნავს ხალხის „საერთო (საჯარო) საქმეს“ და შეესაბამება უძველესი ბერძნული ფილოსოფიისათვის კარგად ცნობილ ტერმინს - koinon sympheron - რაც „საერთო კეთილდღეობას“ ნიშნავს. პლატონის აზრით, საზოგადოება, რომელიც არაა საერთო კეთილდღეობის სურვილზე დაფუძნებული, ვერ

<sup>59</sup> *Ada Neschke-Hentschke*, 2006, S. 18.

<sup>60</sup> *Ada Neschke-Hentschke*, 2006, S. 19.

<sup>61</sup> *Morlok Michael*, Staatsorganisationsrecht, Auflage 2., Baden-Baden, 2015, S. 27.

<sup>62</sup> *Carl Schmitt*, Verfassungslehre, 1970, S. 123-220.

<sup>63</sup> *Reinhold Zippelius, Thomas Württemberg*, Deutsches Staatsrecht, 32., Auflage, München, 2008, S. 42.

შექმნის საერთო წესრიგს - კონსტიტუციას. კონსტიტუციის რესპუბლიკური გაგებისათვის უმთავრესია „რაციონალური შეთანხმება“ (rationalen konsens), რომლის გარეშე პოლიტიკური საზოგადოება არ არსებობს<sup>64</sup>. აქ მთავარი „მშვიდი თანაცხოვრება“ (koextensiv). იქ, სადაც კონსტიტუციაა, პოლიტიკური საზოგადოებაა და პირიქით<sup>65</sup>. რესპუბლიკური კონსტიტუციური კონცეფცია აღიარებს „პოლიტიკურ ერთიანობას“ მხოლოდ „კანონის უზენაესობასთან“ (nomos - ius) და „თანასწორობასთან“ ერთად, რაც მოქალაქეთა თავისუფლების (isonomia - libertas) იდენტურია.

გ) კონსტიტუციის პოლიტიკური ცნება იძლევა პასუხს კითხვაზე: ვის ეკუთვნის პოლიტიკური ხელისუფლება? ვინ არის სუვერენიტეტის მატარებელი სუბიექტი? გერმანელი კონსტიტუციოლოგის კარლ შმიტის თეორიაში კონსტიტუციის პოლიტიკური გაგება წარმოადგენს კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილს. ამ ცნებისათვის უმთავრესია, ხალხი (Staatsvolk), როგორც სუვერენიტეტის მატარებელი. შმიტთან მხოლოდ ხალხია ხელისუფლების წყარო, შესაბამისად ის ფლობს პოლიტიკურ კონსტიტუციას, ის განსაზღვრავს თუ ვინ უნდა იყოს ხელისუფლების მატარებელი.

*დ.ბ.) კონსტიტუციის სოციო-პოლიტიკური და იურიდიული განმარტება*

თანამედროვე კონსტიტუციოლოგიაში კონსტიტუციის ცნებას ყოფენ, ასევე, ორ ჯგუფად: კონსტიტუციის სოციო-პოლიტიკური და იურიდიული ცნება.

კონსტიტუცია პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების შესახებ ფუნდამენტური წესების უმაღლესი გამოხატულებაა. ესაა სოციო-პოლიტიკური ცნება. ამ თვალსაზრისით ყოველი სახელმწიფო ფლობს კონსტიტუციას. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოსა და საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას<sup>66</sup>. კონსტიტუცია საზოგადოების სამართლებრივი ფუნდამენტია, რომლის საგანი სახელმწიფოში ადამიანთა თანაცხოვრების სამართლებრივი მოწესრიგებაა. ამას კონსტიტუციის იურიდიულ ცნებას უწოდებენ. ამ გაგებითაც, ყველა სახელმწიფოს გააჩნია კონსტიტუცია<sup>67</sup>.

<sup>64</sup> Ada Neschke-Hentschke, 2006, S. 22.

<sup>65</sup> Ada Neschke-Hentschke, 2006, S. 21.

<sup>66</sup> Bernd Wieser, 2005, S. 49.

<sup>67</sup> Bernd Wieser, 2005, S. 49.

დ.გ.) კონსტიტუციის მატერიალური და ფორმალური განმარტება

კონსტიტუციის მატერიალურ და ფორმალურ გაგებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ ჰეგელის<sup>68</sup>, შემდგომ იელინეკის<sup>69</sup> და კელზენის<sup>70</sup> შრომებში. კონსტიტუცია, მატერიალური გაგებით სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც წარმოადგენს სამართალშემოქმედების განსაკუთრებულ ფორმას - საკონსტიტუციო კანონს სამართლებრივ-ლოგიკური თვალსაზრისით<sup>71</sup>. ესაა კონსტიტუციის ცნების „გარეგანი ნიშანთვისება“ და აქ სამართლის ნორმის შინაარსი არაა გადამწყვეტი<sup>72</sup>. შესაბამისად, სახელმწიფოებს განსხვავებული შინაარსის კონსტიტუციები აქვთ. კონსტიტუცია წერილობითი ფორმის აქტია. ის განსაკუთრებული წესების დაცვით მიიღება. კონსტიტუციის მისაღებად ან მასში ცვლილებების შესატანად აუცილებელია, როგორც წესი, საკონსტიტუციო უმრავლესობის მხარდაჭერა ან რეფერენდუმი. ზოგიერთ სახელმწიფოს საერთოდ არ აქვს კონსტიტუცია ფორმალური გაგებით, მაგალითად, დიდ ბრიტანეთს<sup>73</sup>. მატერიალური (შინაარსობრივი) ან სამართლებრივ-პოზიტიური გაგებით, კონსტიტუცია ყველა იმ სამართლებრივი ნორმის და ნორმა-პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების ფუნდამენტურ საფუძვლებს (სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექნა-ჩამოყალიბება, კომპეტენციები და ამოცანები, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა, სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობა, მოქალაქის ადგილი სახელმწიფოში<sup>74</sup>. კონსტიტუციის თეორიაში მიჩნეულია, რომ კონსტიტუციის მატერიალური შინაარსი ყველაზე ცნობილი გამომხატველი დოკუმენტი საფრანგეთის 1789 წლის მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მე-16 მუხლია, რომლის მიხედვით, საზოგადოებას, რომელშიც

<sup>68</sup> Georg Wilhelm Friedrich Hegel, Über die Reichsverfassung, Hrs. Hans Meier, München, 2002.

<sup>69</sup> Georg Jellinek, Allgemeine Staatslehre, Berlin, 1922, S. 505-539.

<sup>70</sup> Hans Kelsen, Allgemeine Staatslehre, Berlin, 1925, S. 251-253.

<sup>71</sup> Hans Kelsen, Allgemeine Staatslehre, Berlin, 1925, S. 249.

<sup>72</sup> Bernd Wieser, 2005, S. 49.

<sup>73</sup> Uwe Volkmann, Grundzüge einer Verfassungslehre der Bundesrepublik Deutschland, Tübingen, 2013, S. 12.

<sup>74</sup> Reinhold Zippelius/Thomas Würtenberger, 32., Auflage, München, 2008, S. 41.

გარანტირებული არაა ინდივიდუალური თავისუფლება და ძალაუფლების გამიჯვნა, არ აქვს კონსტიტუცია<sup>75</sup>.

დ.დ.) კონსტიტუციის განმარტება კარლ ლოვენშტაინის მიხედვით

კონსტიტუციის არსის სწორი გაგებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ძველი და ახალი თაობის გერმანელი კონსტიტუციონალისტების კარლ ლოვენშტაინისა და დიტერ გრიმის თეზისები, რომელიც სრულად ასახავს კონსტიტუციის თანამედროვე გაგებას. ლოვენშტაინის აზრით, ესენია:

- სხვადასხვა სახელმწიფო ფუნქციების დიფერენცირება და მათი განაწილება სახელმწიფო ორგანოებს ან ხელისუფლების სხვა შტოებს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი ავტოკრატის ხელში<sup>76</sup>.
- ხელისუფლების შტოების ურთიერთქმედების მექანიზმები, რაც ამერიკის და საფრანგეთის კონსტიტუციური თეორიისათვის კარგად ცნობილ "კონტროლისა და ბალანსის" ("checks und balances") მექანიზმებში გამოიხატება - ამავდროულად, ეს ნიშნავს ძალაუფლების გამიჯვნას და მის შეზღუდვას<sup>77</sup>.
- სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი (der Souveränität des Volkes), რომელიც მიღწეულ იქნა სუვერენული საარჩევნო სისტემის საშუალებით და ამით ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპი სრულყოფილ იქნა დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმის იდეებით<sup>78</sup>;
- წინასწარ დადგენილი რაციონალური მეთოდებით კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელება შეცვლილი სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების შესაბამისად, რათა თავიდან იქნას აცილებული უკანონობა, ძალადობა და რევოლუცია<sup>79</sup>.
- და ბოლოს, კონსტიტუცია შეიცავს ინდივიდუალური თვითგამორკვევის აღიარებას - ინდივიდუალური უფლებებისა და

<sup>75</sup> Uwe Volkmann, 2013, S. 13.

<sup>76</sup> Karl Loewenstein, Verfassungslehre, 4. Auflage. Nachdruck der 3., unverändert Auflage, Tübingen, 2000., S. 131.

<sup>77</sup> Karl Loewenstein, 2000., S. 131.

<sup>78</sup> Karl Loewenstein, 2000., S. 131.

<sup>79</sup> Karl Loewenstein, 2000., S. 131.

ძირითადი თავისუფლებების სფეროში უკანონო ჩარევისაგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს<sup>80</sup>.

*დ.ე.) კონსტიტუციის განმარტება დიტერ გრიმის მიხედვით*

დიტერ გრიმი, ლოვენშტაინის მსგავსად, გამოყოფს კონსტიტუციის ცნების ხუთ თეზას. მისი აზრით, წინამდებარე ხუთი ელემენტი ახასიათებს კონსტიტუციას:

- კონსტიტუცია არის სამართლის ნორმების გამოხატულება და არა ფილოსოფიური პრინციპების ერთობლიობა ან მხოლოდ სახელმწიფოში ხელისუფლების ფაქტობრივი ურთიერთობების აღწერა<sup>81</sup>; მისი თვისება, სამართლის ნორმების გამოხატულებისა, რჩება ხელუხლებელი<sup>82</sup>;
- მისი ნორმების საგანი არის პოლიტიკური ან საჯარო ხელისუფლების სისტემა და განხორციელება<sup>83</sup>, რომელსაც ის აფუძნებს<sup>84</sup>;
- კონსტიტუციურ ნორმებში ხდება მათი სისტემატიზაცია და სრულყოფილი მოწესრიგება, ამიტომ კონსტიტუცია არ უშვებს განსაკუთრებულ - ექსტრაკონსტიტუციურ ხელისუფლებას (extrakonstitutionelle Gewalten)<sup>85</sup>.
- მას შემდეგ, რაც ხელისუფლება კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაფუძნდა და შეიზღუდა, საკონსტიტუციო ნორმებს აქვთ უპირატესი მნიშვნელობა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ეს პრინციპი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი კონსტიტუციურ ფარგლებში რჩებიან<sup>86</sup>.
- და ბოლოს, ეროვნული კონსტიტუციების საწყისები ეფუძნება ხალხის სუვერენულ ნებას<sup>87</sup>.

*დ.ვ.) კონსტიტუციის ნორმატიული და დესკრიპტიული განმარტება*

---

<sup>80</sup> Karl Loewenstein, 2000., S. 131.

<sup>81</sup> Dieter Grimm, 2009, S. 70.

<sup>82</sup> Dieter Grimm, 2009, S. 73.

<sup>83</sup> Dieter Grimm, 2009, S. 70.

<sup>84</sup> Dieter Grimm, 2009, S. 73.

<sup>85</sup> Dieter Grimm, 2009, S. 71.

<sup>86</sup> Dieter Grimm, 2009, S. 71.

<sup>87</sup> Dieter Grimm, 2009, S. 73.

როგორც ითქვა, კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს და საზოგადოების ფუნდამენტურ წყობილებას და ადგენს მის წესრიგს (Grundordnung). აქიდან გამომდინარე კონსტიტუციის შინაარს ყოფენ ორ ჯგუფად: კონსტიტუციის ნორმატიული (normativer) ცნება და დესკრიპტიული (deskriptiver) ცნება. ნორმატიული ცნების ქვეშ მოიაზრება ის, რაც უნდა იყოს, ანუ წესრიგი მომავალში, ხოლო დესკრიპტიულ ცნებაში იგულისხმება ფაქტიური, არსებული მდგომარეობა<sup>88</sup>.

#### *ე) კონსტიტუცია და მომიჯნავე მეცნიერებები*

კონსტიტუცია სახელმწიფო სამართლის ძირითადი პრობლემაა<sup>89</sup>. კონსტიტუციის საკითხი ასევე სამართლის ზოგადი პრობლემაცაა<sup>90</sup>. ის, ასევე ერთერთი მთავარი თემაა სამართლის სოციოლოგიისა და სამართლის ფილოსოფიისათვის<sup>91</sup>. საკონსტიტუციო სამართალი და კონსტიტუცია წარმოადგენს ერთდროულად რამოდენიმე სამეცნიერო დისციპლინის კვლევის საგანს. ჩვენ შევხებით მოკლედ მათგან რამოდენიმეს, რომ სტუდენტს ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს მათ შესახებ.

#### *ე.ა.) კონსტიტუციის თეორია*

საკონსტიტუციო სამართლის ბირთვი კონსტიტუციის თეორიაა<sup>92</sup>, როგორც საჯარო სამართლის მეცნიერების განსაკუთრებული დარგი<sup>93</sup>. კონსტიტუციის თეორიამ მეცნიერებაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა<sup>94</sup>. დიდი ხნის მანძილზე პასუხგაუცემელი იყო მისი დამოუკიდებლობის, საგნის, მეთოდების და სამეცნიერო ინტერესების საკითხი. ის განიხილებოდა, როგორც სახელმწიფოს ზოგადი თეორიის

<sup>88</sup> Peter Perenthaler, Allgemeine Staatslehre und Verfassungslehre, Zweite Auflage, Wien, New York, 1996, S. 26.

<sup>89</sup> Kägi Werner, Die Verfassung als rechtliche Grundordnung des Staates, Untersuchungen über die Entwicklungstendenzen im modernen Verfassungsrecht, Zürich, 1956, S. 12.

<sup>90</sup> Kägi Werner, Die Verfassung als rechtliche Grundordnung des Staates, Untersuchungen über die Entwicklungstendenzen im modernen Verfassungsrecht, Zürich, 1956, S. 12.

<sup>91</sup> Bernd Wieser, 2005, S. 46.

<sup>92</sup> Klaus Poier, Verfassungsrecht und Allgemeine Staatslehre, Prüfungsfälle und Lösungsvorschläge in systematischer Bearbeitung, 4., aktualisierte und erweiterte Auflage, Verlag Österreich, Wien, 2011, S. 15.

<sup>93</sup> Carl Schmitt, Verfassungslehre, 1928, VII.

<sup>94</sup> Bernd Wieser, 2005, S. 44.

შემადგენელი ქვედისციპლინა, რომელიც მის საფუძველზე წარმოიშვა<sup>95</sup>. დღეს კონსტიტუციის თეორია დამოუკიდებელი მეცნიერებაა და მისი კვლევის, სამეცნიერო დაკვირვების ობიექტი - კონსტიტუცია<sup>96</sup> - მისი წარმოშობის პირობები, ტიპური შინაარსი და თავისებურებები, იდეალური და მატერიალური საფუძვლები, ინსტიტუციები და ფუნქციები, ურთიერთობა იურიდიულ და რეალურ კონსტიტუციებს შორის<sup>97</sup>. კონსტიტუციის თეორიის განვითარების კვალდაკვალ ევოლუცია განიცადა მისმა ქვედარგებმა, როგორებიცაა, მაგალითად, დემოკრატიის თეორია, სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია, ძალაუფლების გამიჯვნის თეორია, ადამიანის ძირითადი უფლებების თეორია და ა. შ. სამეცნიერო ლიტერატურაში „კონსტიტუციის თეორიას“ მიჯნავენ „საკონსტიტუციო სამართლის თეორიისაგან“, რომლის შესწავლის ობიექტი ზოგადად საკონსტიტუციო სამართალი და საკონსტიტუციო წესრიგია<sup>98</sup>. „შედარებითი საკონსტიტუციო სამართალი“ ან „შედარებითი კონსტიტუციონალიზმი“<sup>99</sup> (komparatistisch) დიდი ხანია უკვე დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა. ის შეისწავლის კონსტიტუციების ურთიერთზეგავლენას, მსგავსებასა და განსხვავებას<sup>100</sup>.

ევროპული ინტეგრაციის კვალდაკვალ აღმოცენდა და განვითარდა ევროპული საკონსტიტუციო სამართალი<sup>101</sup>, როგორც დისციპლინა და „ევროპული საკონსტიტუციო სამართლის თეორია“<sup>102</sup>, როგორც მეცნიერება. ევროპული საკონსტიტუციო სამართალი მოიცავს ევროკავშირის დაწერილ და დაუწერელ სამართალს, რომელიც არეგულირებს მისი ორგანოების

---

<sup>95</sup> Mattias Jestaedt, *Verfassungstheorie*, Hrsg. Otto Depenheuer/Christoph Grabenwarter, Tübingen, 2010, S. 7.

<sup>96</sup> Mattias Jestaedt, *Verfassungstheorie und verfassungsgebung*, Hrsg. Arno Scherzberg, Berlin, 2012, S. 12.

<sup>97</sup> Ludwig K. Adamovich/Bernd-Christian Funk/Gerhart Holzinger, *Österreichisches Staatsrecht*, Band 1, Wien, New York, 1997, S. 25.

<sup>98</sup> Ludwig K. Adamovich/Bernd-Christian Funk/Gerhart Holzinger, S. 23.

<sup>99</sup> Albrecht Weber, *Europäische Verfassungsvergleichung*, München, 2010.

<sup>100</sup> Ludwig K. Adamovich/Bernd-Christian Funk/Gerhart Holzinger, *Österreichisches Staatsrecht*, Band 1, Wien, New York, 1997, S. 26.

<sup>101</sup> *Europäische Verfassungsrecht*, Hrsg. Ulrich Hufeld, 3., Auflage, Baden-Baden, 2013; *Europäische Verfassungsrecht*, Hrsg. Armin von Bogdandy, Berlin – Heidelberg, 2003.

<sup>102</sup> Peter Häberle, *Europäische Verfassungslehre*, 7., Auflage, Baden-Baden, 2011; Peter Häberle/Markus Kotzur, *Europäische Verfassungslehre*, 8., Auflage, 2015.



ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, სამართლის შექმნის პროცესს და მის მიმართებას ეროვნულ სამართლებრივ სისტემებთან<sup>103</sup>. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ აქ საქმე არ ეხება სახელმწიფოს კონსტიტუციას კლასიკური გაგებით, ვინაიდან ევროკავშირი სახელმწიფო არაა. 2004 წელს იყო მცდელობა, რომ ევროკავშირისთვის კონსტიტუცია შეექმნათ. ევროპის ორმა სახელმწიფომ ის უარყო. 2007 წელს ისევ განახლდა მოლაპარაკებები ძველი დოკუმენტის რეფორმირებაზე, მათ შორის სიტყვა „კონსტიტუციის“ ამოღების ჩათვლით, თუმცა ევროკონსტიტუცია საბოლოოდ მაინც არ იქნა მიღებული.

### *ე.ბ.) კონსტიტუციის ისტორია*

სამართლის ყოველი დარგის პრინციპი და ინსტიტუტი მჭიდრო კავშირშია საკუთარ ისტორიასთან<sup>104</sup>. კონსტიტუციაც განსაზღვრული ისტორიული განვითარების შედეგია<sup>105</sup>. იგი მიეკუთვნება საჯარო სამართალს, ისევე როგორც საკონსტიტუციო სამართლის თეორია, კონსტიტუციის თეორია, სახელმწიფოს ზოგადი თეორია და სახელმწიფოს ფილოსოფია<sup>106</sup>. დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინებად ჩამოყალიბდნენ „შედარებითი საკონსტიტუციო სამართლის ისტორია“<sup>107</sup> და „ევროპული საკონსტიტუციო სამართლის ისტორია“<sup>108</sup>. კონსტიტუციის ისტორია, როგორც მეცნიერება<sup>109</sup> და სამართლის ფენომენოლოგია<sup>110</sup>, მოიცავს

<sup>103</sup> Peter Perenthaler, 1996, S. 29.

<sup>104</sup> Gerhard Köbler, Von der Geschichte der Verfassung zur Verfassungsgeschichte, in: Festschrift für Wilhelm Brauner zum 65. Geburtstag, Rechtsgeschichte mit internationaler Perspektive, Hrsg. Gerald Kohl/Christian Neschwara/Thomas Simon, Wien, 2008, S. 2007.

<sup>105</sup> Uwe Volkmann, Grundzüge einer Verfassungslehre der Bundesrepublik Deutschland, Tübingen, 2013, S. 8.

<sup>106</sup> Christoph Grabenwarter, Verfassungsgeschichte und Theorie der Verfassung, in: Verfassungstheori, Hrsg. Otto Depenueher/Christoph Grabenwarter, Tübingen, 2010, S. 127.

<sup>107</sup> Christoph Gusy, Vergleichende Verfassungsgeschichte als Desiderat und Aufgabe, in: Grundrecht demokrati und Verfassungsgeschichte, Jörg-Detlef Kühne zum 65. Geburtstag, Hrsg. Kay Waechter, 2009, S. 39-57.

<sup>108</sup> Ulrike Müssig, Forschungsaufgaben, Probleme und Methoden einer europäischen Verfassungsgeschichte, in: Verfassungsgeschichte in Europa, Tagung der Vereinigung für Verfassungsgeschichte in Hofgeismar vom 27. Bis 29. März 2006, Für die Vereinigung herausgegeben von Helmut Neuhaus, Berlin, 2010, S. 175-216.

<sup>109</sup> Andreas Kley, Verfassungsgeschichte der Neuzeit, Dritte Auflage, Bern, 2013, S. 1.

<sup>110</sup> Hasso Hofmann, Verfassungsgeschichte als Phänomenologie des Rechts, München, 2007.

კონსტიტუციის განვითარების ისტორიას და კონსტიტუციის სინამდვილეს (რეალური კონსტიტუციის ისტორია). ის იკვლევს ნორმატიული და რეალური კონსტიტუციის წარმოშობასა და განვითარებას<sup>111</sup>. კონსტიტუციის ისტორიასა და საკონსტიტუციო სამართალს შორის მჭიდრო კავშირია. ორივე დისციპლინა ეხება კონსტიტუციას, როგორც საზოგადოების სამართლებრივ საფუძველს<sup>112</sup>, განსაკუთრებით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობას და სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთდამოკიდებულებას. კონსტიტუციის ისტორია სვამს კითხვას, თუ როგორი იყო ეს ურთიერთობები გასულ საუკუნეებში დადგენილი? ის იძლევა საკონსტიტუციო სამართლის ინტერპრეტაციის საშუალებას<sup>113</sup>, აქიდან გამომდინარე უნდა გვახსოვდეს რომ, ის მხოლოდ ისტორიული ასპექტით არ შემოიფარგლება<sup>114</sup> და დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალზე, ვინაიდან ისტორიული განვითარების ცოდნა საკონსტიტუციო სამართლისა და კონსტიტუციის არსის სწორი გაგების ერთერთი წინაპირობაა<sup>115</sup>.

#### *ე.გ.) სახელმწიფოს ზოგადი თეორია*

სახელმწიფოს ზოგადი თეორია ნორმატიული დისციპლინაა<sup>116</sup>. მისი საგანია სახელმწიფო. იგი მოიცავს უმთავრესად სახელმწიფოს ცნებას და ნიშანთვისებებს, მის წარმოშობას და დაცემას, სახელმწიფოს ფორმას, სახელმწიფო იდეებს, სახელმწიფოს, მისი ინსტიტუციების მიზნებსა და ტიპიურ მიმართულებებს<sup>117</sup>. მისი ცენტრალური თემაა, ასევე, სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობა. მისი საგანია არა უბრალოდ „სახელმწიფო“,

---

<sup>111</sup> Bernd Wieser, 2005, S. 47.

<sup>112</sup> Werner Frotscher, Bodo Pieroth, Verfassungsgeschichte, 12., Auflage, München, 2013, S. 1.

<sup>113</sup> Werner Frotscher, Bodo Pieroth, 2013, S. 1.

<sup>114</sup> Reinhart Koselleck, Begriffsgeschichtliche Probleme der Verfassungsgeschichtsschreibung, in: Der Staat, Zeitschrift für Staatslehre öffentliches Recht und Verfassungsgeschichte, Beiheft 6, Gegenstand und Begriffe der Verfassungsgeschichtsschreibung, Hrsg. Ernst-Wolfgang Böckenförde/Rolf Grawert/Fritz Ossenbühl/Helmut Quaritsch/Eberhard Weis/Bernard Willms, Berlin, 1983, S. 21.

<sup>115</sup> Martin Morlok, Was heisst und zu welchem Ende studiert man Verfassungstheorie, Berlin, 1988, S. 30.

<sup>116</sup> Fridriech Koja, Allgemeine Staatslehre, Wien, 1993, S. 7.

<sup>117</sup> Bernd Wieser, 2005, S. 45.

არამედ „კონსტიტუციური სახელმწიფო“<sup>118</sup>. სახელმწიფოს ზოგადი თეორია ყველაზე ძველი დისციპლინაა.

*ე.დ.) პოლიტიკური მეცნიერება*

კონსტიტუცია საზოგადოების კონკრეტული სოციო-პოლიტიკური ფორმაა<sup>119</sup>. კონსტიტუცია თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ერთერთი საკითხია<sup>120</sup>. საკონსტიტუციო სამართალს „პოლიტიკურ სამართალსაც“<sup>121</sup> უწოდებენ. საბოლოო ჯამში კონსტიტუციის თეორია პოლიტიკური თეორიაა<sup>122</sup>. კონსტიტუცია ყოველთვის პასუხობს პოლიტიკური პრაქტიკის განსაზღვრულ მოთხოვნილებებს<sup>123</sup>. კონსტიტუცია არ ამოიწურება მხოლოდ წმინდა სამართლებრივი საკითხებით, არამედ, ის მოიცავს ფართო პოლიტიკურ განზომილებას<sup>124</sup>. პოლიტიკური მეცნიერების შესწავლის (პოლიტოლოგია) უმთავრესი საგანი პოლიტიკური ხელისუფლება და პოლიტიკური ძალაუფლებაა. უფრო კონკრეტულად მოძღვრება ხელისუფლებაზე (ინსტიტუციების თეორია), პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება (პოლიტიკური პროცესი) და ძირითადი პოლიტიკური მსოფლმხედველობა (პოლიტიკური იდეები). ის იკვლევს, ასევე საერთაშორისო პოლიტიკურ ინსტიტუციებსა და პროცესებს (საერთაშორისო პოლიტიკა). სოციო-პოლიტიკური თვალსაზრისით მისი სფეროა, ასევე, კონსტიტუცია.

---

<sup>118</sup> Peter Perenthaler, Allgemeine Staatslehre und Verfassungslehre, Zweite Auflage, Wien, New York, 1996, S. 23.

<sup>119</sup> Ernst-Wolfgang Böckenförde, Die deutsche verfassungsgeschichtliche Forschung im. 19. Jahrhundert, 1961, S. 211.

<sup>120</sup> Teubner Gunther, Verfassungsfragmente, Berlin, 2012; S. 13.

<sup>121</sup> Josef Isensee, Verfassungsrecht, als “politisches Recht”, in: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Hrsg. Josef isensee/Paul Kirchhof, Band XII, Heidelberg, 2014.

<sup>122</sup> Ferdinand A. Hermens, Verfassungslehre, Köln, 1968, S. 3.

<sup>123</sup> Wilhelm Hennis, Verfassung und Verfassungswirklichkeit, Ein deutsches Problem, Tübinge, 1968, S. 35.

<sup>124</sup> Dieter Wyduckel, Verfassung und Konstitutionalisierung, in: Organisation und Verfahren im sozialen Rechtsstaat, Festschrift für Friedrich E. Schanpp zum. 70. Geburtstag, Hrsg. Hermann Butzer/Markus Kaltenborn/Wolfgang Meyer, Berlin, 2008, S. 896.

თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტიტუცია, პირველ რიგში, წმინდა სამართლებრივ-ნორმატიული თავალსაზრისით, სახელმწიფოს კანონია<sup>125</sup> და მას იკვლევს საკონსტიტუციო სამართლის მომიჯნავე მეცნიერებები.

## 2. კონსტიტუციის სისტემური აგებულება

### ა) პრეამბულა

ყველა კონსტიტუცია პრეამბულით არ იწყება<sup>126</sup>. მაგალითად, პრეამბულა არ აქვთ ბელგიის, დანიის, იტალიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, ავსტრიისა და შვედეთის კონსტიტუციებს. პრეამბულას შეიცავს გერმანიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ირლანდიის, პორტუგალიის, შვეიცარიისა და ესპანეთის კონსტიტუციები. პრეამბულის ნორმატიულ-პოზიტიური ბუნებისა და კონსტიტუციაში მისი ადგილის შესახებ, დღემდე სამეცნიერო კამათია<sup>127</sup>. იგი მრავალმხრივი პრობლემაა, როგორც ისტორიული, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ლინგვისტური, ისე იურიდიული თვალსაზრისით. პრეამბულა კონსტიტუციის ლაიტმოტივი<sup>128</sup> და მისი ერთიანობის საფუძველია. ის აძლევს სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ორიენტაციას<sup>129</sup>. ის გვიჩვენებს გზას კონსტიტუციაში<sup>130</sup>. პრეამბულა ძირითადი კანონის დებულებების განმარტების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა<sup>131</sup>. მასში გამოხატულია, პირველ რიგში, სახელმწიფოს სახელმძღვანელო პრინციპები<sup>132</sup>. მას აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: ორიენტაციის ფუნქცია და „ხიდის ფუნქცია“ წარსულსა და მომავალს შორის<sup>133</sup>.

<sup>125</sup> Teubner Gunther, 2012; S. 13.

<sup>126</sup> Bernd Wieser, 2005, S. 70.

<sup>127</sup> Uwe Lehmann-Brauns, Die staatsrechtliche Bedeutung der Präambeln des Grundgesetzes, Berlin, 1964; Peter Häberle, Europäische Verfassungslehre, 7., Auflage, Baden-baden, 2011, S. 274-286.

<sup>128</sup> Peter Häberle, Präambeln im Text und Kontext von Verfassungen, in: Demokratie in Anfechtung und Bewährung, Festschrift für Johannes Broermann, Hrsg. Joseph Listl, Herbert Schambeck, Berlin, 1982, S. 240.

<sup>129</sup> Peter Häberle, Berlin, 1982, S. 248.

<sup>130</sup> Gerhard Robbers, Die Präambel der Verfassung für Europa – Ein Entwurf, in: Verfassung im Diskurs der Welt, Lieber Amicorum für Peter Häberle zum siebzigsten Geburtstag, Hrsg. Alexander Blankenagel/Ingolf Pernice/Helmuth Schulze-Fieletz, Tübingen, 2004, S. 251.

<sup>131</sup> Kommentar zum Grundgesetz, Sechste Auflage, Hrsg. Christian Starck, München, 2010, S. 14.

<sup>132</sup> Bernhard Rhrenzeller, „Im Bestreben, den Bund zu erneuern“, Einige Gedanken über „Gott“ und die „Welt“ in der Präambel des Bundesbeschlusses über eine neue

სიტყვა „პრეამბულა“ ეტიმოლოგიურად ლათინური ენიდან მომდინარეობს - „praeambulare“, რომელიც წინ გასწრებას, თავში სვლას, ხოლო შუასაუკუნეების ლათინური - „preambulum“ - შესავალს აღნიშნავს<sup>134</sup>.

პრეამბულა კონსტიტუციის ნაწილია<sup>135</sup> და ის მის ტექსტთანაა ინტეგრირებული<sup>136</sup>. პრეამბულით იხსნება კონსტიტუციის თავფურცელი<sup>137</sup>. ამასთან პრეამბულა არაა მხოლოდ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივ-თეორიული ან საკონსტიტუციო-პედაგოგიური მნიშვნელობის, ის უფრო მეტად იურიდიული, სამართლებრივ-ნორმატიული ხასიათისაა<sup>138</sup>. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მის პოლიტიკურ და სამართლებრივ მნიშვნელობას ასე განმარტავს: „პრეამბულას პირველ რიგში აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა. ის არის პოლიტიკური აღიარება, გერმანელი ხალხის საერთო - პოლიტიკური გამოძახილი გერმანიის ერთიანობის დასრულების შესახებ. გარდა ამისა, პრეამბულას სამართლებრივი შინაარსიც აქვს, ვინაიდან, პრეამბულიდან პოლიტიკური სახელმწიფო ორგანოს ყველა სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს“<sup>139</sup>. თუ პრეამბულა კონსტიტუციის მთლიანი შინაარსის განმარტების საშუალებაა და სახელმწიფოს მიზნებს და სახელმწიფო ხელისუფლების სავალდებულო ქმედებებს შეიცავს, მაშინ ის ნორმატიული ბუნებისაა.

მაშ რა არის პრეამბულა? პრეამბულა კონსტიტუციური კანონმდებლის ისტორიული და პოლიტიკური მდგომარეობის, მისი თვითგამორკვევის გამოხატულებაა. ის შეიცავს სახელმწიფოს არსებით მიზნებს, კონსტიტუციის სამოქმედო სივრცეს ტერიტორიული და პერსონალური თვალსაზრისით<sup>140</sup>. პრეამბულაში არსებული იდეალები და მიზნები არ შეიძლება კონკრეტულ

---

Bundesverfassung“, in: Der Verfassungsstaat vor neuen Herausforderungen, Festschrift für Yvo Hangarter, Hrsg. Bernhard Ehrenzeller/Philippe Mastronardi/Rene Schaffhauser/Rainer J. Schweizer/Klaus A. Vallender, 1998, S. 987.

<sup>133</sup> Bernhard Rhrenzeller, 1998, S. 988.

<sup>134</sup> Nora Otto, Die Normative Wirkung von Präambeln im europäischen Primärrecht, Berlin, 2013, S. 1.

<sup>135</sup> Bernd Wieser, 2005, S. 70.

<sup>136</sup> Verfassung des Landes Baden-Württemberg, Kommentar, Hrsg. Paul Fauchte, 1987, S. 48.

<sup>137</sup> Peter Häberle, Berlin, 1982, S. 212.

<sup>138</sup> Verfassung des Landes Baden-Württemberg, Kommentar, Hrsg. Paul Fauchte, 1987, S. 58.

<sup>139</sup> Peter Häberle, Berlin, 1982, S. 224.

<sup>140</sup> Bernd Wieser, 2005, S. 70.

ეპოქაში არსებობდნენ მხოლოდ. ისინი სახელმწიფოსა და კონსტიტუციის თანამდევნი ფასეულობები და მარადიული ღირებულებებია.

მიუხედავად ამისა, პრემბულა არაა „ზეკონსტიტუცია“<sup>141</sup>, ვინაიდან, ის შეიძლება მომავალში შეიცვალოს ან საერთოდ გაუქმდეს<sup>142</sup>. პრემბულა არც კონსტიტუციის სავალდებულო და აუცილებელი შემადგენელი ნაწილია<sup>143</sup>. იგი მპრემბულის გარეშეც სიცოცხლისუნარიანია. თუ კონსტიტუცია არ შეიცავს მას, მაშინ ის მიზნები და მისწრაფებები, რომლებიც, როგორც წესი, პრემბულითაა გათვალისწინებული, კონსტიტუციის საერთო პრინციპებიდან და ზოგადი შინაარსიდან გამომდინარეობს.

### ბ) ძირითადი ნაწილი

კონსტიტუციები ფორმალურ-სტრუქტურული თვალსაზრისით მსგავსებას ავლენენ. ზოგადად ითვლება, რომ კონსტიტუციის თავების თანმიმდევრობას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს<sup>144</sup>. კონსტიტუციის სისტემური აგებულება ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, კონსტიტუციური დებულებების მნიშვნელობას და, მეორე მხრივ, ავლებს მტკიცე ზღვარს კონსტიტუციურ და არაკონსტიტუციურ საკითხებს შორის, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ადგენს თუ რომელი საკითხია კონსტიტუციურად მნიშვნელოვანი და რომელი არა. თანამედროვე საკონსტიტუციო პრაქტიკა იშვიათად, მაგრამ მაინც, გვიჩვენებს ტენდენციას, როდესაც ჩვეულებრივი კანონებით მოსაწესრიგებელ საკითხებს კონსტიტუციური ჩარჩოებში აქცევენ. ძირითადად, კონსტიტუციის სტრუქტურაში გამოიყოფა შემდეგი ელემენტები: „კონსტიტუციის პრინციპები“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“ და „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია“<sup>145</sup>.

### ბ.ა.) კონსტიტუციის პრინციპები

კონსტიტუცია უმაღლესი ღირებულებების სისტემაა. ამ სისტემაში უმთავრესი ადგილი კონსტიტუციური წყობილების ფუნდამენტურ პრინციპებს უჭირავს და, ბუნებრივია, კონსტიტუციების უმრავლესობა,

<sup>141</sup> Peter Häberle, Berlin, 1982, S. 242.

<sup>142</sup> Horst Dreier, in: Dreier, Grundgesetz, 1, Präambel, Rdnr. 23.

<sup>143</sup> Bernhard Rhrenzeller, 1998, S. 985.

<sup>144</sup> Bernd Wieser, 2005, S. 71.

<sup>145</sup> Hans Peter Schneider, S. 28.

პრემიუმის შემდეგ, დასაწყისშივე ადგილს ამ პრინციპებს უთმობს. მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუცია ძირითადი პრინციპებით იწყება. კონსტიტუციის პრინციპი კონსტიტუციაში უმაღლესი ცნებაა<sup>146</sup>. ის სახელმწიფოს მიზნებთანაა დაკავშირებული. კონსტიტუციის თეორიაში გამოყოფენ კონსტიტუციური პრინციპის რამოდენიმე სახეს, ესენია: მატერიალური და ფორმალური, აბსოლუტური და შედარებითი, ძირითადი და სუბ - პრინციპები<sup>147</sup>. კონსტიტუციური პრინციპი კონსტიტუციის ხერხემალია, რომელსაც მისი მთლიანი შინაარსი ეყრდნობა. ესენია: სუვერენიტეტისა და დემოკრატიის, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს, რესპუბლიკანიზმის, ხელისუფლების დანაწილების, პლურალიზმის, საჯაროობის, კონსტიტუციის უზენაესობის, ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპი.

#### *ბ.ბ.) ძირითადი უფლებები*

ძირითადი უფლებები კონსტიტუციებში უფრო გვიან გამოჩნდა. ამ პროცესის დაჩქარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აშშ-ს პრეზიდენტს თომას ჯეფერსონს, რომელსაც მიაჩნდა, რომ კონსტიტუციის სტრუქტურული და შინაარსობრივი სრულყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობა მასთან ძირითადი უფლებების ინტეგრაციაა. ის, რომ კონსტიტუციაში ძირითად უფლებებს გამორჩეული ადგილი უჭირავს, მიუთითებს მათ განსაკუთრებულ პრიორიტეტზე<sup>148</sup>. მაგ; როგორც ჰოლანდიის, ისე გერმანიის კონსტიტუციები პირდაპირ, ადამიანის ძირითადი უფლებებით იწყება. თუმცა პირიქითაა ავსტრიისა და ჩეხეთის კონსტიტუციებში. ლიტვის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებები კონსტიტუციის ტექსტის ბოლოშია მოქცეული.

#### *ბ.გ.) ხელისუფლების ორგანიზაცია*

კონსტიტუციებში ყველაზე დიდი ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას ეთმობა<sup>149</sup>. ძირითადად ესენია: სახელმწიფოს მეთაური, აღმასრულებელი ხელისუფლება, საკანონმდებლო ხელისუფლება, სასამართლო ხელისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობა,

<sup>146</sup> Franz Reimer, Verfassungsprinzipien, Berlin, 2001, S. 502.

<sup>147</sup> Franz Reimer, Verfassungsprinzipien, Berlin, 2001, S. 502.

<sup>148</sup> Bernd Wieser, 2005, S. 71.

<sup>149</sup> Bernd Wieser, 2005, S. 72.

ეროვნული ბანკი, კონტროლის პალატა, ომბუდსმენი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო<sup>150</sup>. ფედერალური კონსტიტუციები განსაზღვრავენ ფედერალური მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობებს. სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციურ სისტემაში წარმოდგენილია კერძო საკუთრება და სოციალური საკითხები, ფინანსები და ბიუჯეტი, თავდაცვა. თითქმის ყველა კონსტიტუცია თავისი ტექსტის ბოლოში ადგენს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის განსაკუთრებულ წესებს, გარდამავალ და დასკვნით დებულებებს<sup>151</sup>.

### 3. კონსტიტუციის ფუნქციები

სახელმწიფოს ფუნქცია სამართლის ფუნქციაა<sup>152</sup>. სიტყვა „ფუნქცია“ (ლათინური *functio*) შესრულებას და ვალდებულებას აღნიშნავს. კონსტიტუციას, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების სამართლებრივი კულტურის გამოხატულებას და სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ფუნდამენტს, მისთვის დამახასიათებელი ფუნქციები გააჩნია. კონსტიტუცია, როგორც მაშტაბი<sup>153</sup>, მრავალფუნქციური ქმნილებაა<sup>154</sup>. ეს ფუნქციები გამოხატულია როგორც პრეამბულაში, ისე კონსტიტუციის მთელ რიგ დებულებებში. კონსტიტუციის ფუნქციების მიმართ განსხვავებული შეხედულებებია. ფუნქციების რამდენიმე ფორმას გამოყოფენ. მაგალითად, ჰესეს აზრით, არსებითია ორი ფუნქცია: პოლიტიკური ერთიანობისა და სამართლებრივი წესრიგის შექმნისა და შენარჩუნების ფუნქცია<sup>155</sup>. აქიდან გამომდინარე, კონსტიტუციის ფუნქციები ორი სახისაა: პოლიტიკური და სამართლებრივი. სამართლებრივი ფუნქციის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ კონსტიტუცია ქმნის სახელმწიფო

---

<sup>150</sup> Bernd Wieser, 2005, S. 72.

<sup>151</sup> Bernd Wieser, 2005, S. 72.

<sup>152</sup> Hans Kelsen, *Allgemeine Staatslehre*, Berlin, 1925.

<sup>153</sup> Wilhelm Brauner, *Was ist die Verfassung*, in: *Demokratie und sozialer Rechtsstaat in Europa*, Festschrift für Theo Öhlinger, Hrsg. Stefan Hammer/Alexander Somek/Manfred Stelzer, Barbara Weichselbaum, Wien, 2004, S. 192.

<sup>154</sup> Gunnar Folke Schuppert, S. 532.

<sup>155</sup> Konrad Hesse, *Verfassung und Verfassungsrecht*, in: *Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland*, 2., Auflage, Hrsg. Ernst benda/Werner Maihofer/Hans-Jochen Vogel, Berlin – New York, 1994, S. 5.



ხელისუფლების ორგანიზაციულ სისტემას, ხოლო პოლიტიკური ფუნქცია - სახელმწიფოს პოლიტიკურ ერთიანობას<sup>156</sup>.

კონსტიტუციებს აქვთ სიმბოლური და ინსტრუმენტალური ფუნქციები. სიმბოლური ფუნქცია ქმნის საზოგადოების პლიტიკური სისტემის სახელმძღვანელო იდეებს, ადგენს პოლიტიკური კულტურის შინაარსსა და წესებს. ინსტრუმენტალური ფუნქციის მიზანია პოლიტიკური პროცესის სამართლებრივი მოწესრიგება<sup>157</sup>.

საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ კონსტიტუციამ მრავალი ფუნქცია შეიძინა. მათი გააზრების გარეშე კონსტიტუციის არსში წვდომა შეუძლებელია. ფუნქციებში კონსტიტუციის ნორმატიულ-პოზიტიური ბუნება და სამართლებრივ-პოლიტიკური დანიშნულებაა გამოხატული.

კონსტიტუცია მხოლოდ ფორმალური აქტი არაა და მას ძალუძს ისტორიული განვითარების შედეგად დაკისრებული ფუნქციების შესრულება. კონსტიტუციური განვითარების ისტორია მეტყველებს, თუ როგორ მიაღწიეს სახელმწიფოებმა შეუქცევად პროგრესს, როცა იქ დამყარდა კონსტიტუციური მართლწესრიგი. დასკვნა მარტივია: კონსტიტუცია სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ხერხემალია.

ა) ხელისუფლების შეზღუდვის ფუნქცია

კონსტიტუცია თავისუფლებისა და ძალაუფლების გამიჯვნის სიმბოლოა<sup>158</sup> და ის ხელისუფლების დანაწილების გარეშე წარმოუდგენელია<sup>159</sup>. წმინდა სამართლის თვალსაზრისით, ძალაუფლების გამიჯვნა კონსტიტუციის აუცილებელი კომპონენტია<sup>160</sup>. კონსტიტუციებში ხელისუფლების ორგანიზაციის განსხვავებული მოდელების არსებობა მმართველობის სისტემების თავისებურებებით აიხსნება. ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა არ მოითხოვს ძალაუფლების გამიჯვნის ერთიანი

---

<sup>156</sup> Anne Peters, Elemente einer Theorie der Verfassung Europas, Berlin, 2001, S. 78.

<sup>157</sup> Gunnar Folke Schuppert, S. 530.

<sup>158</sup> Jürgen Gebhardt, Die Idee der Verfassung: Symbol und Instrument, in: Verfassungen als Fundament und Instrument der Politik, Hrsg Adolf Kimmel, 1995, S. 9. Andre Brodocz, Die symbolische Dimension der Verfassung, 2003.

<sup>159</sup> Gewaltenteilung heute, Symposium aus Anlass der Vollendung des 65. Lebensjahres von Fritz Ossenbühl, Hr. Josef Isensee, Heidelberg, Bd. 112, 2000, S. V.

<sup>160</sup> Werner Heum, Verfassung und Verfassungsgerichtbarkeit im Vergleich, Tübingen, 2014, S. 65.

მოდელის დამკვიდრებას. მთავარია, არ დაირღვეს უნივერსალური მოვლენის - თავისუფლების არსი.

კონსტიტუციის ყველაზე არსებითი ფუნქცია და მისი პოლიტიკური პრობლემა<sup>161</sup> - ხელისუფლების შეზღუდვაა - ურთიერთწონასწორობისა და კონტროლის მექანიზმების საშუალებით. კონსტიტუციამ თავიდან უნდა აგვაცილოს ხელისუფლების კონცენტრაცია და მისი ბოროტად გამოყენება. მიზანი კი სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანობის მიღწევაა<sup>162</sup>. ამ ფუნქციას „კლასიკურ ფუნქციას“<sup>163</sup>, „კლასიკურ ლიბერალურ ფუნქციას“<sup>164</sup>, ხოლო კონსტიტუციას ლიბერალურ კონსტიტუციას<sup>165</sup> უწოდებენ.

ბ) ორგანიზაციული და პოლიტიკური ერთიანობის ფუნქცია

კონსტიტუციის ცენტრალური ამოცანა პოლიტიკური ერთიანობის შექმნაა<sup>166</sup>, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს (კონსტიტუციის „აბსოლუტური გაგება“) კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკურ ერთიანობასა და სოციალურ წესრიგს<sup>167</sup>. კონსტიტუცია აფუძნებს სახელმწიფოს სუვერენული ხელისუფლების არსებით ინსტიტუციებს (პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო) და ადგენს ხელისუფლების ორგანოების ამოცანებსა და კომპეტენციებს, არეგულირებს ურთიერთობებს ხელისუფლების ორგანოებს შორის<sup>168</sup>. კონსტიტუცია საფუძველს უყრის პოლიტიკურ ერთიანობას და ემსახურება ამ ერთიანობის ჩამოყალიბებას.<sup>169</sup> ასევე, პოლიტიკურ ინსტიტუციებთან ერთად, ქმნის ცალკეულ პოლიტიკურ სფეროებს და, ამავე დროს, უზრუნველყოფს ამ სფეროების დიფერენცირებას იმ თვალსაზრისით, რომ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას სპეციალური კომპეტენტური ინსტიტუციების მიერ, რაც აუცილებელია პოლიტიკის შინაარსის

<sup>161</sup> Martin Morlok, Staatsorganisationsrecht, 2. Auflage, Baden-Baden, 2015, S. 35.

<sup>162</sup> Martin Morlok, 2015, S. 35.

<sup>163</sup> Otto Depenheuer, Funktionen der Verfassung, in: Verfassungstheori, Hrsg. Otto Depenheuer/Cristoph Grabenwarter, Tübingen, 2010, S. 540.

<sup>164</sup> Anne Peters, Elemente einer Theorie der Verfassung Europas, Berlin, 2001, S. 78.

<sup>165</sup> Reinhold Zippelius, Thomas Würtenberger, Deutsches Staatsrecht, 32., Auflage, 2008, S. 42.

<sup>166</sup> Gunnar Folke Schuppert, S. 535.

<sup>167</sup> Carl Schmitt, Verfassungslehre, 1928, S. 4.

<sup>168</sup> Otto Depenheuer, 2010, S. 540.

<sup>169</sup> Martin Morlok, 2015, S. 37.

დემოკრატიული განსაზღვრებისათვის<sup>170</sup>. სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების ხარისხი დამოკიდებულია არსებითად პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ეფექტიანობა და შინაარსი ეფუძნება მის პოლიტიკურ ერთიანობას<sup>171</sup>. სახელმწიფოში მხოლოდ კონსტიტუცია ადგენს პოლიტიკური „თამაშის წესებს“ (Spielregeln)<sup>172</sup>.

გ) სადამფუძნებლო და ლეგიტიმაციის ფუნქცია

კონსტიტუციის თეორიაში კონსტიტუციის კიდევ ორ ფუნქციას გამოყოფენ. ესენია: სადამფუძნებლო და ლეგიტიმაციის ფუნქცია.

კონსტიტუცია ადგენს და ფორმას ამლევს სახელმწიფო ხელისუფლებას<sup>173</sup>. კონსტიტუცია არა ერს, არამედ მის პოლიტიკურ ხელისუფლებას აფუძნებს<sup>174</sup>. ამ ფუნქციას კონსტიტუციის სადამფუძნებლო ფუნქციას უწოდებენ. კონსტიტუცია ახდენს სახელმწიფოს სამართლებრივ ინსტიტუციონალიზაციას<sup>175</sup>. ეს ნიშნავს კონსტიტუციური სახელმწიფოს იდეას<sup>176</sup>, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს წინაპირობაა.

კონსტიტუცია ქმნის ხელისუფლების პოზიტიურ-სამართლებრივი ლეგიტიმაციის საფუძვლებს<sup>177</sup>. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია კონსტიტუციის ამოსავალი თემაა. მან თავის თავზე აიღო საჯარო ხელისუფლების ლეგიტიმაციის ფუნქცია და მოახდინა პოლიტიკისა და სამართლის ერთმანეთთან დაახლოება<sup>178</sup>. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია იწყება და მთავრდება კონსტიტუციით. რაში მდგომარეობს ლეგიტიმაციის არსი?

---

<sup>170</sup> Martin Morlok, 2015, S. 37.

<sup>171</sup> Konrad Hesse, *Verfassung und Verfassungsrecht*, S. 6.

<sup>172</sup> Ludwig K. Adamovich/Bernd-Christian Funk/Gerhart Holzinger, *Österreichisches Staatsrecht*, Band 1, Wien, New York, 1997, S. 14.

<sup>173</sup> Otto Depenheuer, *Funktionen der Verfassung*, 2010, S. 540.

<sup>174</sup> Emmanuel Joseph Sieyes, *Einleitung der Verfassung* (1789), in: *Politische Schriften*, Hrsg. Eberhard Schmitt, 1978, S. 250.

<sup>175</sup> Herwig Hofmann, *Zur Idee des Staatsgrundgesetz*, 1986, S. 269-274.

<sup>176</sup> Anne Peters, *Elemente einer Theorie der Verfassung Europas*, Berlin, 2001, S. 84.

<sup>177</sup> Martin Morlok, 2015, S. 38.

<sup>178</sup> Niklas Luhmann, *Verfassung als evolutionäre Errungenschaft*, in: *Rechtshistorisches Journal* 9, 1990, S. 176.

სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ლეგიტიმაციაა. ერთი მხრივ, მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებაა ლეგიტიმური და, მეორე მხრივ, ყველა არსებითი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მაშინ არის უმაღლესი ნების გამოხატულება, თუ ის ხალხის მიერაა მხარდაჭერილი (pouvoir constituant). მონარქისტების ლეგიტიმაციის უმთავრესი წყარო „ღვთის წყალობა“<sup>179</sup> იყო. თანამედროვე კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველია<sup>180</sup>.

#### დ) სტაბილიზაციის ფუნქცია

კონსტიტუციის ერთერთი მთავარი ამოცანა პოლიტიკური პროცესების სტაბილიზაცია და მათი სწორი ორიენტაციაა<sup>181</sup>. კონსტიტუციური ნორმები ემსახურება პოლიტიკური და სოციალური ძალების თანხმობას. ის გავლენას ახდენს არასახელმწიფოებრივ ურთიერთობებზეც, ინარჩუნებს არსებულ წესრიგს და სოციალურ ძალებთან კონსენსუსის საფუძველზე „ღია კარს“ უხსნის სიახლეებს<sup>182</sup>. კონსტიტუცია უზრუნველყოფს ყველა სახელმწიფოებრივი და სოციალური ძალების ერთიან სისტემას და მოქალაქეთა სამართლებრივ უსაფრთხოებას<sup>183</sup>.

პოლიტიკური სტაბილიზაცია მოიცავს ხელისუფლების შტოებს შორის პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის მექანიზმებს<sup>184</sup>. კონსტიტუცია უშვებს, როგორც კომპრომისებს, ასევე, კონფლიქტებს. მან პოლიტიკური კრიზისები მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ან საერთოდ აგვაცილოს.

#### ე) ინტეგრაციის ფუნქცია

<sup>179</sup> Martin Morlok, 2015, S. 42.

<sup>180</sup> Heinrich Lang, Funktionen der Verfassungs, in: Handbuch des Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Hrsg. Josef Isensee/Paul Kirchhof, Band XII, 2014, S. 417.

<sup>181</sup> Gunnar Folke Schuppert, S. 534.

<sup>182</sup> Ulrich Scheuner, Die Funktion der Verfassung für den Bestand der politischen Ordnung, Wilhelm Hennis/Peter Graf Kielmannsegg/Ulrich Matz (Hg.), Regierbarkeit. Studien zu ihrer Problematisierung, Bd.2, Stuttgart 1979, S. 102 ff., 112.

<sup>183</sup> Urs Marti, konstitution als Zustand und als Akt, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Tagung 12.-13. November 2004, Hrsg. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Stuttgart, 2006, S. 30;

<sup>184</sup> Rainer Grote, Der Verfassungsorganstreit, Tübingen, 2010.

ინტეგრაცია (ფრანგ. „integrer“ - შევსება, აღდგენ, ერთიანობა<sup>185</sup>) საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ინტეგრაციული ფუნქცია კონსტიტუციის უმაღლესი მიზანია. ის კონსტიტუციური სახელმწიფოს ცენტრალური ფუნქცია<sup>186</sup> და კონსტიტუციური პრინციპია<sup>187</sup>. კონსტიტუცია საერთო კონსენსუსის საფუძველზე<sup>188</sup> უზრუნველყოფს თანამედროვე პლურალისტურ საზოგადოებას. მთავარი მიზანი საზოგადოებრივი ჯგუფების შეხედულებების, ინტერესებისა და მისწრაფებების ინტეგრაცია, კონფლიქტების თავიდან აცილება, სოციალური წესრიგის და ეროვნული ერთიანობის დამყარებაა. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ირღვევა სახელმწიფოს მთლიანობა<sup>189</sup>. ინტეგრაციის უმთავრესი ელემენტი ურთიერთთანხმობა, კონსენსუსი და პასუხისმგებლობაა. კონსტიტუცია უზრუნველყოფს, როგორც პოლიტიკურ-ინსტიტუციონალურ, ისე სამართლებრივ ინტეგრაციას. გამოყოფენ საგარეო და საშინაო ინტეგრაციას<sup>190</sup>.

#### 4. კონსტიტუციის კლასიფიკაცია

ფორმისა და შინაარსის მიხედვით ცნობილია დიფრენცირების რამოდენიმე ფორმა: რესპუბლიკური და მონარქიული, ფედერაციული და უნიტარული, იდეოლოგიურ-პროგრამული, სახელმწიფოებრივი და ზესახელმწიფოებრივი, დახურული და ღია, იურიდიულ-ტექნიკური და სამართლებრივ-ეთიკური, ფაქტობრივი და იურიდიული, სტატიკური და დინამიკური კონსტიტუციები. წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი იქნება კონსტიტუციის დაყოფის რამდენიმე კლასიკური მაგალითები.

#### ა) დაწერილი და დაუწერელი კონსტიტუციები

---

<sup>185</sup> Heinrich Lang, 2014, S. 428.

<sup>186</sup> Walter Pauly/Martin Sielinger, der deutsche Verfassungsstaat, in: 50 Jahre Bundesrepublik Deutschland, Rahmenbedingungen – Entwicklungen – Perspektiven, Hrsg. Thomas Ellwein/Everhard Holtman, 1999, S. 79.

<sup>187</sup> Peter Häberle, Gemeineuropäisches Verfassungsrecht, 1997, S. 29.

<sup>188</sup> Heinrich Lang, 2014, S. 429.

<sup>189</sup> Konrad Hesse, Verfassung und Verfassungsrecht, S. 6.

<sup>190</sup> Heinrich Lang, 2014, S. 429.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ფლობს დღეს წერილობით კონსტიტუციას<sup>191</sup>. კონსტიტუციების კლასიფიკაცია დაწერილ და დაუწერელ კონსტიტუციებად ხანგრძლივი ტრადიციის მქონეა. ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუცია პოზიტიური საკონსტიტუციო კანონმდებლობის საფუძველია. პირველი ევროპული კონსტიტუცია პოლონეთის 1791 წლის კონსტიტუციაა. დაუწერელი კონსტიტუციის ქვეყნებია დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია და ისრაელი. დაწერილი კონსტიტუცია ფორმალური აქტია და ეფუძნება „ერთიანი ტექსტის“<sup>192</sup> პრინციპს. დაუწერელი კონსტიტუცია სხვადასხვა დროს მიღებული და თანაბარმნიშვნელოვანი იურიდიული ძალის მქონე კონსტიტუციური დოკუმენტების სისტემაა. კონსტიტუციის სტაბილიზაციისა და რაციონალიზაციის საფუძველი მისი წერილობითი ფორმაა<sup>193</sup>. დაწერილი კონსტიტუციის ტიპური ფორმალური მახასიათებელი ერთიანი წერილობითი ფიქსაციაა<sup>194</sup>. „დაუწერელ კონსტიტუციას“ ან „დაუწერელ საკონსტიტუციო სამართალს“ ზოგჯერ „ჩვეულებით საკონსტიტუციო სამართალს“ უწოდებენ<sup>195</sup>. როდესაც კაცობრიობას კლასიკური კონსტიტუციური პრაქტიკის მაგალითები არ ჰქონდა, პოზიტიური საკონსტიტუციო კანონმდებლობის ერთერთი წყარო ჩვეულებითი საკონსტიტუციო სამართალი იყო.

## ბ) მყარი და მოქნილი კონსტიტუციები

ყოველი კონსტიტუცია არსებობს დროში<sup>196</sup>. საზოგადოების სოციალური სინამდვილის ისტორიული გარდაქმნები კონსტიტუციის შინაარსზეც მოქმედებს და არ ტოვებს მის ტექსტს ხელუხლებელს<sup>197</sup>. კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მყარი (რთული) და მოქნილი (მარტივი) მექანიზმებით. საყოველთაოდ ცნობლია, რომ ეს დაყოფა

<sup>191</sup> Karl Loewenstein, *Verfassungslehre*, 2000., S. 141.

<sup>192</sup> Bernd Wieser, 2005, S. 98.

<sup>193</sup> Konrad Hesse, *Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland*, 20., Auflage, S. 14.

<sup>194</sup> Christian Winterhof, *Verfassung – Verfassungsgebung – Verfassungsänderung*, Tübingen, 2007, S. 99.

<sup>195</sup> Christa Wagner, *Bonner Grundgesetz und Verfassungsgewohnheitsrecht*, München, 1963, S. 23.

<sup>196</sup> Peter Häberle, *Zeit und Verfassung*, in: *Die Verfassung als öffentlicher Prozess*, 1978, S. 59.

<sup>197</sup> Konrad Hesse, *Verfassung und Verfassungsrecht*, S. 11.

ეკუთვნის ცნობილ ინგლისელ სამართალმცოდნეს ჯეიმს ბრაისს (James Bryce, 1938-1922), რომელმაც 1901 წელს ამ საკითხზე თავისი მოხსენებების წიგნი გამოსცა - „Flexible and Rigid Constitutions“<sup>198</sup>. მისი აზრით, ეს დაყოფა ეფუძნება არა ცვლილებების პროცესის თავისებურებებს, არამედ კონსტიტუციების განსხვავებულ სამართლებრივ ბუნებას. მოქნილ კონსტიტუციებში ის მოიაზრებს „ისტორიულ“, რთულში „დაწერილ“ კონსტიტუციებს.

ცვლილებების შეტანის მექანიკა ყველა სახელმწიფოში თითქმის განსხვავებულია. ყველაზე მარტივი მეთოდი დაუწერელი კონსტიტუციის ქვეყნებში მოქმედებს. საკონსტიტუციო სამართალშემოქმედება სახელმწიფოს პოლიტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. კონსტიტუციის თეორიაში ის „საკონსტიტუციო პოლიტიკის“<sup>199</sup> სახელწოდებითაა ცნობილი და ჩამოყალიბდა, როგორც პრაქტიკული მეცნიერება და კონსტიტუციური ცვლილებების ხელოვნება<sup>200</sup>. საკონსტიტუციო პოლიტიკა შეიმუშავებს საკონსტიტუციო სამართლისა და კონსტიტუციის განვითარების კონცეფციებსა და სტრატეგიებს. საკონსტიტუციო პოლიტიკა იკვლევს საკონსტიტუციო რეფორმების შესაძლებლობებს და როდესაც ეს შესაძლებლობები იჭურება, იწყება კონსტიტუციური ცვლილებების კრიზისი<sup>201</sup>. ხელოვნური საკონსტიტუციო ინოვაციები - ექსპერიმენტული საკონსტიტუციო მიდგომები, მიუღებელია და ზიანს აყენებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას.

ცვლილებები თვითმიზანი არაა. თუ ის საზოგადოებრივი ცხოვრების მოდიფიცირებასა და საკონსტიტუციო პოლიტიკის მოთხოვნილებებს ემსახურება, მაშინ კონსტიტუცია „მომრავი“ ელემენტია. საკონსტიტუციო ცვლილება არც შემთხვევითი და არც თვითნებურია. ის კონსტიტუციის უწყვეტობის ლეგიტიმური გზაა<sup>202</sup>.

---

<sup>198</sup> Alessandro Pace, *Starre und flexible Verfassungen*, in: *Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart*, Neue Folge/Band 49, Hrsg. Peter Häberle, Tübingen, 2001, S. 89.

<sup>199</sup> Ludwig K. Adamovich/Bernd-Christian Funk/Gerhart Holzinger, S. 25.

<sup>200</sup> Peter Saladin, *Die Kunst der Verfassungserneuerung*, Schriften zur Verfassungsreform (1968-1996), Basel und Frankfurt am Mein, 1998.

<sup>201</sup> Konrad Hesse, *Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland*, 20., Auflage, S. 16.

<sup>202</sup> Peter Häberle, *Verfassung als öffentlicher Prozess*, Berlin, 1996, S. 91.

გ) „ჩარჩო“ და „ტექნიკური“ კონსტიტუციები

კონსტიტუციები განსხვავდებიან ტექსტის სიდიდის მიხედვით. ე.წ. „ჩარჩო - კონსტიტუცია“ ძალიან მოკლე და ვიწროა. ამის კლასიკური მაგალითია ამერიკის 1787, ლატვიის 1922, დანიის 1953, საფრანგეთის 1958, ასევე უნგრეთის 1989 და ჩეხეთის 1992 წლის კონსტიტუციები. „ჩარჩო“ კონსტიტუციები ინტერპრეტაციის უფრო მეტ საშუალებას იძლევა. მეორე რიგის კონსტიტუციები ე.წ. „ტექნიკური - კონსტიტუციები“ შედარებით მეტი კონკრეტულობით გამოირჩევიან. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია პორტუგალიის 1976 და პოლონეთის 1997 წლის კონსტიტუციები, რომლებსაც „საკონსტიტუციო სამართლის“ სახელმძღვანელოებსაც კი უწოდებენ<sup>203</sup>.

დ) „ძველი“ და „ახალი“ კონსტიტუციები

„ახალ“ კონსტიტუციებს მიეკუთვნება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი და მეოცე საუკუნის 90-იანი წლების პოსტსოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციები. ძველ და ახალ კონსტიტუციებს შორის განსხვავების დასადგენად აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს რამდენიმე მომენტზე: პირველი, ახალი თაობის კონსტიტუციები, ძველი კონსტიტუციებისგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს აწესრიგებენ, გამოირჩევიან რეგულირების ფართო სფეროთი; მეორე, თანამედროვე ტიპის კონსტიტუციების უპირველესი ამოცანაა გადაჭრან ყველა მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო-პოლიტიკური საკითხი, მათ შორის საკონსტიტუციო ორგანოებს შორის არსებული კონფლიქტების ჩათვლით; მესამე, ახალი კონსტიტუციების ნორმატიული და ინსტიტუციონალური მექანიზმების უმთავრესი ამოცანა ძირითადი უფლებების დაცვა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფაა.

ე) თავდაპირველი და ნაწარმოები კონსტიტუციები

ცნობლი გერმანელი კონსტიტუციოლოგი კარლ ლოვენშტაინი გვთავაზობს კონსტიტუციების კლასიფიცირების ორიგინალურ მოდელს. მისი აზრით, კონსტიტუციები იყოფა თავდაპირველ (Originäre) და ნაწარმოებ (abgeleitete) კონსტიტუციებად<sup>204</sup>. რას ნიშნავს თავდაპირველი

<sup>203</sup> Bernd Wieser, 2005, S. 100.

<sup>204</sup> Karl Loewenstein, Verfassungslehre, 2000., S. 144.



კონსტიტუცია? კონსტიტუცია, რომელიც ახალ, ორიგინალურ და კონსტიტუციონალიზმისათვის მანამდე უცნობ პრინციპებსა და ინსტიტუტებს აფუძნებს. ნაწარმოები კონსტიტუციები თავდაპირველი კონსტიტუციების საფუძველზე აღმოცენდნენ ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით. ორიგინალურ პრინციპებსა და ინსტიტუტებს შეიცავდნენ, ასევე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენებული კონსტიტუციებიც. თუმცა, დღეს ასეთი კონსტიტუციები შედარებით იშვიათია. ორიგინალობით გამოირჩევიან შემდეგი ქვეყნის კონსტიტუციები:

- დიდი ბრიტანეთი - პარლამენტის სუვერენობის პრინციპი, წმინდა საპარლამენტო მმართველობა;
- ამერიკის შეერთებული შტატები - ხელისუფლების დანაწილება, წონასწორობისა და ბალანსის მექანიზმები, საპრეზიდენტო დემოკრატია, მოგვიანებით, საკონსტიტუციო კონტროლი;
- საფრანგეთი - რაციონალიზებული პარლამენტარიზმი, შერეული მმართველობა;
- შვეიცარია - კოლეგიალური მთავრობა, პირდაპირი დემოკრატია<sup>205</sup>;
- ჩეხოსლოვაკია - საკონსტიტუციო სასამართლო;
- გერმანია - კონსტრუქციული უნდობლობის ვოტუმი.

დღევანდელ პოსტსაბჭოთა სივრცის არცერთ ქვეყანაში არ მოქმედებს თავდაპირველი კონსტიტუცია. ისინი ნაწარმოები კონსტიტუციებია.

### ვ) რელიგიური და საერო კონსტიტუციები

კონსტიტუციის თეორიაში გამოყოფენ რელიგიურ (konfessionelle) და საერო (säkulare) კონსტიტუციებს<sup>206</sup>. აღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობათა თავისებურებები, რომლებიც უმრავლეს სახელმწიფოში განსხვავებულია. სეკულარიზმი პირველად მე -19 საუკუნეში საფრანგეთში წარმოიშვა, როგორც კონსტიტუციური პრინციპი (Prinzip des Laizismus) სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის შესახებ. მაგალითად, რუსეთის თანამედროვე კონსტიტუცია აღიარებს, რომ რუსეთის ფედერაცია საერო სახელმწიფოა, ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილია და ყველა რელიგია კანონის წინაშე თანასწორია. რელიგიური კონსტიტუცია აქვს ირლანდიას - „კათოლიკური

<sup>205</sup> Karl Loewenstein, Verfassungslehre, 2000., S. 144-145.

<sup>206</sup> Bernd Wieser, 2005, S. 103.

კონსტიტუცია“, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა დემოკრატია. საბერძნეთში სახელმწიფო რელიგია მართლმადიდებლური ქრისტიანობაა. დანიასა და ნორვეგიაში აღიარებულია ევანგელურ-ლუთერანული რელიგიის უპირატესობა. მაგალითად, ნორვეგიელები ვალდებული არიან ამ რელიგიის წესების დაცვით აღზარდონ თავიანთი შვილები.

ზ) ნორმატიული, ნომინალისტური და სემანტიკური კონსტიტუციები

კონსტიტუცია სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობილების ნორმატიული ფუნდამენტია, რომლის ნორმები განსაზღვრავს პოლიტიკურ პროცესებს (ნორმატიული კონსტიტუცია). უახლოეს ან შორეულ მომავალში კონსტიტუციამ უნდა შეძლოს სრული მოცულობით პოლიტიკური პროცესების დინამიკა (ნომინალისტური კონსტიტუცია). წერილობითი კონსტიტუცია კარგი და ხანგრძლივია მაშინ, როდესაც ის მხოლოდ ფურცელზე (bloße Blatt Papier) არაა და საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეს ასახავს, უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებულ ძალთა რეალურ თანაფარდობას (სემანტიკური კონსტიტუცია)<sup>207</sup>.

თ) „დახურული“ და „ღია“ კონსტიტუციები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი კონსტიტუციების ერთერთი მთავარი ლაიტმოტივი სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობა იყო. ხშირად ეს პრინციპი გამოხატულია პრეამბულაში ან კონსტიტუციის ზოგად დებულებებში. გერმანიის 1949 წლის კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით, გერმანელი ხალხის, როგორც ევროპის თანასწორი პარტნიორი ქვეყნის, სურვილია მშვიდობის დამყარება მთელს მსოფლიოში. კონსტიტუციების უმრავლესობაში ღია და ცალსახადაა გამოხატული სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი (Kooperativer Verfassungsstaat). გარდა ამისა, ეს პრინციპი მოიცავს საერთაშორისო სამართლის პრიმატს ეროვნული სამართლის მიმართ<sup>208</sup>.

<sup>207</sup> Lassalle Ferdinand, Über Verfassungswesen, Rede am 16. April 1862 in Berlin, Hamburg, 1993, S. 40.

<sup>208</sup> Dietrich Schindler, Der Weg vom „geschlossenen“ zum „offenen“ Verfassungsstaat, in: Der Verfassungsstaat vor neuen Herausforderungen, Festschrift für Yvo Hangarter, Hrsg. Bernhard Ehrenzeller/Philippe Mastrorandi/Rene Schaffhauser/Rainer J. Schweizer/Klaus A. Vallender, 1998, S. 1031.

“დახურული” კონსტიტუციის ნიმუშად მიჩნეულია შვეიცარიის 1874 წლის კონსტიტუცია, რომლისთვისაც უცნობი იყო თანამშრომლობის მსგავსი პრინციპები

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, დიმიტრი გეგენავას რედაქციით, 2015
2. Andreas Kley, Verfassungsgeschichte der Neuzeit, Dritte Auflage, Bern, 2013
3. Ada Neschke-Hentschke, Fünf Thesen zu einer Philosophie der Verfassung, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Tagung 12.-13. November 2004, Hrsg. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Stuttgart, 2006
4. Anne Peters, Elemente einer Theorie der Verfassung Europas, Berlin, 2001
5. Alessandro Pace, Starre und flexible Verfassungen, in: Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart, Neue Folge/Band 49, Hrsg. Peter Häberle, Tübingen, 2001, S. 89; 6. Bernd Wieser, Vergleichendes Verfassungsrecht, Wien, 2005
6. Carl Schmitt, Verfassungslehre, 1928
7. Dieter Wyduckel, Verfassung und Konstitutionalisierung, in: Organisation und Verfahren im sozialen Rechtsstaat, Festschrift für Friedrich E. Schanpp zum. 70. Geburtstag, Hrsg. Hermann Butzer/Markus Kaltenborn/Wolfgang Meyer, Berlin, 2008
8. Dieter Grimm, Gesellschaftlicher Konstitutionalismus – Eine Kompensation für den Bedeutungsschwund der Staatsverfassung? In: Staatsrecht und Politik, Festschrift für Roman Herzog zum 75. Geburtstag, Hrsg. Matthias Herdegen/Hans Hugo Klein/Hans-Jürgen Papier/Rupert Scholz, München, 2009
9. Emmanuel Joseph Sieyes, Einleitung der Verfassung (1789), in: Politische Schriften, Hrsg. Eberhard Schmitt, 1978
10. Europäische Verfassungsrecht, Hrsg. Ulrich Hufeld, 3., Auflage, Baden-Baden, 2013; Europäische Verfassungsrecht, Hrsg. Armin von Bogdandy, Berlin – Heidelberg, 2003
11. Ernst-Wolfgang Böckenförde, Die deutsche verfassungsgeschichtliche Forschung im. 19. Jahrhundert, 1961
12. Franz Reimer, Verfassungsprinzipien, Berlin, 2001
13. Gewaltenteilung heute, Symposium aus Anlass der Vollendung des 65. Lebensjahres von Fritz Ossenbühl, Hr. Josef Isensee, Heidelberg, Bd. 112, 2000
14. Gebhardt, Jürgen (Hrsg.), Verfassung und politische Kultur, Baden-Baden, 1999. 7; Wolfgang Buschfort, Geheime Hüter der Verfassung, München, 2004

15. Gunnar Folke Schuppert, Verfassung und Verfassungsstaatlichkeit in multidisziplinärer Perspektive, der Staat des Grundgesetzes – Kontinuität und Wandel, herausg. von Michael Brenner, Peter M. Huber und Markus Möstl, Tübingen, 2004
16. Georg Wilhelm Friedrich Hegel, Über die Reichsverfassung, Hrs. Hans Meier, München, 2002
17. Gerhard Robbers, Die Präambel der Verfassung für Europa – Ein Entwurf, in: Verfassung im Diskurs der Welt, Lieber Amicorum für Peter Häberle zum siebzigsten Geburtstag, Hrsg. Alexander Blankenagel/Ingolf Pernice/Helmuth Schulze-Fieletz, Tübingen, 2004
18. Heinrich Lang, Funktionen der Verfassungs, in: Handbuch des Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Hrsg. Josef Isensee/Paul Kirchhof, Band XII, 2014
19. Hesse Konrad, Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20., Auflage, 1995
20. Hans Kelsen, Allgemeine Staatslehre, Berlin, 1925
21. Horst Dreier, in: Dreier, Grundgesetz, 1, Präambel, Rdnr. 23
22. Herwig Hofmann, Zur Idee des Staatsgrundgesetz, 1986
23. Jellinek, Georg, Allgemeine Staatslehre, Berlin, 1922
24. Jürgen Gebhardt, Die Idee der Verfassung: Symbol und Instrument, in: Verfassungen als Fundament und Instrument der Politik, Hrsg Adolf Kimmel, 1995
25. Josef Isensee, Verfassungsrecht, als “politisches Recht”, in: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Hrsg. Josef isensee/Paul Kirchhof, Band XII, Heidelberg, 2014
26. Karl Loewenstein, Verfassungslehre, 2000
27. Konrad Hesse, Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20., Auflage
28. Kägi Werner, Die Verfassung als rechtliche Grundordnung des Staates, Untersuchungen über die Entwicklungstendenzen im modernen Verfassungsrecht, Zürich, 1956
29. Kirchgässner Gebhard, Ökonomische Theorie der Verfassung, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Tag; 12.-13. November 2004, Hrsg. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Stuttgart, 2006
30. Kley Andreas, Verfassungsgechichte der Neuzeit, Dritte Auflage, Bern, 2013
31. Klaus Poier, Verfassungsrecht und Allgemeine Staatslehre, Prüfungsfälle und Lösungsvorschläge in systematischer Bearbeitung, 4., aktualisierte und erweiterte Auflage, Verlag Österreich, Wien, 2011
32. Komentar zum Grundgesetz, Sechste Auflage, Hrsg. Christian Starck, München, 2010

33. Konrad Hesse, Verfassung und Verfassungsrecht, in: Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 2., Auflage, Hrsg. Ernst benda/Werner Maihofer/Hans-Jochen Vogel, Berlin – New York, 1994
34. Ludwig K. Adamovich/Bernd-Christian Funk/Gerhart Holzinger, Österreichisches Staatsrecht, Band 1, Wien, New York, 1997
35. Lassalle Ferdinand, Über Verfassungswesen, Rede am 16. April 1862 in Berlin, Hamburg, 1993
36. Mattias Jestaedt, Verfassungstheorie, Hrsg. Otto Depenheuer/Christoph Grabenwarter, Tübingen, 2010
37. Mattias Jestaedt, Verfassungstheorie und verfassungsgebung, Hrsg. Arno Scherzberg, Berlin, 2012
38. Marcelo Neves, Verfassung und Positivität des Rechts in der peripheren Moderne, eine theoretische Betrachtung und eine Interpretation des Falls Brasilien, Berlin, 1992
39. Morlok Martin, Soziologie der Verfassung, Tübingen, S. 2014
40. Morlok Michael, Staatsorganisationsrecht, Auflage 2., Baden-Baden, 2015
41. Nora Otto, Die Normative Wirkung von Präambeln im europäischen Primärrecht, Berlin, 2013
42. Niklas Luhmann, Verfassung als evolutionäre Errungenschaft, in: Rechtshistorisches Journal 9, 1990
43. Otto Depenheuer, Funktionen der Verfassung, in: Verfassungstheori, Hrsg. Otto Depenheuer/Cristoph Grabenwarter, Tübingen, 2010
44. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Archiv für Rechts und Sozialphilosophie, Tag: 12.-13. November 2004, Hrsg. Mastronardi/Taubert, Stuttgart, 2006
45. Peter Häberle, Europäische Verfassungslehre, 7., Auflage, Baden-Baden, 2011
46. Peter Häberle, Präambeln im Text und Kontext von Verfassungen, in: Demokratie in Anfechtung und Bewährung, Festschrift für Johannes Broermann, Hrsg. Joseph Listl, Herbert Schambeck, Berlin, 1982
47. Peter Häberle, Gemeineuropäisches Verfassungsrecht, 1997
48. Peter Häberle, Zeit und Verfassung, in: Die Verfassung als öffentlicher Prozess, 1978
49. Reinhart Koselleck, Begriffsgeschichtliche Probleme der Verfassungsgeschichtsschreibung, in: Der Staat, Zeitschrift für Staatslehre öffentliches Recht und Verfassungsgeschichte, Beiheft 6, Gegenstand und Begriffe der Verfassungsgeschichtsschreibung, Hrsg. Ernst-Wolfgang Böckenförde/Rolf Grawert/Fritz Ossenbühl/Helmut Quaritsch/Eberhard Weis/Bernard Willms, Berlin, 1983
50. Rainer Grote, Der Verfassungsorganstreit, Tübingen, 2010

51. Rudolf Smend, Verfassung und Verfassungsrecht, Berlin, 1928
52. Teubner Gunther, Verfassungsfragmente, Berlin, 2012
53. Ulrich Scheuner, Die Funktion der Verfassung für den Bestand der politischen Ordnung, Wilhelm Hennis/Peter Graf Kielmannsegg/Ulrich Matz (Hg.), Regierbarkeit. Studien zu ihrer Problematisierung, Bd. 2, Stuttgart 1979
54. Urs Marti, konstitution als Zustand und als Akt, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Tagung 12.-13. November 2004, Hrsg. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Stuttgart, 2006
55. Uwe Volkmann, Grundzüge einer Verfassungslehre der Bundesrepublik Deutschland, Tübingen, 2013
56. Uwe Volkmann, Grundzüge einer Verfassungslehre der Bundesrepublik Deutschland, Tübingen, 2013
57. Uwe Lehmann-Brauns, Die staatsrechtliche Bedeutung der Präambeln des Grundgesetzes, Berlin, 1964
58. Vorländer Hans, Die Verfassung – Idee und Geschichte, 2 überarbeitete Auflage 2, München, 2004
59. Werner Frotscher, Bodo Pieroth, Verfassungsgeschichte, 12., Auflage, München, 2013
60. Verfassung des Landes Baden-Württemberg, Kommentar, Hrsg. Paul Fauchte, 1987
61. Wilhelm Hennis, Verfassung und Verfassungswirklichkeit, Ein deutsches Problem, Tübinge, 1968
62. Wilhelm Brauner, Was ist die Verfassung, in: Demokratie und sozialer Rechtsstaat in Europa, Festschrift für Theo Öhlinger, Hrsg. Stefan Hammer/Alexander Somek/Manfred Stelzer, Barbara Weichselbaum, Wien, 2004
63. Werner Heum, Verfassung und Verfassungsgerichtsbarkeit im Vergleich, Tübingen, 2014
64. Walter Pauly/Martin Sielinger, der deutsche Verfassungsstaat, in: 50 Jahre Bundesrepublik Deutschland, Rahmenbedingungen – Entwicklungen – Perspektiven, Hrsg. Thomas Ellwein/Everhard Holtman, 1999
65. Walz, Der Begriff der Verfassung, Berlin, 1942
66. Friedrich Koja, Allgemeine Staatslehre, Wien, 1993
67. Ferdinand A. Hermens, Verfassungslehre, Köln, 1968
68. Zalten Erich, Staatslehre und verfassungstheorie im Licht der Soziologie, Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Tagung 12.-13. November 2004, Hrsg. Philippe Mastronardi/Denis Taubert, Stuttgart, 2006
69. Christian Winterhof, Verfassung – Verfassungsgebung – Verfassungsänderung, Tübingen, 2007

70. Christa Wagner, Bonner Grundgesetz und Verfassungsgewohnheitsrecht, München, 1963
71. Peter Saladin, Die Kunst der Verfassungserneuerung, Schriften zur Verfassungsreform (1968-1996), Basel und Frankfurt am Mein, 1998
72. Gerhard Köbler, Von der Geschichte der Verfassung zur Verfassungsgeschichte, in: Festschrift für Wilhelm Brauner zum 65. Geburtstag, Rechtsgeschichte mit internationaler Perspektive, Hrsg. Gerald Kohl/Christian Neschwara/Thomas Simon, Wien, 2008
73. Christoph Gusy, Vergleichende Verfassungsgeschichte als Desiderat und Aufgabe, in: Grundrecht demokratische und Verfassungsgeschichte, Jörg-Detlef Kühne zum 65. Geburtstag, Hrsg. Kay Waechter, 2009
74. Ulrike Müssig, Forschungsaufgaben, Probleme und Methoden einer europäischen Verfassungsgeschichte, in: Verfassungsgeschichte in Europa, Tagung der Vereinigung für Verfassungsgeschichte in Hofgeismar vom 27. Bis 29. März 2006, Für die Vereinigung herausgegeben von Helmut Neuhaus, Berlin, 2010
75. Hasso Hofmann, Verfassungsgeschichte als Phänomenologie des Rechts, München, 2007
76. Peter Häberle, Verfassung als öffentlicher Prozess, Berlin, 1996
77. Bernhard Rhrenzeller, „Im Bestreben, den Bund zu erneuern“, Einige Gedanken über „Gott“ und die „Welt“ in der Präambel des Bundesbeschlusses über eine neue Bundesverfassung“, in: Der Verfassungsstaat vor neuen Herausforderungen, Festschrift für Yvo Hangarter, Hrsg. Bernhard Ehrenzeller/Philippe Mastronardi/Rene Schaffhauser/Rainer J. Schweizer/Klaus A. Vallender, 1998

## რეზიუმე

სტატიაში - „კონსტიტუცია - ცნება, სტრუქტურა, ფუნქციები“ დეტალურად არის განხილული საკონსტიტუციო იდეები, კონსტიტუციის მომიჯნავე მეცნიერებები, კონსტიტუციის სისტემური აგებულება და მისი კლასიფიკაცია. სტატია ინფორმაციული ხასიათისაა, რომელიც საინტერესო იქნება როგორც მოქმედი იურისტებისათვის, ასევე იურიდიული სკოლების სტუდენტებისათვის.

## სამოქალაქო უფლების შესახებ თეორიების ისტორიული მიმოხილვა

თორნიკე კაპანაძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

### 1. შესავალი

ადამიანს, როგორც ცოცხალ და სოციალურ არსებას, მიუხედავად თავისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობებისა, ასაკის ან/და ეკონომიური მდგომარეობისა, სჭირდება გარანტია, იმის უზრუნველყოფა, რომ მისი სოციალური თუ ფიზიკური უმწეობის გამო იგი არ გაითელება, მისი ინტერესები არ შეილახება. ამ ინტერესების დაცვის საშუალებას წარმოადგენს უფლება, როგორც სამართლით მინიჭებული ნების ძალაუფლება ადამიანური ინტერესების დასაკმაყოფილებლად.<sup>209</sup>

კონკრეტული მოვლენის, კატეგორიისა თუ ინსტიტუტის არსის დადგენა შეუძლებელია მისი ისტორიული საფუძვლებისა და განვითარების ეტაპების კვლევის გარეშე. სწორედ ამიტომ, წინამდებარე სტატიაში განხილულია თეორიები და მოძღვრებები სამოქალაქო უფლების შესახებ.

### 2. სამართალი ობიექტური და სუბიექტური გაგებით

იმის გამო, რომ ზოგიერთ ენაში, მაგალითად გერმანულსა და რუსულ ენებში, სამართლისა და უფლების გამოსახატავად იყენებენ ერთსა და იმავე ტერმინს (das Recht, право), ამ ქვეყნების სამართალში გამოიყენება ობიექტური სამართლისა და სუბიექტური სამართლის ცნებები (objektives Recht, subjektives Recht; право в объективном смысле и право субъективном смысле). ქართულ ენაში მათი გადმოტანის აუცილებლობა არ არსებობს,

---

<sup>209</sup> „Lehrbuch des burgerlichen Rechts“, Enneccerus-Nipperdey. Bd. I, §72; Lehmann-Hubner. §10 IV; H.Brox, Rz. 568 – მითითებულია: შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, ჭანტურია ლადო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1997 გვ. 146.



რადგან objektives Recht ქართულად ნიშნავს სამართალს, ხოლო subjektives Recht – უფლებას.<sup>210</sup>

ამგვარ დაყოფას ცნობდნენ ასევე რომაელებიც. ობიექტური გაგებით სამართალი შედგებოდა ნორმებისაგან (მართლწესრიგი). განსაკუთრებით გამოყოფდნენ jus civile (სამოქალაქო სამართალი), jus gentium (სახალხო სამართალი), jus publicum (საჯარო სამართალი), jus naturale (ბუნებითი სამართალი) და ასე შემდეგ. სუბიექტური სამართლის ქვეშ რომაელები მოიაზრებდნენ ცალკეულ პირთა (სუბიექტთა) უფლებამოსილებებს, მოქცეულს ობიექტური სამართლის ჩარჩოებში.<sup>211</sup>

უფრო სიღრმისეული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში საკითხი მდგომარეობს არა ორი ურთიერთსაპირისპირო ან სხვადასხვა ცნების არსებობაში, არამედ ეს უფრო ორი ელემენტია ერთი მთლიანი არსისა. ერთი მხრივ, ობიექტური სამართალი (norma agendi), პოულობს შინაარსს იმდენად, რამდენადაც ის დაკავშირებულია უფლებასთან (სუბიექტურ სამართალთან) - შესაძლებლობებთან და ვალდებულებებთან. მეორე მხრივ კი, სუბიექტური სამართალი (facultas agenda) შეიძლება არსებობდეს განსაზღვრული სუბიექტისათვის იმდენად, რამდენადაც ის მიკუთვნებულია იურიდიული ნორმით (ობიექტური სამართალით).<sup>212</sup> მოცემულ სტატიაში მითითებული თეორიები შეეხება უფლებას, ე.ი. სამართალს სუბიექტური მნიშვნელობით.

### 3. უფლება რომის სამართალში

იურისპრუდენციის აკვანი რომია. მან მოგვცა სამოქალაქო სამართლის, ე.ი. სამოქალაქო უფლებების სისტემა, რომლის საფუძველზეც თეორიული დასკვნები უნდა აგებულიყო, მაგრამ უფლების რაობის შესახებ ასეთი ფილოსოფიური თეორია რომში არ შექმნილა. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, არის ის, რომ რომაული აზროვნება განყენებული იურიდიული პრობლემით დაინტერესებული არ ყოფილა. მეორეც, როცა რომაელები იურიდიულ ურთიერთობებს განიხილავდნენ, მათ არ აინტერესებდათ ურთიერთობის

<sup>210</sup> იხ. „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, ჭანტურია ლადო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 98.

<sup>211</sup> იხ. „Древнеримское и современное гражданское право России“, Яковлев В. Н., Walters Kluwer, 2010, ст. 36.

<sup>212</sup> იხ. „Istituzioni Di Diritto Romano“, Sanfilippo Cesare, Rubbettino 1996, перевод с итальянского на русский, Дожбева Д. В., издательство “Бек”, Москва 2002, ст. 4.

პირველი ელემენტი - უფლება, მათი განსაკუთრებული ინტერესის საგანს მეორე ელემენტი - მოვალეობა წარმოადგენდა.<sup>213</sup>

ანტიკური რომის სამართალი არ იცნობდა უფლების ცნების დეფინიციას. რომის სამართლის კორიფეები კერძო სამართალს აგებდნენ, როგორც სარჩელების სისტემას.<sup>214</sup> აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება ფრანგი იურისტი ვილიე, რომელმაც წარმოადგინა თეზისი, რომ უფლების ცნებას კლასიკური რომის სამართლის სისტემატიკაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა; მისი აზრით, სიტყვა jus-ის (სუბიექტური) უფლებამოსილების მნიშვნელობა, თავისი საზრისიდან გამომდინარე, არამატერიალური სახის სამართლებრივ სიკეთეს, სამართლის ობიექტს ნიშნავდა. პუგლიეზე მიიჩნევა, რომ რომაელები, ფაქტობრივად, იცნობდნენ უფლებას, თუმცა ისინი არასრული სიცხადით მიმართავდნენ თეორიულ ცნებებს.<sup>215</sup> უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე დაუდგენელია სიტყვა jus-ის ზუსტი მნიშვნელობა რომის სამართალში. იგი ხან უფლებასაც ნიშნავს, ხან სამართალსაც.<sup>216</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უფლების ცნება რაიმე დიდ როლს არ ასრულებდა რომაელთა სისტემატიკაში და მისი მნიშვნელობა არ შეიძლება იმას შევადაროთ, რაც ამ ცნებამ თანამედროვე კერძო სამართლის სისტემაში მოიპოვა.

#### 4. ნების თეორია

უფლების ცნების განსაზღვრისა და დადგენის მიზნით სამეცნიერო კვლევის ჩატარება შეუძლებელია ნების თეორიის გარეშე. აღნიშნული თეორია გაბატონებული იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე.

ნების თეორიის მიხედვით, რომლის ფუძემდებელი არის სავინი, უფლება არის წესრიგი ქვეყანაზე არსებული ძალებისა, ხოლო ამ ნებათა გამოვლინების სფერო - ნების ძალა. სავინი მიიჩნევა, რომ სამართლის მიერ რეგულირებული ურთიერთობის (უფლებებისა და მოვალეობების)

<sup>213</sup> იხ. „უფლება“, გოკიელი ფატი, ჟურნალი „სამართალი“, N8-9, გვ. 63, 1992 .

<sup>214</sup> იხ. „კოინგის იურიდიული არქეოლოგია“, ნინიძე თედო, ჟურნალი „სამართალი“, N1, გვ. 231, 2011.

<sup>215</sup> იხ. იქვე, გვ. 234.

<sup>216</sup> იხ. „Istituzioni Di Diritto Romano“, Sanfilippo Cesare, „Rubbettino“ 1996, перевод с итальянского на русский, Дожбева Д. В., издательство “Бек”, ст. 25, 2002 .

სუბიექტად გამოდიან თავისუფალი ნების მატარებელნი და სწორედ თავისუფალი ნება შეადგენს სამართალსუბიექტურობის შინაარსს.<sup>217</sup>

სავინის თანახმად, სამართალი განაპირობებს ინდივიდისათვის განკუთვნილი თავისუფლების ფარგლებს. ეს არის ის სივრცე, სადაც „ბატონობს მისი ნება“ ანუ მისი „სუბიექტური უფლება“. მისი ხელყოფის შემთხვევაში სუბიექტური უფლება განიცდის „მეტამორფოზას“ და გარდაისახება „აქციოში“.<sup>218</sup>

ნების თეორიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო გერმანელი იურისტი ვინდშაიდი. იგი უფლებას (სამართლის სუბიექტური მნიშვნელობით) ახასიათებდა, როგორც სამართლის წყობის (ობიექტური სამართლის) მიერ მინიჭებულ ნების ძალას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნების შინაარსი სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო მოპირდაპირე ნებისათვის.<sup>219</sup>

## 5. ნების თეორიის კრიტიკისათვის

ნების თეორიის გასაკრიტიკებლად ცნობილია ორი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელთაგან პირველი ეკუთვნის იერინგს. იგი ნების თეორიას განიხილავდა პოზიტიური სამართლის ნიადაგზე: თუ სუბიექტური უფლების მიზანი იქნებოდა ნების ძალაუფლება, მაშინ ამ შემთხვევაში არანაირი უფლება არ ექნებოდათ ადამიანებს, რომელთაც არ გააჩნიათ ნება, რამდენადაც უფლებაუნარიანობა და ნებაუნარიანობა დაემთხვეოდა ერთმანეთს. მაგრამ ხშირად უფლებები, მიზანმიმართული შეგრძნებების თვალსაზრისით, გააჩნიათ ნებისყოფის არმქონეთ (მაგ.: იურიდიული პირის ან ბავშვის შემთხვევა).<sup>220</sup> ბელოვიც სწორედ იმ ნაკლზე მიუთითებდა, რომ ნების თეორიას არ შეეძლო აეხსნა იურიდიული პირების

<sup>217</sup> იხ. „Гражданское право, общая часть, лица, блага, факты“, том II, Белов В. А., издательство „Юрайт“, Москва 2013, ст. 29.

<sup>218</sup> იხ. Savigny, system des heutigen romischen Rechts, Band V, 1841, §204, 1 ff., §205, 4 ff - მითითებულია: „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, კერესელიძე დავით, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ. 78.

<sup>219</sup> იხ. Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, Erst B. 1875. S. 91-92 – მითითებულია: „სამართლის ზოგადი თეორია“, ვაჩეიშვილი ალექსანდრე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2010, გვ. 181.

<sup>220</sup> იხ. „Основы Общей Теории Права“, Рождественский А., Москва, 1912, ст. 123.

სამართალსუბიექტობა, რადგან თავისუფალ ნებას ის განიხილავდა, როგორც ინდივიდის მიერ გამოხატულ აქტს.<sup>221</sup>

მეორე არგუმენტი ეკუთვნის ტონის, რომლის მიხედვითაც ხშირად უფლება წარმოდგენილია ყოველგვარი ნების გარეშე, მაგ.: ადრეულ პერიოდში ცოლის მზითვის მესაკუთრე იყო ქმარი მისი სურვილის მიუხედავად.<sup>222</sup>

სავინის ნების თეორიით ასევე არასასურველ სიტუაციაში ჩავარდა წარმომადგენლობის ინსტიტუტიც შემდეგ გარემოებათა გამო: თუ უფლება სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდუალური ნება, რომელიც ობიექტური ნორმის მიხედვით ხორციელდება, როგორ შეიძლება ნორმის გადატანა იმგვარად, რომ წარმომადგენლობის დროს მეორე პირზე უფლების გადაცემა მოხდეს.<sup>223</sup>

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნების თეორია ღიად ტოვებს კითხვას იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება შესაძლებელი სამართლებრივი ურთიერთობის დინამიკა, მაშინ როდესაც სუბიექტებს, კონკრეტული ურთიერთობის მონაწილეებს, არ აქვთ თავისუფალი ნება. არსებობს შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან/და შეწყვეტა ხდება ნების გვერდის ავლით და ზოგჯერ ნების საწინააღმდეგოდაც კი. ამდენად, თუკი შესაძლებელია არსებობდეს სამოქალაქო ურთიერთობები ნებისგან დამოუკიდებლად (მაგალითად: მამკვიდრებლის გარდაცვალება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას), მაშინ ასევე შესაძლებელია არსებობდეს ურთიერთობები, რომელშიც თავისუფალი ნება არ არსებობს.<sup>224</sup>

ამგვარია ის შესწორებები, რომლებიც შეაქვთ ნების თეორიაში. სწორედ ამ შესწორებების გამო დაკარგა მან აქტუალობა იურიდიულ მეცნიერებაში და იქცა უფლების არსისა და მნიშვნელობის დადგენის ისტორიის ნაწილად.

## 6. ინტერესის თეორია

---

<sup>221</sup> იხ. „Гражданское право, общая часть, лица, блага, факты“, том II, Белов В. А., издательство “Юрайт”, Москва 2013, ст. 30.

<sup>222</sup> იხ. „უფლება“, გოკიელი ფატი, ჟურნალი „სამართალი“, №8-9, გვ. 65, 1992.

<sup>223</sup> იხ. იქვე.

<sup>224</sup> იხ. „Гражданское право, общая часть, лица, блага, факты“, том II, Белов В. А., издательство “Юрайт”, Москва 2013, ст. 30.

ინტერესის თეორიის ავტორია იერიინგი. იგი მიიჩნევდა, რომ სუბიექტური უფლების, ანუ კონკრეტული უფლებისთვის ბრძოლა იწყება ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში. ბრძოლას იწყებს ის, ვინც უფლებამოსილია და აქვს ამ უფლების დაცვის ინტერესი, რომლის დარღვევაც მოპასუხის ინტერესში შედის.<sup>225</sup>

ნებისგან განსხვავებით, ინტერესი სოციალური კატეგორიაა, რომელიც ჩვეულებისამებრ განისაზღვრება, როგორც განმსაზღვრელი, მიახლოებითი მიზეზი ცალკეულ პირთა ქცევითი აქტებისა. გააზრებული ინტერესის დაკმაყოფილება არის მიზანი ნებისმიერი მოქმედებისა თუ უმოქმედობისა.<sup>226</sup> ინტერესის თეორია ნების თეორიასთან შედარებით უპირატესია იმიტომ, რომ ის კერძო სამართლის სუბიექტად აღიარებდა ყველას.<sup>227</sup>

იერიინგის განმარტებით, სუბიექტური უფლება მოიცავს სუბსტანციურ და ფორმალურ მომენტებს. სუბსტანციური მომენტი გულისხმობს სუბიექტური უფლების პრაქტიკულ მიზანს (ინტერესს), რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უფლებით, ხოლო ფორმალური მომენტი დასახელებულ მიზანს უკავშირდება, როგორც საშუალება, ანუ სამართლებრივი დაცვა - სარჩელი, რომელიც წარმოადგენს ამ მიზნის განხორციელების საშუალებას.<sup>228</sup>

სუბსტანციური მომენტი გულისხმობს წარმოდგენათა მთელ რიგს: სარგებლობა, სიკეთე, ღირებულება, მოხმარება და ინტერესი - ასეთია ელემენტები, რომლებისგანაც შედგება უფლების შინაარსი. ამ ცნებათა შეფასების კრიტერიუმი არ არის მხოლოდ ეკონომიური. ქონების გარდა არის სხვა უფრო მაღალი ხარისხის სიკეთენი, მაგალითად, პიროვნება, თავისუფლება, ღირსება, ოჯახური კავშირი - სიკეთენი, ურომლისოდ გარეგან სიკეთეს არავითარი ღირებულება არა აქვს. ამდენად, იერიინგი უფლების შინაარსად თვლიდა სარგებლობას რომელიმე სიკეთით.

<sup>225</sup> იხ. „ბრძოლა უფლებისათვის“, იერიინგი რ.ფ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბილისი, 2000, გვ. 42.

<sup>226</sup> იხ. „Гражданское право, общая часть, лица, блага, факты“, том II, Белов В. А., издательство “Юрайт”, Москва 2013, ст. 34.

<sup>227</sup> იხ. „სამართლის ზოგადი თეორია“, ვაჩიშვილი ალექსანდრე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2010, გვ. 73.

<sup>228</sup> იხ. „Geist des romischen Rechts“, Ihering, 1888, III – მითითებულია: „Основы Общей Теории Права“, Рождественский А., Москва, 1912, ст. 122.

სარგებლობა კი დებულობს უფლებრივ ხასიათს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის დაცულია სამართლის მიერ.<sup>229</sup>

რაც შეეხება უფლების ცნების ფორმალურ ელემენტს, როდესაც იერინგი იკვლევდა უფლების ფორმალურ მომენტს, იგი გულისხმობდა კერძო სამართალს. კერძო სამართალში ინტერესის დაცვა, მიიჩნევა იგი, ეკუთვნის თვით უფლებამოსილს. ეს ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო სამართლის სფეროში სუბიექტი, ინტერესის დაცვის მხრივ, დამოუკიდებელია სხვისგან: თვით მის ხელთ არის დაცვის ინიციატივა, რაც გამოიხატება სარჩელში.<sup>230</sup>

## 7. ინტერესის თეორიის კრიტიკისათვის

იერინგის თეორიის ერთერთ უმთავრეს ნაკლად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ ავტორი არ იძლევა ინტერესის ცნების ზუსტ განმარტებას. პირიქით, თითქოს გაართულა კიდეც მისი შინაარსის გაგება. იგი საუბრობს სარგებელზე, მოგებაზე და შემოსავალზე, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფლებით და უწოდებს მათ ინტერესს.<sup>231</sup>

იერინგის მიხედვით, ყოველი ინტერესი, რომელსაც ადამიანი ისახავს მიზნად, არ ექცევა იურიდიული დაცვის ჩარჩოებში. საჭიროა ინტერესების შერჩევა. იერინგს შერჩევის კრიტერიუმად მიაჩნდა მხოლოდ ის ინტერესი, რომელიც მოცემული დროისა და პირობებისათვის, კანონმდებლის მიერ ჩათვლილი იყო დაცვის ღირსად. უფლების იერინგისეული განმარტება გააკრიტიკა კელზენმა. მისი აზრით, იერინგის მიხედვით უფლება ყოფილა არა დაცული ინტერესი, არამედ დაცული ურთიერთდამოკიდებულება ინტერესებისა.<sup>232</sup>

ტონის უმთავრესი შენიშვნა იერინგის თეორიის მიმართ იყო ის, რომ უფლების იერინგისეული ანალიზი არ არის იურიდიული. უფლება არის არა დაცული ინტერესი, არამედ ინტერესის დასაცავი საშუალება, რადგან ინტერესი, მიზანი – იერინგის მიხედვით - სამართლის მიღმაა.<sup>233</sup>

იერინგის თეორიამ იქონია დიდი გავლენა იურიდიულ აზროვნებაზე, მაგრამ მის წინააღმდეგაც იყო გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებები.

---

<sup>229</sup> იხ. „სამართლის ზოგადი თეორია“, ვაჩეიშვილი ალექსანდრე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2010, გვ. 75.

<sup>230</sup> იხ. იქვე.

<sup>231</sup> იხ. „Основы Общей Теории Права“, Рождественский А., Москва, 1912, ст. 125.

<sup>232</sup> იხ. „უფლება“, გოკიელი ფატი, ჟურნალი „სამართალი“, №8-9, გვ. 66, 1992.

<sup>233</sup> იხ. იქვე.

მოწინააღმდეგეები აღნიშნავდნენ, რომ ინტერესი შეიძლება იყოს დაცული და ამავე დროს არ არსებობდეს სუბიექტური უფლება. ეს შემთხვევა გათვალისწინებული ჰქონდა თვით იერიנגსაც, რომელმაც უწოდა მას „სამართლის რეფლექტური მოქმედება“.<sup>234</sup> ყველა ამ მოსაზრების მიუხედავად ინტერესის თეორიამ მოიპოვა თვალსაჩინო ადგილი სამართლის მეცნიერებაში. იგი აღმოჩნდა რეალური და მოქმედი თეორია, რომელზეც აიგო კონცეფციები და სტრუქტურები სამართალში.

## 8. კავშირი ნებისა და ინტერესის თეორიებს შორის

განსხვავება ნებისა და ინტერესის თეორიას შორის, აღნიშნავს მეცნიერი ალ. ვაჩეიშვილი, მდგომარეობს არა იმაში, რომ ერთი ინდივიდუალისტურია, მეორე კი საზოგადოებრივი, არამედ იმაში რომ პირველი იძლევა ფორმალურ ცნებას, ხოლო მეორეს შეაქვს ამ ფორმაში რეალური შინაარსი.

დიუგი მიიჩნევდა, რომ თვალსაზრისი, რომელიც უფლებას იურიდიულად დაცულ ინტერესად მიიჩნევს, აუცილებლად უნდა მოიცავდეს ნებისყოფის ცნებას და ამიტომაც მკვეთრი დაპირისპირება ნებისა და ინტერესის თეორიებისა გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს.<sup>235</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ ინტერესი არის სოციალური, ხოლო ნება - ინდივიდუალური მოვლენა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არც ნება არის სრულიად მოკლებული სოციალურ მნიშვნელობას. ხშირად ნებასაც აქვს სოციალური ხასიათი, მაგალითად, მამინ, როდესაც რომელიმე სოციალური ჯგუფი ან საზოგადოებრივი მოძრაობა შეერთებულია ერთგვარი ინტერესებით და წარმოადგენს განსაზღვრულ მომენტში ნების მთლიანობას.<sup>236</sup>

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებდა კორკუნოვი. ნების თეორია, ამბობდა იგი, აუცილებელი ინდივიდუალისტურია. ადამიანის ინტერესები კი, პირიქით, მცირეოდენადაა დამოკიდებული მისი პირადი

<sup>234</sup> იხ. „სამართლის ზოგადი თეორია“, ვაჩეიშვილი ალექსანდრე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2010, გვ. 182.

<sup>235</sup> იხ. „ხელისუფლება და სამართალი“, სურგულაძე იროდიონ, თბილისი, 2002 გვ. 102.

<sup>236</sup> იხ. „სამართლის ზოგადი თეორია“, ვაჩეიშვილი ალექსანდრე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2010, გვ. 78.

ორგანიზაციისაგან. ინტერესთა უმეტესი ნაწილი შეადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ნაყოფს და ამიტომ, მათ აქვთ სოციალური ხასიათი.<sup>237</sup>

სუბიექტური სამართლის ბუნების საკითხის დამუშავებაში, გარდა ორი მოწინააღმდეგე თეორიისა - ნებისა და ინტერესის თეორიებისა, არსებობს ასევე მესამე მიმართულება, რომელიც ცდილობს მათ შერიგებას და დაახლოვებას, რომელსაც ეწოდება „შერეული თეორიები“.

## 9. შერეული (კომბინირებული) თეორიები

აღნიშნულ მიმართულებაში უფლების შინაარსი არც განსაკუთრებით ნებაა და არც ინტერესი - ის ამ ორი ელემენტის სინთეზია. უფლების მიზანი ინტერესის დაკმაყოფილებაა, საშუალება კი ამ მიზნის დაკმაყოფილებისა - ნება.<sup>238</sup>

შერეული თეორიის ფუძემდებლები არიან ბერნაციკი და ელინეკი. ელინეკი განსაზღვრავს უფლებას, როგორც ნების და ინტერესის შეერთებას. ის რაც ობიექტურად არის სიკეთე, სუბიექტურად არის ინტერესი, მიიჩნევა იგი. აქვე უფლება ითხოვს მეორე მომენტს - ნებასაც. ორივე აუცილებელია შედიან უფლების ცნებაში. ნება არის ფორმალური, ხოლო ინტერესი მატერიალური ელემენტი სუბიექტური სამართლისა.<sup>239</sup>

ადამიანის ყოველივე ნებით აქტს, ამბობდა ელინეკი, უნდა ჰქონდეს განსაზღვრული შინაარსი - არა მარტო გსურს, არამედ გსურს რაიმე, ისევე როგორც არა მარტო ხედავ, არამედ ხედავ რაიმეს.<sup>240</sup> ამასთანავე, უფლება მოითხოვს ნებასაც. მხოლოდ ნება არის საშუალება, რომლითაც როგორც ინდივიდი, ისე იურიდიული წყობა სარგებლობენ მათი მიზნების განხორციელებისათვის.<sup>241</sup> ამიტომ, ელინეკი სუბიექტურ სამართალში

<sup>237</sup> „Общая теория прав“, Коркунов Б. 1909, §6 – მითითებულია: დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

<sup>238</sup> იხ. იქვე გვ. 80.

<sup>239</sup> “право есть власть, направленная на удовлетворение признанного интереса”, Регельсбергер, “Общее учение о праве”, 1897, 32 - მითითებულია: დასახ. ნაშრომი გვ. 79.

<sup>240</sup> იხ. „უფლება“, გოკიელი ფატი, ჟურნალი „სამართალი“, N8-9, გვ. 69, 1992.

<sup>241</sup> იხ. იქვე.



ხედავდა ორ მომენტს: ფორმალურს – ნებას და მატერიალურს – სიკეთეს, ანუ ინტერესს.<sup>242</sup>

გამზაროვი მიიჩნევდა, რომ უფლება უნდა მოიცავდეს მითითებას, არა მარტო უფლების შინაარსზე, არამედ მისი რეალიზაციის ფორმაზე.<sup>243</sup> ამ მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს უფლების შემდეგი განსაზღვრება: ინტერესის დაცვა იმგვარად, რომ უფლებამ უზრუნველყოს დაცვის ინიციატივები დასაცავი სუბიექტისათვის.

დერნბურგი უფლებას განმარტავდა, როგორც ცხოვრებისეული სიკეთეების დაუფლებას, მაგრამ ეს განმარტებაც მიუთითებს უფლების მხოლოდ მიზანზე და გვერდზე ტოვებს მის შინაარსს.<sup>244</sup>

ნების და ინტერესის თეორიების შერიგების ცდას ვხვდებით აგრეთვე მერკელის და რეგელსბერგერის შრომებში. აღნიშნულ თეორიებში ყველაზე უფრო მისაღებია უკანასკნელი, რომელიც აერთებს უფლების ცნებაში, როგორც ერთ მთლიანობაში, ნებას და ინტერესს. ამისდა მიხედვით შესაძლოა სუბიექტური სამართლის შემდეგი განსაზღვრა: სამართალი სუბიექტური მნიშვნელობით, ე.ი. უფლება, არის ობიექტური სამართლის მიერ მინიჭებული ძალა, რომლის საშუალებითაც ინდივიდი ახორციელებს განსაზღვრულ ინტერესებს.<sup>245</sup> ამ ფორმულაში მოცემულია უფლების ძირითადი ელემენტები: ძალა, რომელიც წარმოადგენს ინტერესის განხორციელების საშუალებას; ინტერესი - უფლების მატერიალური მომენტი, მისი შინაარსი.<sup>246</sup>

კონგის აზრით, ცალკეული უფლება ეყრდნობა განსაზღვრულ ადამიანურ ინტერესებს საზოგადოებაში. უფლების ინტერესთან კავშირის მიუხედავად, რეალურად მაინც რჩება თავისუფლების მომენტის გათვალისწინების აუცილებლობა. ცალკეული უფლება იცავს სპეციფიკურ

---

<sup>242</sup> „System der subjective, öffentlich“, Rechte, Iellinek G., 1905, S. 42-45 – მითითებულია: „სამართლის ზოგადი თეორია“, ვაჩეიშვილი ალექსანდრე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2010, გვ. 79.

<sup>243</sup> იხ. „Гражданское право, общая часть, лица, блага, факты“, том II, Белов В. А., издательство “Юрайт”, Москва 2013, ст. 41.

<sup>244</sup> იხ. „Курс Германского право, введение и общая часть“, том I, Еннекцерус Л., издательство иностранной литературы, Москва 1949, ст. 240.

<sup>245</sup> იხ. „სამართლის ზოგადი თეორია“, ვაჩეიშვილი ალექსანდრე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2010, გვ. 183.

<sup>246</sup> იხ. იქვე, გვ. 184.

ცალკეულ ინტერესს, ვინაიდან მართლწესრიგს მთლიანობაში სურს ადამიანური თავისუფლების დაცვა ინტერესთა მიმართულებით.<sup>247</sup>

კორკუნოვის თეორია ასევე აგებულია ინტერესის ცნების საფუძველზე, მაგრამ იერიზის თეორიაში მას შეაქვს მნიშვნელოვანი ცვლილება. იერიზის აზრს, რომ სამართალი არის ინტერესთა დაცვა კორკუნოვი არ თვლიდა დამაკმაყოფილებლად. თუკი მივიღეთ ეს აზრი, ამბობდა იგი, უნდა მივიღოთ ისიც, რომ თუ რომელიმე საზოგადოებაში დაცულია მხოლოდ ერთი ინტერესი და ყველა დანარჩენი ინტერესები მოკლებულია დაცვას, ეს ერთადერთი დაცული ინტერესი მაინც სამოქალაქო უფლება იქნება და, მაშასადამე, მისი სუბიექტის დამოკიდებულება სხვა სუბიექტებთან, რომელთა ინტერესები დაუცველია, იქნება იურიდიული დამოკიდებულება.<sup>248</sup>

## 10. უარყოფელი თეორიები

გარდა უკვე განხილული თეორიებისა, არსებობს ისეთი თეორიებიც, რომლებიც საერთოდ უარყოფენ კერძო უფლებას, როგორც დამოუკიდებელ კატეგორიას და მას მიიჩნევენ მხოლოდ კერძო სამართლის ერთერთ მოდიფიკაციად.<sup>249</sup> ამ მიმდინარეობის ერთერთი ფუძემდებელია კელზენი.

ყველა იმ განმარტების შეცდომა, რომელიც უფლების შესახებ არსებობს, კელზენის აზრით, ისაა, რომ მათ ვერ მიაგნეს პრობლემის მართებულ დასმას. პრობლემის არასწორი დასმა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ფიქრობდნენ, თითქოს სამართალსა და უფლებას შორის დიდი სხვაობა იყო. ამავე დროს უფლება მიაჩნდათ ერთგვარ სუბსტანციად, რასაც იცავს ობიექტური ნორმა, მაშინ, როცა ყოველი სამართალი ფორმალურია, სულერთია იგი ობიექტურია თუ სუბიექტური და შეიცავს იმას, თუ როგორ იცავს და არა იმას, თუ რას იცავს. კელზენის ობიექტივიზმი, მთელი მისი მსჯელობის გასწვრივ, თანდათანობით კლებადობის სახით, ნულამდე დადის, რადგან საბოლოო ჯამში უფლების რაობა ის ყოფილა, რომ უფლების გამოყენება-არგამოყენება, დამოკიდებულია უფლებამოსილი პირის სურვილზე. კელზენი ამ სახით

<sup>247</sup> იხ. „Курс Германского право, введение и обшая часть“, том I, Еннекцерус Л., издательство иностранной литературы, Москва 1949, ст. 240.

<sup>248</sup> „Общая теория прав“, Коркунов Б., 1909, §6 – მითითებულია: „სამართლის ზოგადი თეორია“, ვაჩიშვილი ალექსანდრე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2010, გვ. 78.

<sup>249</sup> იხ. „უფლება“, გოკიელი ფატი, ჟურნალი „სამართალი“, N8-9, გვ. 71, 1992.

იღებდა დისპოზიციის შესაძლებლობას უფლებაში, ე.ი. სუბიექტურ სურვილზე უფლების დამოკიდებულებას ანუ ნამდვილ სუბიექტივიზმს.<sup>250</sup>

კელზენი სუბიექტური სამართლის ძირითად და უმნიშვნელოვანეს ელემენტად მიიჩნევდა მოვალეობას. მოვალეობა მას ესმოდა, არა ნებისყოფის შებოჭვა ნორმის ფარგლებში, არამედ როგორც იურიდიული ნორმის სუბიექტივიზაცია, ე.ი. ნორმის სუბიექტთან შეფარდების შესაძლებლობა. იგი მიიჩნევდა, რომ უშუალოდ უფლება აწესებს მოვალეობას და მხოლოდ შუალობითად მოვალეობის შემწეობით წესდება უფლება მოვალეობის შესრულებაზე. ამიტომ, მოვალეობა არის სუბიექტური სამართლის აუცილებელი გამოვლინების ფორმა, უფლება კი მხოლოდ შესაძლებელი.<sup>251</sup>

სამოქალაქო უფლებას უარყოფდა კონტიც, რომელიც თვლიდა, რომ თითოეულს აქვს ვალდებულება ყველას მიმართ, მაგრამ, არავის გააჩნია უფლება, ანუ არავინ ფლობს სხვა რაიმე უფლებას, გარდა უფლებისა, შეასრულოს თავისი მოვალეობა.<sup>252</sup>

უფლების უარყოფელი თეორიების მიმდევარი იყო დიუგიც. მისი მოძღვრების მიხედვით სამართლის წმინდა ინდივიდუალისტური კონცეფცია ისევე ხელოვნური იყო, როგორც სუბიექტური უფლების მეტაფიზიკური კონცეფცია. ორივე ისტორიის პროდუქტი იყო და იარსება ხანმოკლე დროით. რეალურად, ყოველგვარი უფლება არსობრივად გულისხმობდა ურთიერთობას ორ სუბიექტს შორის. თუ წარმოვიდგენთ იზოლირებულ ადამიანს, განცალკევებულს მისივე მსგავსთაგან, მას არ ექნება უფლებები. ინდივიდი შეიძლება ფლობდეს უფლებებს მხოლოდ საზოგადოებაში. საუბარი უფლებებზე, რომლებიც წინმსწრებია საზოგადოებისა, იგივეა, საუბარი რაიმე არარსებულზე.<sup>253</sup>

დიუგი ამტკიცებდა, რომ სამართლის ნორმა არ წარმოშობს, როგორც ასეთი, არანაირ ურთიერთობას ადამიანებს შორის. ამ ნორმის საფუძველზე, ადამიანი იღებს სურვილის ძალაუფლებას და არა ფლობის ძალაუფლებას. სურვილის ძალაუფლების საპირისპირო მხარეს ემსახურება სურვილის ვალდებულება, სამართლის ნორმის ძალით; თუმცა, სურვილის ვალდებულებასაც არ გააჩნია სუბიექტური ხასიათი. იგი არის ობიექტური

<sup>250</sup> იხ. იქვე გვ. 72.

<sup>251</sup> იხ. „უფლება“, გოკიელი ფატი, ჟურნალი „სამართალი“, N8-9, გვ. 73, 1992.

<sup>252</sup> „Systeme de politique positive“, Comte Aug., Tome 1, 1890, p. 361, მითითებულია: „Общие преобразования гражданского права“, Дюги Л., Москва, 1919, ст. 16.

<sup>253</sup> იხ. „Общие преобразования гражданского права“, Дюги Л., Москва, 1919, ст. 16 .

იურიდიული ვალდებულება. ამრიგად, ქცევის ობიექტური ნორმა, ინდივიდების კუთვნილი ობიექტური ძალაუფლება, ინდივიდებზე დაკისრებული ობიექტური ვალდებულება – ესაა სამართლის მთელი სფერო.<sup>254</sup>

თუ სამართლის ნორმას არ შეუძლია, როგორც ასეთი, შექმნას სუბიექტური უფლება, სამაგიეროდ, მას შეუძლია, გარკვეულ პირობებში, შექმნას სუბიექტური იურიდიული მდგომარეობა. ეს ხდება იურიდიული აქტის მეშვეობით. იურიდიული აქტი წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. ეს იურიდიული შედეგი არის სწორედ ის, რასაც უნდა ეწოდოს „სუბიექტური იურიდიული მდგომარეობა“, რადგან, იგი შექმნილია სუბიექტური ნებით,<sup>255</sup> მაგალითად, საკუთრების იურიდიული მდგომარეობა და ა.შ. დიუგის აზრით, სწორედ სუბიექტური იურიდიული მდგომარეობის ცნებამ უნდა ჩაანაცვლოს სუბიექტური უფლების ცნება, იმდენად, რამდენადაც, იგი უფრო ზუსტია.<sup>256</sup> შესაბამისად, იგი აყალიბებდა შემდეგ განსაზღვრებას: სუბიექტური უფლება ეს არის ძალაუფლება, რომელიც ეკუთვნის ამა თუ იმ ნებას, როგორც ასეთს, დაავალდებულოს ერთი ან რამდენიმე სხვა ნება, როდესაც მას სურს ის, რაც კანონით არ არის აკრძალული.<sup>257</sup>

## 11. დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ უფლების ინსტიტუტი არ არის თავისი არსით ინსტიტუტი, რადგან არ არის ნორმების ერთობლიობა. ეს არის სამართლებრივი კატეგორია, სამართლებრივი ცნება, რომელიც მოქმედებს და მუშაობს არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში, არამედ მთლიანად სამართლის მეცნიერებაში. ეს სამართლებრივი კატეგორია როგორც ასეთი დიდი ხანი მუშავდებოდა იურისპრუდენციაში და უამრავი

---

<sup>254</sup> Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, ст. 147 - მითითებულია: „Основные вопросы теории субъективных публичных прав“, „Теория субъективных публичных прав: Критико-систематическое исследование“, Часть I, Рождественский А., Изд. Печатня А. И. Снегиревой, 1913, ст. 16.

<sup>255</sup> Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, ст. 161 - მითითებულია: „Основные вопросы теории субъективных публичных прав“, „Теория субъективных публичных прав: Критико-систематическое исследование“, Часть I, Рождественский А., Изд. Печатня А. И. Снегиревой, 1913, ст. 17.

<sup>256</sup> იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

<sup>257</sup> იქვე, გვ. 13.

თეორია არსებობს თვითონ ამ მოვლენის არსის ასახსნელად. ასევე, არსებობს თეორიები, რომლებიც საერთოდ უარყოფენ უფლების არსებობას და მიიჩნევენ, რომ რასაც ჩვენ უფლებებს ვეძახით, ეს გარეგნულად ჩანს როგორც უფლება, სინამდვილეში კი ეს არის მოვალეობის ანარეკლი. არსებობს თეორიები, რომლებიც უფრო ღრმად იჭრებიან ამ სფეროში და მიიჩნევენ, რომ უფლება ეს არის იურიდიული რეალობა და აქვს თავისი გარკვეული შინაარსი, ფუნქცია და მხოლოდ მოვალეობებით ვერ იქნება ცხოვრება აღჭურვილი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ როგორც ყველაფერმა, რაც იხვეწება დროსთან ერთად, უფლების ცნებამაც ასეთი განვითარების გზა განვლო და შედარებით სრულყოფილი სახით მისი არსი ჩამოყალიბდა ე.წ. „შერეულ (კომბინირებულ) თეორიებში“. აღნიშნული თეორიები ავითარებენ მოსაზრებას, რომ უფლების სრული შინაარსი მოითხოვს ორ ელემენტს: ნებას და ინტერესს. ნება უფლების რეალური შინაარსია, ხოლო ინტერესი მისი განხორციელების საშუალება. უფლება არის ძალა, საშუალება, რომელიც მინიჭებულია განსაზღვრული ინტერესის დაკმაყოფილებისათვის.

სამოქალაქო უფლების არსთან ასევე ყველაზე ახლოს დგას ი. სურგულაძის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ უფლების ცნება არის კორელაციური ცნება მოვალეობისა. უფლების შინაარსი დევს მოვალეობაში, მოვალეობის ცნებაში და მოვალეობის შინაარსი - უფლების ცნებაში. შესაბამისად, უფლება და მოვალეობა მთლიანობაში ქმნის სამართლებრივ სინთეზს, რომელიც გადმოცემულია ნორმაში. ყველა ნორმაში, სადაც არსებობს უფლება, არსებობს ასევე რაღაც მოვალეობაც და შესაბამისად, საკმარისია მოხდეს ცხოვრებისეულ რეალობაში, იურიდიული ფაქტის მეშვეობით, სამართლებრივი ნორმის გადმოტანა, რომ უფლებები და მოვალეობები გაიშლება ადამიანებს შორის და ერთი მიიღებს უფლებას, ხოლო მეორე - მოვალეობას.

ამდენად, გამოდის, რომ ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ სამართლებრივი პოტენციაში, სადაც უფლებები და მოვალეობები სამართლებრივ ნორმაშია გადმოცემული და სამართლებრივი აღსრულებითობის მდგომარეობაში, სადაც უფლება და მოვალეობა იშლება ჯერ კიდევ როგორც შესაძლებლობა. თუკი უფლება და მოვალეობა იქცევა რეალობად, ის უკვე სამართალი აღარ არის, ის უკვე ცხოვრებაა. სამართალია უფლებაც და მოვალეობაც, ვიდრე ის არის გარკვეული იურიდიული

პოტენცია, მოთხოვნა, შესაძლებლობა მოთხოვნისა, ანუ ჯერარსი. როდესაც იგი უკვე იქცევა არსებულად, ის უკვე არის ცხოვრებისეული რეალობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, ჭანტურია ლადო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011
2. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, ჭანტურია ლადო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1997
3. „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, კერესელიძე დავით, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009
4. „ხელისუფლება და სამართალი“, სურგულაძე იროდიონ, თბილისი, 2002
5. „კონგის იურიდიული არქეოლოგია, ნინიძე თედო, ჟურნალი „სამართალი“, N1, 2011
6. „სამართლის ზოგადი თეორია“, ვაჩეიშვილი ალექსანდრე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2010
7. „ბრძოლა უფლებისათვის“, იერინგი რ.ფ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბილისი, 2000
8. „უფლება“, გოკიელი ფატი, ჟურნალი „სამართალი“, N8-9, 1992
9. „Гражданское право, общая часть, лица, блага, факты“, том II, Белов В. А., издательство “Юрайт”, Москва 2013
10. „Istituzioni Di Diritto Romano“, Sanfilippo Cesare, „Rubbettino“ 1996, перевод с итальянского на русский, Дожбева Д. В., издательство “Бек”, 2002
11. „Древнеримское и современное гражданское право России“, Яковлев В. Н., Walters Kluwer, 2010
12. „Курс Германского право, введение и общая часть“, том I, Еннекцерус Л., издательство иностранной литературы, Москва 1949
13. „Основные вопросы теории субъективных публичных прав“, „Теория субъективных публичных прав: Критико-систематическое исследование“, Часть I, Рождественский А., Изд. Печатня А. И. Снегиревой, 1913
14. „Общие преобразования гражданского права“, Дюги Л., Москва, 1919
15. „Основы Общей Теории Права“, Рождественский А., Москва, 1912

### რეზიუმე

უამრავი თეორია არსებობს უფლების არსის ასახსნელად. არსებობს ასევე თეორიები, რომლებიც საერთოდ უარყოფენ უფლების არსებობას. მოცემულ სტატიაში, განხილულია ძირითადი თეორიები, მათი ავტორების შეხედულებები და იქვე განხილულია იმ მეცნიერთა მოსაზრებებიც, რომლებმაც გააკრიტიკეს ან განავითარეს აღნიშნული თეორიები, დადგენილია ასევე კავშირები კონკრეტულ თეორიებს შორის და წარმოჩენილია განვითარების ის გზები, რაც ამ თეორიებმა განვლეს. აღნიშნული თეორიების განხილვა საშუალებას მოგვცემს შევიქმნათ ზოგადი წარმოდგენა სამოქალაქო უფლების არსზე, მისი წარმოშობისა და განვითარების ეტაპებზე სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში.

## უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის

ნათია სონგულია  
საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

### 1. შესავალი

ფულის გათეთრება თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გლობალური პრობლემაა. „ჭუჭყიანი“ ფულის გათეთრება წარმოიშვა მე-20 საუკუნის პირველ მესამედში, ორგანიზებული დამნაშავეობის მიერ აშშ-ის ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ნიადაგზე.<sup>258</sup> ფულის გათეთრება ისეთ დანაშაულს განეკუთვნება, რომელიც მსხვერპლთან არ არის ასოცირებული და პიროვნების ფსიქიკაშიც შესაძლოა მძიმე დანაშაულის კვალს არ ტოვებდეს.<sup>259</sup> უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის პროცესი, რის შედეგადაც უკანონო შემოსავალი გარდაიქმნება „კანონიერ“ ფულად, რომელიც თითქოს კანონიერი გზით არის მიღებული, ისე, რომ უკანონო წყაროს დადგენა ფაქტიურად შეუძლებელია. აღნიშნული დანაშაული თავისი ხასიათითა და მასშტაბებით მომეტებული საშიშროების შემცველია.<sup>260</sup>

ნაშრომში განხილული იქნება ფულის გათეთრების, როგორც საკანონმდებლო, ისე კრიმინოლოგიური განმარტება, ფულის გათეთრების სამსაფეხუროვანი მოდელი და ასევე ის ფორმები და საშუალებები, რითაც ორგანიზებული ჯგუფები ახდენენ შავი ფულის გათეთრებას.

### 2. „ფულის გათეთრების“ ცნება

<sup>258</sup> Money Laundering and Terrorist Financing: Definitions and Explanations, გვ. 33.

<sup>259</sup> ესაძე ლ, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა: საერთაშორისო და რეგიონალური პერსპექტივები, 2004 გვ. 116.

<sup>260</sup> Rueda A, international money laundering law enforcement & the usa patriot act of 2001, გვ.17.



ცნება “ფულის გათეთრება” ზოგადია და მოიცავს, ქონების, როგორც მიმოქცევის, ასევე მისი ფულად გადაქცევის, „გარეცხვის” პროცესს.<sup>261</sup> ამ მოვლენას დასაბამი ჩაეყარა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ამერიკაში, როდესაც ჩიკაგოს დანაშაულებრივი დაჯგუფებები უკანონო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს ლეგალიზაციის მიზნით სპეციალურად გახსნილ სამრეცხაოებში აბანდებდნენ.<sup>262</sup>

### 3. ფულის გათეთრების სისხლისსამართლებრივი განმარტება

საქართველოში ფულის გათეთრების სისხლისსამართლებრივი ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 -ე მუხლში, ასევე კანონში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ”. დასახელებულ ნორმატიულ აქტებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განიმარტება, როგორც - უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შემენა, გამოყენება, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ან/და ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა.<sup>263</sup>

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ანუ ფულის გათეთრება კანონის თავდაპირველი რედაქციით გულისხმობდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას, რაც ერთგვარ პრობლემას ქმნიდა პრაქტიკაში, რადგან ქმედება დანაშაულად ითვლებოდა, მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისას, ამდენად, იმისათვის, რომ დამდგარიყო საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით პირის პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელი იყო, სახეზე ყოფილიყო, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დადგენილი იქნებოდა პირის მიერ დანაშაულის ჩადენისა და ამ დანაშაულის შედეგად ქონების

<sup>261</sup> Herzog, F./M.lhausen D, Geladwäschekämpfung und Gewinnaböschpfung, München, 2008. გვ. 2.

<sup>262</sup> ესაძე ლ, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა: საერთაშორისო და რეგიონალური პერსპექტივები, 2004 გვ.117; Suendorf U, Eine kriminologische Untersuchung, Neuwied, 2001, გვ. 44.

<sup>263</sup> მამულაშვილი გ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის ფორმა და თანამედროვეობის გლობალური პრობლემა, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, ტურავა მ(რედ.). სტატიათა კრებული, მერიდიანი, 2013, გვ. 176.

მოპოვების ფაქტი, რაც ცხადია, დიდ დროს მოითხოვდა და ხშირ შემთხვევაში დანაშაული დაუსჯელი რჩებოდა. ყოველივე ამან განაპირობა ცვლილების შეტანა კანონმდებლობაში. თანამედროვე რედაქციით აუცილებელია არა ის, რომ ქონება იყოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, არამედ უკანონო და დაუსაბუთებელი.<sup>264</sup> მცირე შესწორებამ დიდი შედეგი გამოიღო, ბრალდების მხარეს გაცილებით უადვილდება სასამართლოში ამტკიცოს საკითხი, რომ ქონება არის უკანონო და დაუსაბუთებელი და შესაბამისად, მოახდინოს ამ ქონების ჩამორთმევა და აღადგინოს სამართლიანობა, თუმცა მეორე საკითხია, რამდენად შეესაბამება მოცემული ნოვაცია საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის საყოველთაო უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაციას. კერძოდ, ამ ორ ფუნდამენტურ დოკუმენტში იმპერატიულად არის დადგენილი, რომ ბრალდებულის მოვალეობა არ არის ამტკიცოს მისი უდანაშაულობა, ეს ვალდებულება აკისრია ბრალმდებელს.<sup>265</sup> თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონმდებელმა დაუსაბუთებელ ქონებად მიიჩნია ისეთი ქონება, რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი პირს არ გააჩნია, გამოდის, რომ კანონმდებელმა მტკიცების ტვირთი გადაიტანა ბრალდებულის მხარეს, ანუ იგი არის ვალდებული, რომ ამტკიცოს საკითხი, რომ მისი ქონება არ არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ხოლო ბრალმდებელს ამგვარი ვალდებულება ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე აღარ გააჩნია, რაც სხვა არაფერია, თუ არა უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა.

#### 4. ფულის გათეთრების კრიმინოლოგიური განმარტება

კრიმინოლოგიური თვალთახედვით ფულის გათეთრების მიზანია უკანონო წარმომავლობიდან მიღებული შემოსავლის (მოგების) კვალის ისე “შელამაზება”, “შენიღბვა”, რომ მოხდეს უკანონოდ მიღებული ქონების (ფულის), როგორც კანონიერის, ქვეყნის საფინანსო და ეკონომიურ მიმოქცევაში ჩართვა.<sup>266</sup>

ამერიკელი სპეციალისტი კლიფფორდ ლ.კარჩერი განმარტავს, რომ “ფულის გათეთრება - ეს არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება იმ პროცესის

<sup>264</sup> კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (რედ.). გ.ლონტი, თბილისი, 2011, გვ. 124.

<sup>265</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, თბილისი, მუხლი 40.

<sup>266</sup> შალიკაშვილი მ. კრიმინოლოგია, მერიდიანი, 2010 გვ. 148.

აღწერისათვის, რომლის დროს იმალება ნაღდი ფულადი სახსრების კონვერტირება სხვა სახის საგადასახადო საშუალებებში და რომლის მიზანია ამ სახსრების წარმოშობის დამახინჯების გზით არალეგალურიდან მისი ლეგალურში გადაყვანა”.<sup>267</sup> ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ 1985 წელს შეიმუშავა ფულის გათეთრების კრიმინოლოგიური განმარტება, რომლის მიხედვით, “ფულის გათეთრება წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც ხორციელდება წყაროს „შენიღვა”, იძულებით კანონიერი სახის მიცემა დანაშაულების მიერ, რათა არ გამოაშკარავდეს მათი ქმედება.”<sup>268</sup>

## 5. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების სამსაფეხუროვანი პროცესი

მსოფლიოში გამოყოფენ ფულის გათეთრების სხვადასხვა სტადიებს, რომელთაგან ყველაზე პოპულარულია ე.წ. სამ-ფაზიანი მოდელი.<sup>269</sup>

### 5.1 განთავსების სტადია

განთავსება არის ფულის გათეთრების პირველი სტადია. ამ ეტაპზე ხორციელდება ნაღდი ფულადი სახსრების ფიზიკური განთავსება მობილურ ფინანსურ ინსტრუმენტებში და მათი ტერიტორიული მოცილება წარმომავლობის ადგილიდან.<sup>270</sup> განთავსების ცნობილი მეთოდები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: განთავსება - ტრადიციულ საფინანსო უწყებებში; არატრადიციულ საფინანსო უწყებებში; არასაფინანსო სექტორის მეშვეობით; ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანის გზით.<sup>271</sup>

### 5.2 განაწილება

ფულის გათეთრების მეორე სტადიას წარმოადგენს განაწილება. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც უკანონო ქმედებით მოპოვებული თანხა ე.ი. „ჭუჭყიანი ფული“ იძენს კანონიერ სახეს, ანუ იმალება მისი წარმომავლობა.

<sup>267</sup> კოლუა ი. ფულის გათეთრების ცნება, სოციალური საშიშროება - ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, 2006, გვ. 31.

<sup>268</sup> Suendorf U, Eine kriminologische Untersuchung, Neuwied, 2001, გვ. 20.

<sup>269</sup> ავტორთა კოლექტივი, ქ.თბილისი 2006, ნაჭყებია, გ. (და სხვ.) 2006, გვ. 367.

<sup>270</sup> კოლუა ი, ფულის გათეთრების ცნება, სოციალური საშიშროება - ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, 2006, გვ.17;.

<sup>271</sup> იქვე: გვ. 124.

მისი მიზანია თანხების წარმოშობის დაფარვა.<sup>272</sup> იგი ბუნებით გლობალური და ინტერნაციონალურია. მეორე სტადიაზე ხორციელდება, მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციები (გადარიცხვები), რომლის მიზანია არა მოგების მიღება, არამედ ფულის წარმომავლობის კვალის წაშლა და მეპატრონის საიდენტიფიკაციო მონაცემების დაფარვა.<sup>273</sup> განაწილების სტადიის ყველაზე ცნობილი მეთოდებია: ნაღდი ფულის ფულად ინსტრუმენტებში (ჩეკები, ობლიგაციები, აქციები) გადაყვანა ფულის სხვა ფორმების ანგარიშზე ჩარიცხვა, ფულის ელექტრონული საშუალებებით გადარიცხვა, რომელიც ბოროტმოქმედებს ანიჭებს სისწრაფის მაღალ ხარისხს, ანონიმურობას და ტოვებს მინიმალურ კვალს.<sup>274</sup>

### 5.3 ინტეგრირება

ფულის გათეთრების უკანასკნელ სტადიას უწოდებენ ინტეგრირებას. ამ სტადიაზე ხორციელდება მეორე საფეხურის ოპერაციების მეშვეობით “გათეთრებული” ფულის ან/და ქონების ქვეყნის ლეგალურ ფინანსურ სისტემაში ინტეგრირება.<sup>275</sup> მისი მიზანია, ორგანიზებულმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღოს საწარმოების საქმიანობებში, მათი აქციების შეძენის კუთხით. ინტეგრირების შემდეგ უკანონო შემოსავლის დადგენა შესაძლებელია, მხოლოდ ფარული აგენტურული და ოპერაციული საქმიანობის გზით.<sup>276</sup>

## 6. ფულის გათეთრების გამოვლენის ფორმები

არსებობს ფულის გათეთრების სხვადასხვა ფორმა, რომელთა სრულყოფილი და ამომწურავი აღწერა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დღითიდღე იხვეწება ამ დანაშაულის განხორციელების ფორმები. თუმცა, მაინც შესაძლებელია

---

<sup>272</sup> Arnone M, Borlini L, International anti-money laundering programs: Empirical assessment and issues in criminal regulation – Journal of Money Laundering Control, 2010, გვ.3.

<sup>273</sup> შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, მერიდიანი, 2010 გვ. 152.

<sup>274</sup> Money Laundering and Terrorist Financing: Definitions and Explanations, გვ. 15.

<sup>275</sup> Methods and Techniques of money laundering-2009, American Criminal Law Review, გვ.11.

<sup>276</sup> Suendorf U, Eine kriminologische Untersuchung, Neuwied, 2001, გვ.150.

გამოიყოს რამდენიმე ფორმა, რომელთა მეშვეობით ხდება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული „შავი“ ფულის გათეთრება.

### **6.1 ფულისა და ფასეულობათა გადაგზავნა არაკომერციულ ორგანიზაციათა სისტემის გამოყენებით**

როგორც ცნობილია, არაკომერციული და საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობა მოიცავს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: განათლებას, სპორტს, კულტურას, ხელოვნებას და ა.შ. ასეთი არაკომერციული ორგანიზაციის სახელზე საქველმოქმედო საქმიანობისათვის ჩარიცხული თანხები შეიძლება მოხვდეს დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელში ისე, რომ სპონსორებმა არაფერი იცოდნენ ამის შესახებ.<sup>277</sup>

### **6.2 ნაღდი ფულის გადარიცხვები**

ფულის გათეთრების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის გადარიცხვა საბანკო სექტორის გამოყენებით. დამნაშავე პირი, რომლის ხელშიც აღმოჩნდება თანხა სხვადასხვა დანაშაულის (ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, პროსტიტუცია) ჩადენის შედეგად, ცდილობს ამ ფულის ლეგალიზაციას და ამისთვის მიმართავს საბანკო გადარიცხვებს, სხვადასხვა ქვეყანაში, ან შესაძლებელია გადარიცხვები განხორციელდეს თავად ქვეყნის შიგნითაც სხვადასხვა საბანკო სისტემების მეშვეობით.<sup>278</sup> მრავალჯერადი გადარიცხვების შედეგად იგივე თანხა შესაძლებელია ისევ უკან, მისი მოპოვების ადგილას დაბრუნდეს უკვე გათეთრებულ, ლეგალურ ფორმაში, რის შემდგომ ხდება მისი ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში.<sup>279</sup>

### **6.3 “მოჩვენებითი” ფირმები და ანგარიშები**

მოჩვენებითი ფირმა არის ისეთი სამეწარმეო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და გააჩნია სამართლებრივი სტატუსი. მმართველობის უმაღლესი ორგანოებისა და სამართალდამცავი ორგანოების თვალის ასახვევად ახორციელებს

<sup>277</sup> Financial Action Task Force on Money laundering The Forty Recommendation, გვ. 4.

<sup>278</sup> Money laundering: methods and markets, გვ. 11.

<sup>279</sup> შალიკაშვილი მ. კრიმინოლოგია, მერიდიანი, 2010, გვ. 156.

სამეწარმეო საქმიანობას.<sup>280</sup> ასეთი სიმბოლური ფირმები წესდებით განსაზღვრულ ეკონომიურ საქმიანობას საერთოდ არ მისდევენ, მათი საქმიანობა და შემოსავალი კი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან.<sup>281</sup> ამ დროს ხორციელდება ფულის ასიმილირება და ფაქტიურად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.<sup>282</sup> მოჩვენებით ანგარიშების შემთხვევაში ხდება სიმბოლური ხელშეკრულების გაფორმება, გარკვეული საქონლის მიწოდებაზე, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებსა და რომელიმე ისეთ ორგანიზაციას შორის, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სიძნელები, გარკვეული დროის შემდეგ კი უკან პროცენტებით უბრუნებს ამ თანხას.<sup>283</sup>

#### 6.4 სამორინე და სხვა სათამაშო დარბაზები

ფულის გათეთრების ერთ-ერთ ყველაზე ხელომისაწვდომ საშუალებას დამნაშავეთა სამყაროსათვის წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი, რომელთა შორის პირველ რიგში დგანან სამორინეები.<sup>284</sup> დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები კაზინოებში ნაღდი ფულით ახდენენ ე.წ. სათამაშო შეტონების შექმნას, შემდგომ ან თამაშობენ ან თამაშის გარეშე გარკვეული პერიოდის შემდეგ ახდენენ ამ შეტონების განაღდებას და სანაცვლოდ იღებენ კაზინოს მიერ თანხის გაცემის დამადასტურებელ ჩეკებს, ფაქტიურად ხდება საკუთარი ფულის განაღდება, თუმცა აქ განსხვავება იმაშია, რომ აღნიშნული თანხის წარმომავლობის გარკვევისას სამართლდამცავი ორგანოებისათვის მეტად გართულებულია იმის დადგენა რეალურად დამნაშავე პირებმა ითამაშეს თუ არა და რეალურად მოიგეს თუ არ ის თანხა, რაც კაზინოებში გაანაღდეს.

#### 6.5 ადვოკატების, ნოტარიუსების და სხვა სამართლის ექსპერტების საქმიანობა

<sup>280</sup> შალიკაშვილი მ, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, 2009, გვ.116.

<sup>281</sup> McGuinn M, Money laundering — 2006, American Criminal Law Review, გვ.19.

<sup>282</sup> Siska J, Geldwäsche und ihre Bekämpfung in Österreich, Deutschland, der Schweiz. Linde, GmbH, გვ.15.

<sup>283</sup> Butkevich S, Combat Against Legalization of the Income Generated as a Result of Criminal Activities 2010, გვ.4.

<sup>284</sup> Woda k, Money laundering techniques with electronic payment systems, Viadrina University, 2006, გვ. 10.

ფულის გათეთრების და ფინანსური მაქინაციების დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადვოკატები, ნოტარიუსები და სხვა სამართლის და ეკონომიკის ექსპერტები - “დარაჯები”. აღნიშნული პირები ფაქტიურად ლეგალიზებას უკეთებენ დამნაშავე პირთა საქმიანობას.<sup>285</sup>

მათ მიერ ხდება ფიქტიური ხელშეკრულებებისა თუ სხვადასხვა ფირმების დაფუძნება. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს იმის დამტკიცება, რა მიზნით მოქმედებენ და კავშირში არიან თუ არა ისინი დამნაშავე პირებთან.

## **7. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულება**

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას ახორციელებენ საქართველოს მთავარი პროკურატურა, ფინანსთა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტში, დამოუკიდებელი სამმართველო - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამმართველო. ისმის კითხვა: რას უნდა მიაქციონ ყურადღება სამართალდამცემა ორგანოებმა ამ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად? მოცემულ შემთხვევაში, ვფიქრობ, აუცილებელია ყურადღება მიექცეს: ფინანსურ ანგარიშგებებში აშკარა სხვაობის არსებობას ანალოგიური პროფილის სხვა ფირმების შესაბამისი დოკუმენტების მონაცემებთან; გადარიცხვების თანხების შეუსაბამობას კლიენტის საქმიანობის ხასიათთან, ან შეთავაზებული მომსახურების სახეობის სპეციფიკასთან, და ფულის პირველადი წყაროს დაფარვის მცდელობას რთული მრავალმხრივი ოპერაციების წარმოების გზით. მიზანშეწონილად მიმაჩნია სპეციალური ჯგუფის შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევას, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში. ჯგუფი შესაძლოა შეიქმნას მთავარ პროკურატურასთან და მასში უნდა გაერთიანდნენ იმ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც

<sup>285</sup> შალიკაშვილი მ, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, 2009, გვ.117.

ახორციელებენ საფინანსო - ეკონომიკურ კონტროლსა და სამართალდამცავ საქმიანობას განხილულ სფეროში.

## 8. Financial Action Task Force on Money Laundering - FATF - ის ჯგუფი

ფულის გათეთრების აღკვეთის სფეროში მოქმედ სპეციალურ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს – Financial Action Task Force on Money Laundering („FATF“), რომელიც შეიქმნა 1989 წელს საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის ინიციატივით და მის ძირითად მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგების შეფასება ფულის გათეთრებაში, ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობის პრევენციის მიზნით<sup>286</sup>. FATF - ის რეკომენდაციები განსაზღვრავს საბანკო გარიგებების ნამდვილი ბენეფიციარების იდენტიფიკაციას, აღრიცხვიანობის წარმოებას, რომლებიც საშუალებას აძლევენ სამართალდამცველებს მიყვინ გარიგებების კვალს, ასევე იმ პირთა სამართალბრივ დაცვას, რომლებიც მიაწვდიან საექვო ოპერაციების შესახებ ინფორმაციას.<sup>287</sup> რეკომენდაციების თანახმად, საფინანსო სისტემა უნდა იყოს უფრო გამჭვირვალე, რათა გამოაშკარავებულ იქნას უნაღდო ანგარიშსწორებით განხორციელებული გარიგებები.<sup>288</sup> 2004 წლის 22 ოქტომბერს FATF -ის ჯგუფის მიერ გამოცემულ იქნა სპეციალური რეკომენდაცია IX (ფულის კურიერები). მოცემული რეკომენდაციის მიხედვით, ქვეყანაში უნდა არსებობდეს ზომები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება ვალუტის და სხვა ფულადი-საკრედიტო საბრუნავი დოკუმენტების საზღვარზე გადატანის ფაქტების გამოვლენა.<sup>289</sup> აღნიშნულ ზომებში შედის ნებისმიერი საექვო ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება. ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შემუშავებულ იქნას ეფექტური, პროპორციული და აღმკვეთი სანქციები ყალბი/ფიქტიური დეკლარაციის შემადგენელთა წინააღმდეგ. აგრეთვე, ქვეყნის შესაბამის უწყებებს ჰქონდეთ ტერორიზმის დაფინანსებაში ან ფულის გათეთრებაში ექვმიტანილი, ასევე ფიქტიურად დეკლარირებული ან რეგისტრირებული ვალუტის და სხვა ფულად-საკრედიტო საბრუნავი

<sup>286</sup> Financial Action Task Force – Interpretative Notes, გვ. 7.

<sup>287</sup> FATF Report, Money Laundering vulnerabilities of Free Trade Zones, 2010, გვ.23.

<sup>288</sup> FATF Report, Money Laundering Using new payment methods, 2010, გვ.149.

<sup>289</sup> FATF Recommendations, International standards on combating money laundering and the financing of terrorism and proliferation, 2012, გვ. 13.



დოკუმენტების შეჩერების დაკავების კანონით მინიჭებული უფლებამოსილება.

### 9. სასამართლო პრაქტიკა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეზე

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამო პირის მსჯავრდება სასამართლო პრაქტიკაში არც თუ ისე ხშირია, უფრო მეტიც, ამ მუხლის სპეციფიკურობიდან და სირთულიდან გამომდინარე, თავად საგამოძიებო ორგანოებსაც კი უჭირთ, თუნდაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ბრალის წარსადგენად მტკიცებულებათა შეგროვება. საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით გამოძიება დაწყებულია ორმოცდაათზე მეტ საქმეზე, თუმცა 2005-2010 წლებში პირის ბრალდებულად ცნობა მოხდა დაახლოებით 22 სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან უმეტესობა დასრულდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებით. არსებითი განხილვის შედეგად, ზემოაღნიშნული კვალიფიკაციით გამოტანილ განაჩენებს შორის, ჩვენს ყურადღებას იპყრობს 2006 წლის 18 აპრილის განაჩენი, რომელიც გამოტანილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.<sup>290</sup> კერძოდ, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნით, მოახერხა უცხოეთიდან გადმორიცხული თანხების მობილიზება კონკრეტულ ანგარიშებზე, რის შემდეგაც, თითქოსდა საბანკო სესხის გასაცემად ადგენდა ყალბ დოკუმენტაციას. სინამდვილეში კი ეს თანხები სესხის სახით არ გაიცემოდა, არამედ, მიემართებოდა სრულიად გაურკვეველ, ძირითად ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული სუბიექტების ანგარიშზე და გარკვეული უკანონო ოპერაციების შემდგომ, თავს იყრიდა თანხის თავდაპირველად გადამრიცხავი სუბიექტის ანგარიშზე “გარეცხილი” სახით. ფულის გათეთრების მიზნით, მსჯავრდებული ახორციელებდა ვალუტის კონვერტაციის ოპერაციებსაც. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს 194-ე მუხლით არასწორ კვალიფიკაციას. ზოგჯერ უკანონოდ მოპოვებული ქონების არსებობა საერთოდ არ დასტურდება, ამ მუხლით კვასლიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ მოძიებული ან დადგენილი იქნეს უკანონოდ მოპოვებული ფულადი თანხა ან სხვა სახის ქონება. თუ არ დგინდება

<sup>290</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 18 აპრილის N1/2402 განაჩენი.

უკანონო შემოსავლის მიღების ფაქტი, მის ლეგალიზაციაზე საუბარი ზედმეტია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, თბილისი, მუხლი 40
2. ესაძე ლ, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა: საერთაშორისო და რეგიონალური პერსპექტივები, 2004
3. მამულაშვილი გ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის ფორმა და თანამედროვეობის გლობალური პრობლემა, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, ტურავა მ(რედ.). სტატიათა კრებული, მერიდიანი, 2013
4. კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (რედ.). გ.ღლონტი, თბილისი, 2011
5. შალიკაშვილი მ. კრიმინოლოგია, მერიდიანი, 2010
6. შალიკაშვილი მ, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, 2009
7. კოლუა ი. ფულის გათეთრების ცნება, სოციალური საშიშროება - ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, 2006
8. ავტორთა კოლექტივი, ქ.თბილისი 2006, ნაჭყებია, გ. (და სხვ.) 2006
9. Money Laundering and Terrorist Financing: Definitions and Explanations
10. Rueda A, international money laundering law enforcement & the usa patriot act of 2001
11. Herzog, F./M.lhausen D, Geldwäschebekämpfung und Gewinnaböschpfung, München, 2008
12. Suendorf U, Eine kriminologische Untersuchung, Neuwied, 2001
13. Arnone M, Borlini L, International anti-money laundering programs: Empirical assessment and issues in criminal regulation – Journal of Money Laundering Control, 2010
14. Methods and Techniques of money laundering-2009, American Criminal Law Review
15. Financial Action Task Force on Money laundering The Forty Recommendation
16. Money laundering: methods and markets
17. Mcguinn M, Money laundering – 2006, American Criminal Law Review

18. Siska J, Geldwäsche und ihre Bekämpfung in Österreich, Deutschland, der Schweiz. Linde, GmbH
19. Butkevich S, Combat Against Legalization of the Income Generated as a Result of Criminal Activities 2010
20. Woda k, Money laundering techniques with electronic payment systems, Viadrina University, 2006
21. Financial Action Task Force – Interpretative Notes
22. FATF Report, Money Laundering vulnerabilities of Free Trade Zones, 2010
23. FATF Recommendations, International standards on combating money laundering and the financing of terrorism and proliferation, 2012
24. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 18 აპრილის N1/2402 განაჩენი

### რეზიუმე

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის პროცესი, რის შედეგადაც უკანონო შემოსავალი გარდაიქმნება „კანონიერ“ ფულად. ისე, რომ უკანონო წყაროს დადგენა ხდება ფაქტიურად შეუძლებელი. დანაშაული საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკისა და ეროვნულ უშიშროებას. ხელს უწყობს სახელმწიფო შემოსავლის დაკარგვას, კორუფციას კერძო სექტორში და აზიანებს კანონიერ ბიზნესს. ვინაიდან, ძალზედ რთულია ფულის გათეთრების დანაშაულებრივი ნიშნების აღმოჩენა, აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოები კარგად ერკვეოდნენ ამ დანაშაულის არამხოლოდ სისხლისსამართლებრივ, არამედ, კრიმინოლოგიურ ასპექტებში. კარგად უნდა შეისწავლონ ფულად საკრედიტო სისტემა, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფის სტრუქტურა და ა.შ. ყურადღება უნდა გამახვილდეს ნოტარიუსებისა და ადვოკატების საქმიანობაზე. ნოტარიუსმა ყალბი დოკუმენტების გამოყენებით არ უნდა გააფორმოს სანოტარო აქტი. ადვოკატი არ უნდა შევიდეს უკანონო გარიგებაში საექვო კლიენტთან. კაზინოს წარმომადგენელს უნდა დაეკისროს ვალდებულება მიაწოდოს საექვო კლიენტის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გატარდება მნიშვნელოვანი რეფორმა შევძლებთ თავიდან ავიცილოთ ისეთი მძიმე დანაშაული, როგორცაა ფულის გათეთრება.

## დავის გადაჭრისა და იძულებით აღსრულების მექანიზმები სასესხო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში

მარიკა არევაძე  
საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

### შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება<sup>291</sup>. ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს კი წარმოადგენს ხელშეკრულება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მხარეები კონკრეტულ პირობებზე შეთანხმებით გააფორმებენ სესხის ხელშეკრულებას და გარკვეული დროის შემდგომ მსესხებელი ვეღარ მოახერხებს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, მაშინ გამსესხებელს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება, რომელიც შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას სხვადასხვა მექანიზმით.

წინამდებარე სტატიაში განხილულია სწორედ ვალდებულების შეუსრულებლობის შეთხვევაში, მოთხოვნის უფლების დაკმაყოფილების შესაძლებლობები და დავის გადაჭრის შესაძლო გზები.

### 1. სესხის ხელშეკრულება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი მსესხებელს საკუთრებაში გადასცემს ფულს, თავის მხრივ მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს ნასესხები თანხა. სესხის ხელშეკრულება მხარეებს შორის შეიძლება გაფორმდეს, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით<sup>292</sup>. ამასთან, მსესხებელი და გამსესხებელი შეიძლება ხელშეკრულებით შეთანხმდნენ პროცენტზე. სესხის ხელშეკრულებით შეთანხმებული უნდა იყოს ვალის დაბრუნების პირობები და ვადა, თუმცა თუ ასეთი ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ამოქმედდება

---

<sup>291</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 316, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, დოკუმენტის ნომერი 786.

<sup>292</sup> იქვე, მუხლი 623, 624.

სამოქალაქო კოდექსის დებულებები და ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას<sup>293</sup>.

## 2. ვალდებულების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება

სესხის ხელშეკრულების ფარგლებში პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით, მსესხებელი ვედარ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. მსესხებლის მიერ ვადის გადაცილებად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ითვლება - 1. თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; 2. თუ გამსესხებლის გაფრთხილების მიუხედავად, მსესხებელი არ ასრულებს ვალდებულებას<sup>294</sup>. ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში კი გამსესხებელი უფლებამოსილია დავალიანების დაფარვა მოითხოვოს არსებული სამართლებრივი მექანიზმებით, რომელიც დეტალურად არის განხილული წინამდებარე სტატიაში.

## 3. დავა და იძულებითი აღსრულება

სასესხო ურთიერთობების ფარგლებში წარმოშობილი დავა შესაძლებელია განხილულ იქნას სხვადასხვა მექანიზმით. მაგალითად, დავა შეიძლება განხილულ იქნას სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ, ასევე შესაძლებელია მოთხოვნა დაყენებული იქნას გამარტივებული წარმოების ფარგლებში. დავის განმხილველ ორგანოს განსაზღვრა შეიძლება მოხდეს წინასწარ, მხარეთა შეთანხმებით ან თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მაშინ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 3.1. სასამართლო

მსესხებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თუ მხარეები წინასწარ არ იყვნენ შეთანხმებულნი დავის განმხილველ ორგანოზე, მაშინ გამსესხებელი უფლებამოსილია მოთხოვნის უფლების დაკმაყოფილების მიზნით მიმართოს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე (პირი რომელიც

---

<sup>293</sup> იქვე, მუხლი 626(1).

<sup>294</sup> იქვე, მუხლი 400.

იწყებს დავას) სარჩელით მიმართავს პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქმის განხილვის დასრულების შემდგომ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას ჯერ მეორე, ხოლო შემდგომ მესამე ინსტანციაში. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, კი გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. თავის მხრივ მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ როდის შედის სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის:

- ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და მიექცევა აღსასრულებლად, თუკი ამაზე მხარეები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული ხელშეკრულებით<sup>295</sup>;
- თუ მხარე არ მოახდენს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას, გასაჩივრებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ;
- უზენაესი (მესამე ინსტანციის) სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

### 3.2. არბიტრაჟი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს<sup>296</sup>. აღნიშნული დებულების შესაბამისად ცხადია, იმისათვის, რომ დავა დაექვემდებაროს საარბიტრაჟო განხილვას უნდა არსებობდეს ორი წინაპირობა, კერძოდ - პირველი - სადაო საკითხი აუცილებლად უნდა იყოს კერძო ხასიათის და ქონებრივი და მეორე - მხარეები საარბიტრაჟო განხილვაზე წინასწარ უნდა იყვნენ წერილობითი ფორმით შეთანხმებულნი.

ასეთი შეთანხმების მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში შესაძლებელია სასამართლოს მონაწილეობაც. კერძოდ:

---

<sup>295</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 268(1<sup>1</sup>), გამოქვეყნების თარიღი პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, დოკუმენტის ნომერი 1106.

<sup>296</sup> იქვე, მუხლი 12.

- სასამართლო განიხილავს არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს -  
1. არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ; 2. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ; 3. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ; 4. მტკიცებულებათა მოპოვებასა და მოწმის დასწრების უზრუნველყოფაში სასამართლოს დახმარების შესახებ; 5. არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობის, აღსრულებისა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ; 6. სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ; 7. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ; 8. საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ; 9. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში<sup>297</sup>.

ამასთან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით.

### 3.3. გამარტივებული წარმოება

გამარტივებული წარმოების ფარგლებში კრედიტორი უფლებამოსილია ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავა სასამართლოს ნაცვლად დაიწყოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში განცხადების წარდგენით. გამარტივებული წარმოების ფარგლებში საქმის განხილვის დაწყების შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა/განცხადება ეგზავნება მოვალეს და ეძლევა ვადა მისი პოზიციის დასაფიქსირებლად. მოვალეს განცხადების მიღების დღიდან 10 დღის ვადაში შეუძლია:

- აღიაროს და დაეთანხმოს მოთხოვნას;
- განმცხადებელს შესთავაზოს მორიგების პირობები;
- არ დაეთანხმოს მოთხოვნას და შეიტანოს პროტესტი.

მოვალის მიერ პროტესტის შეტანის შემთხვევაში გამარტივებული წარმოება წყდება და დავის გაგრძელება შესაძლებელია სასამართლო წესით. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოვალე განცხადებას დატოვებს რეაგირების გარეშე,

---

297 იქვე, მუხლი 356<sup>13</sup>.

გამარტივებული წარმოება დასრულდება სააღსრულებო ფურცლის გაცემით და საქმეზე დაიწყება იძულებითი აღსრულება.

### 3.4. ნოტარიუსი

მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში საქმეზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის კიდევ ერთი შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის საქმეზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა ნოტარიუსის მიერ. აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ნოტარიუსის ამგვარ უფლებამოსილებაზე შეთანხმებულნი არიან წინასწარ, წერილობითი ფორმით. მაგალითად, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმებულია მხარეთა შორის გათვალისწინებულია ხსენებული პირობა, მაშინ კრედიტორი უფლებამოსილია სააღსრულებო ფურცელის გაცემის მოთხოვნით მიმართოს ნოტარიუსს. ასეთი მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში კი ნოტარიუსი ვალდებულია საქმეზე გასცეს სააღსრულებო ფურცელი.

### 3.5. იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების გადასვლა კრედიტორის საკუთრებაში ან/და რეალიზაცია

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა. ამისათვის საჭიროა კრედიტორმა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრემ ერთობლივი განცხადებით მიმართონ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს<sup>298</sup>. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას მხარის ნებას, კერძოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში თუ ორივე მხარე ამის ნებას გამოიჩენს, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ყოველგვარ იძულებით ღონისძიებას ამ ტიპის შედეგის მისაღებად.

გარდა ზემოთქმულისა, მოქმედი კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზებას აღსრულების

---

<sup>298</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 300(1), პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, დოკუმენტის ნომერი 786.



ეროვნული ბიუროს გვერდის ავლით. კერძოდ თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია<sup>299</sup>, თუკი ასეთ პირობაზე მხარეები წინასწარ წერილობითი ფორმით არიან შეთანხმებულნი. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გაყიდვა ხდება აუქციონზე კრედიტორისა და მესაკუთრის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომლებიც აუქციონის ჩატარების მიზნით ნიშნავენ სპეციალისტს, მისივე თანხმობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სპეციალისტის მიერ ქონების აუქციონზე რეალიზება იძულებით აღსრულებად არ მიიჩნევა. თუმცა პრაქტიკული კუთხით ასეთი შეთანხმება სწორედ სამართლებრივი მექანიზმების გვერდის ავლის გზით უძრავი ქონების სწრაფი რეალიზაციებით ამონაგების მიღებას ემსახურება, რაც შინაარსობრივი თვალსაზრისით სხვა არაფერია თუ არა ქონების იძულებულითი რეალიზება, მითუფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსესხებლებმა ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ასეთი პირობის შესახებ არაფერი იციან და მათ არავინ უხსნის იმ იურიდიულ შედეგებს, რაც ასეთ პირობაზე შეთანხმებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტის მიერ ჩატარებულ აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც თავად კრედიტორს, ასევე მოვალეს ან/და უძრავი ქონების მესაკუთრეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლი, რომელიც უშვებს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზების შესაძლებლობას, მართალია მხარეების შეთანხმების საფუძველზე ადგენს ქონების აუქციონზე რეალიზების შესაძლებლობას, მაგრამ იქვე უთითებს, რომ - თუ კრედიტორი და მესაკუთრე ვერ თანხმდებიან აუქციონის ჩატარებაზე ან უძრავი ნივთის რეალიზაციის სხვა ფორმაზე, სასამართლო კრედიტორის განცხადების საფუძველზე წყვეტს უძრავი ნივთის აუქციონზე იძულებით გაყიდვის საკითხს. აღნიშნული ჩანაწერის შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა მხარეები გააფორმებენ თუ არა ხელშეკრულებას იმ პირობით, რომ აღმასრულებლის და სასამართლოს გვერდის ავლით შესაძლებელი იქნას ქონების რეალიზება - ეს შეთანხმება ძალას კარგავს, როცა მხარეებს შორის წამოიჭრება დავა, საგნის რეალიზაციასთან

---

<sup>299</sup> იქვე, მუხლი 301(1).

დაკავშირებით. ამ შემთხვევაში კი სავალდებულო ხდება პროცესში ჩაერთოს სასამართლო და აღსრულება მოხდეს სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული მუხლი მთლიანად ემსახურება მხარეთა ნების ავტონომიის მხარდაჭერას, ამიტომ თუკი კრედიტორსა და მოვალეს შორის წამოიჭრება პრობლემა და მოვალე პირობის შესრულებაზე უარს აცხადებს - ამავე მუხლის მიხედვით შეუძლებელი ხდება იძულებითი აღსრულების წესის გარეშე ნივთის რეალიზაცია - იძულების/ძალის გამოყენების უფლება კი აქვს მხოლოდ სახელმწიფოს. მსგავსი პირობებით გაფორმებული ხელშეკრულებების არსებობისას ყურადღებაა ასევე გასამახვილებელი მხარის გონივრული განსჯის შედეგად გამოვლენილ რეალურ ნებაზე - რომელსაც ხშირ შემთხვევაში სასახო ურთიერთობებისას ადგილი არ აქვს, ვინაიდან წარმოუდგენელია საუბარი მხარის გონივრული ნების გამოვლენაზე, როდესაც მისთვის უცნობია ხელშეკრულების კონკრეტული პირობების არსებობა ან/და მისი იურიდიული მნიშვნელობა.

### 3.6. იძულებითი აღსრულება

საქართველოში იძულებითი აღსრულება ანუ კანონის საფუძველზე შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულება, იმ შემთხვევაში თუ ის მოვალის მიერ ნებაყოფლობით არ სრულდება - ხორციელდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ<sup>300</sup> საქართველოს კანონით დადგენილი წესით. იძულებითი აღსრულების უფლებამოსილება კი გააჩნია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – აღსრულების ეროვნულ ბიუროს. სააღსრულებო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება ასევე გააჩნია კერძო აღმასრულებელს, რომელიც ამ საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოება დაიშვება მხოლოდ დედანი სააღსრულებო

---

<sup>300</sup> სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი გამოქვეყნების თარიღი სსმ, 13(20), 01/05/1999, დოკუმენტის ნომერი 1908.

ფურცლის საფუძველზე. აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. სააღსრულებო ფურცელი ან/და აღსასრულებელი გადაწყვეტილება წარედგინება აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს (ამასთან, ტერიტორიულობის პრინციპის დაცვა სავალდებულო არ არის, თუ კრედიტორი ფიზიკური პირი, კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანებაა) მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, ან ამავე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში - კერძო აღმასრულებელს. მას შემდეგ რაც დაიწყება სააღსრულებო წარმოება, აღსრულების ეროვნული ბიუროს ან/და კერძო აღმასრულებლის მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში და მასვე მიეცემა 7 დღიანი ვადა მოთხოვნის ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ, ასევე განემარტება სააღსრულებო წარმოების დაწყების სამართლებრივი შედეგები, იძულებითი აღსრულებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლო გასატარებელი ღონისძიებები და სხვა. ამავე კანონის შესაბამისად, მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობება - აღნიშნული კი პრაქტიკული კუთხით რიგ შემთხვევებში მოვალეს შესაძლებლობას ართმევს ჩაერთოს თუნდაც აუქციონის პროცესში.

სააღსრულებო წარმოების ეტაპები თანხის გადახდევინების საქმეებზე კი შემდეგია - ა) აღსრულების დაწყება; ბ) ქონებაზე ყადაღის დადება; გ) აუქციონის ჩატარება; დ) კრედიტორისათვის თანხის გადაცემა. კანონი ასევე ითვალისწინებს აღსრულების შეწყვეტისა და შეჩერების შესაძლებლობებს. კერძოდ, აღსრულება მაგალითად შეწყდება<sup>301</sup> თუ - კრედიტორი უარს იტყვის აღსრულებაზე ან კრედიტორი და მოვალე მორიგდებიან ან გავა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა და ა.შ. ამასთან, სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში იმავე გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოების განახლება დაუშვებელია. რაც შეეხება აღსრულების შეჩერებას, აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ სასამართლოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ

<sup>301</sup> იქვე, მუხლი 34 (1).

აღსრულების ერვნიული ბიუროს თავმჯდომარეს განსაკუთრებულ შემთხვევაში თავისივე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით შეუძლია სააღსრულებო წარმოების შეჩერება<sup>302</sup>, მაგრამ რა არის ეს განსაკუთრებული შემთხვევა და როდის იყენებს ამ უფლებამოსილებას აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე ბუნდოვანია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწორედ აუქციონის გზით ქონების რეალიზების შემდეგ ხდება იძულებითი გამოსახლების საკითხის აღმოცენება და აღნიშნულის განხორციელებაც აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით არის შესაძლებელია.

## დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ დავის შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვადასხვა ალტერნატივა არსებობს, რაც ერთის მხრივ დამოკიდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტში მხარეთა ნების გამოვლენაზე, ხოლო მეორეს მხრივ კრედიტორის არჩევანზე. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში დომინირებულ მდგომარეობაში მყოფი გამსესხებელი იყენებს თითქმის ყველა სამართლებრივ შესაძლებლობას და ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ყველა ამ მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობაზე უთანხმდება მსესხებელს, მაშინ როდესაც მსესხებლისთვის აღნიშნული პირობების არსებობა და მათი იურიდიული მნიშვნელობა უცნობია.

ზოგადად სასესხო ურთიერთობების სრულად მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ნაკლებობამ, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის გამოყენებამ, სამოქალაქო ცნობიერების ნაკლებმა ხარისხმა და ამ სფეროში მოქმედი ზოგიერთი სუბიექტის უკონტროლობამ სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენა საქართველო. დღესდღეობით, სასწრაფო და აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება, რომლითაც ყოველმხრივ მოწესრიგდება მთელი რიგი ისეთი საკითხები, როგორცაა მაგალითად (და არა მხოლოდ):

- ვინ შეიძლება იყოს გამსესხებელი; როგორ უნდა დარეგულირდეს გამსესხებელი - ფიზიკური პირის სამართლებრივი მდგომარეობა (უნდა მოახდინოს თუ არა ამ ტიპის საქმიანობის შესახებ რეგისტრაცია და სად; უნდა იყოს თუ არა საქართველოს ეროვნული

<sup>302</sup> იქვე, მუხლი 36 (2“ზ“).

ბანკის წინაშე ანგარიშვალდებული და უნდა ემორჩილებოდეს თუ არა მის დებულებებს);

- ვინ და რა წესებით შეიძლება აწარმოოს პრობლემური აქტივების ამოღება (საჭიროა თუ ასეთი ტიპის კომპანიების რეგისტრაცია და რაიმე კონტროლს დაქვემდებარება);
- რა წესებს უნდა ემორჩილებოდეს ონლაის სასესხო კომპანიები და სხვა.


ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა ისეთი სამართლებრივი სივრცის შექმნა, სადაც თანაბრად იქნება დაცული როგორც გამსესხებლის, ასევე მსესხებლის კანონიერი ინტერესი და უფლება, რაც სამწუხაროდ დღესდღეობით უზრუნველყოფილი არ არის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
3. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი

### რეზიუმე

სტატიაში - „დავის გადაჭრისა და იძულებით აღსრულების მექანიზმები სასესხო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში“ - განხილულია სასხო ურთიერთობებისას ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დავის გადაჭრის შესაძლებლობები. წინამდებარე სტატია მკითხველს სთავაზობს სრულ სურათს, თუ რა მექანიზმებით არის შესაძლებელი მოთხოვნის უფლების დაკმაყოფილება და ამ მხრივ სტატია საინტერესო და ინფორმაციულია, როგორც ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, ასევე იურისტებისა თუ იურიდიული სკოლების სტუდენტებისათვის.



ახალგაზრდა ადვოკატები  
YOUNG BARRISTERS

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094  
ფაქტ. მისამართი: ზურაბ ჭავჭავაძის ქ., №12, თბილისი, საქართველო  
ელ-ფოსტა: [pryoungbarristers@yahoo.com](mailto:pryoungbarristers@yahoo.com);  
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი  
ვებ-გვერდი: [www.barristers.ge](http://www.barristers.ge)  
FB: [www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi](http://www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi)  
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი  
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

*სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული ვერსია  
განთავსებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.*



**ა დ ვ ბ ა რ ი ს ტ რ ი**  
**ს ა გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო ც ე ნ ტ რ ი**

ორგანიზაციის სახელწოდება: შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“ ს/კ  
402014271

ფაქტ. მისამართი: ზურაბ ჭავჭავაძის ქ., №12, თბილისი, საქართველო

ელ-ფოსტა: ybarristers@gmail.com ; info@edubarristers.ge;

დაარსების თარიღი: 2015 წლის 07 მაისი

ვებ-გვერდი: www.edubarristers.ge

FB: www.facebook.com/edubarristers

ბანკი: სს „ბანკი რესპუბლიკა“

ანგარიშის ნომერი: GE48 BR00 0001 0852 5441 46

*სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული ვერსია  
განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე.*